პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 21 ივნისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 139 (1884)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— ვენაში გაიხსნა ავსტრიის კომპარტიის ყრილობა.
— 20 ივნისს ჟენევაში იხსნება ინგლის - ამერიკა - იაპონიის კონფერენცია საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.
— ვარშავიდან დაბრუნდა ამხ. როზენგოლცი.
— ამხ. პავლოვიჩის გარდაცვალება.

პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ჩვენ არა ერთხელ აღვინიშნავს, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ვერ ახერხებს სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების მიმხრობას თავის ანტი-საბჭოთა ავანტიურაში და მათ ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებას. ვერც თვითონ ბედავს საბჭოთა სახელმწიფოზე შეიარაღებულ გამოლაშქრებას. ეს ნათლად გამოაშკარავდა ინგლისის მიერ ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, განსაკუთრებით კი ერთა ლიგის საბჭოს ეხლანდელ დასრულებულ სესიაზე; ყველანი გაიმიჯნენ ჩემბერლენისაგან და უკანასკნელი იძულებული იყო განეცხადებია, რომ ინგლისის მთავრობა არ აპირებს ომის და რაიმე ფრონტის შექმნას მოსკოვის წინააღმდეგო. ამ განცხადების თვალთმაქცობა და არა გულწრფელობა ცხადია, მაგრამ ის თავის თავად მაინც დამახასიათებელია, როგორც ინგლისის დიპლომატიის დამარცხება საერთაშორისო მდგომარეობის ეხლანდელ სტადიაში.

რით აიხსნება ეს ფაქტი? რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის, რომ ბურჟუაზიულ მსოფლიოს მესვეურები გამსჭვალული იყვნენ მშვიდობიანობის შენარჩუნების სურვილით, ან საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიებით. კარგად ვიცით, რომ ისინი ახალი ხოცვა - ჟლეტისათვის ემზადებიან და ამასთან შრომის წყობილების დამხობაზე ოცნებობენ. მაგრამ ერთი მხრივ ინტერესთა გარდაუვალი წინააღმდეგობა კაპიტალისტურ ქვეყნებ შორის, მეორე მხრივ ბევრი მათგანისათვის საბჭოთა კავშირთან დაახლოვების აუცილებლობა მათი ეკონომიური აღორძინებისათვის და საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად, მესამე მხრივ—კოლონიების აჯანყება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ბოლოს თვით საბჭოთა რესპუბლიკების სიძლიერე,— აი, რა ხდის ჯერ-ჯერობით შეუძლებელს მთლიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნას და მათზე იმპერიალისტების თავდასხმას.

მაგრამ არის კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სისხლის ღვრის მოციქულებს ხელფეხს უბორკავს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს საერთაშორისო პროლეტარიატი და მისი რევოლიუციონური მოძრაობა, კერძოდ, კამპანია ომის საფრთხის წინააღმდეგ. კაპიტალისტურ მთავრობებს ზურგი თავის ქვეყნების შიგნით ოდნავადაც არ აქვთ მტკიცე; მათ ნაკლები იმედი შეიძლება ჰქონდეთ, რომ მუშათა მასები „ზარბაზნის ხორცად“ გამოადგებათ; იმპერიალისტებს საფუძვლიანად ეშინიათ, რომ მშრომელები არამც თუ არ გაჰყვებიან მათ ომში, არამედ თვითონ მყვლეფელების წინააღმდეგ მომართავენ იარაღს.

კერძოდ, მეტად ძნელია დასავლეთის პროლეტარიატის გამოყვანა სოციალიზმის ქვეყნის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კარგა ხანია გავიდა ის დრო, როცა კაპიტალისტური მსოფლიოს მუშებს, მათ ჩამორჩენილ წრეებს, ასე თუ ისე სჯეროდათ ათასნაირი სიცრუე საბჭოთა წყობილების საშინელების და საბჭოთა მთავრობის იმპერიალიზმის შესახებ, რასაც ბურჟუაზიის და სოციალ - დემოკრატიის მოსყიდული პრესა ასე უხვად და დაჟინებით ავრცელებდა მასების მოსატყუებლად, მათ მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ ასამხედრებლად. დღეს ასეთ ჭორებს და ცილისწამებას გასავალი არა აქვთ.

თვით დასავლეთის მუშათა მასებმა ეჭვი შეიტანეს ამ ბოროტი ხმების სიმართლეში და თავისი დელეგატების საშუალებით, რომლებსაც ისინი აგზავნიდენ საბჭოთა კავშირში, კარგად გაერკვენ ჩვენს სინამდვილეში. მათ შეითვისეს ის ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა კავშირში დამყარებულია პროლეტარიატის ბატონობა, რომ აქ უდიდესი სოციალისტური მშენებლობა წარმოებს და რომ ჩვენ ამით ვემსახურებით მთელი მსოფლიო პროლეტარიატის კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლების საქმეს. საბჭოთა კავშირის სამეურნეო მიღწევების დამალვა ბოლოს და ბოლოს ვერ მოახერხეს თვით ბურჟუაზიულმა მთავრობებმაც, რომელნიც სწორედ ჩვენი ეკონომიური აღორძინების გამო იძულებული შეიქნენ საბჭოთა კავშირთან აღებ - მიცემობა დაეწყოთ. საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარება ყველასათვის ცხადი გახდა. საბჭოთა საქონლის ექსპორტი და ჩვენი შეკვეთები უცხოეთში, ბოლო დროს სულ უფრო იზრდება.

ყველა ამან გააძლიერა დასავლეთის მუშების აქტიური თანაგრძნობა და სოლიდარობა საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი. ის დღეს მედგრად გამოდის მსოფლიოში ერთად-ერთ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დასაცავად იმპერიალისტების თავდასხმისაგან. ევროპის არც ერთ ქვეყანაში ისე არ იმართება ნამდვილი მუშათა მასიური დემონსტრაცია თუ კრება, რომ იქ მთავარ ლოზუნგად არ იქნეს წამოყენებული საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფა და ბრძოლა ომის წინააღმდეგ. აი, მაგ., წითელ ფრონტელების ნახევარ მილიონიანი დემონსტრაცია ბერლინში. „არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ მსოფლიო იმპერიალიზმი ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომ მუშათა კლასის ბედი მთელ მსოფლიოში დაკავშირებულია საბჭოთა კავშირთან... ყოველი საშუალებით დავიცავთ რუსეთის რევოლიუციას და ყოველთვის ვიბრძოლებთ საბჭოთა კავშირის და ძლევამოსილ მსოფლიო რევოლიუციისათვის“,— ასეთი ფიცი დასდვეს წითელ ფრონტელებმა. ასეთია გერმანიის პროლეტარიატის განწყობილება და ამას უკვე მცირე როლი არ უთამაშია იმ მხრივ, რომ გერმანიის მთავრობა ნეიტრალიტეტს იცავს ინგლის - საბჭოთა კონფლიქტში. აიღეთ პოლონეთი: ვარშავის საქალაქო არჩევნებმა კომუნისტებს ბრწყინვალე გამარჯვება არგუნეს. 70 ათასმა ამომრჩეველმა ხმა მისცა მათ სიას. ამ მასის ერთი ძირითადი ლოზუნგთაგანი კი იყო: ძირს პილსუდსკის მთავრობა, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს ამზადებს. და ეჭვი არ არის, რომ თუ პანების პოლონეთი იძულებულია თავი შეიკავოს საბჭოთა კავშირთან ომზე, ეს პოლონეთის რევოლიუციონურ მუშათა კლასის პოზიციასაც მიეწერება. ამ მხრივ არც ინგლისის მთავრობის მდგომარეობაა უკეთესი. დამატებითმა საპარლამენტო არჩევნებმა, რომელიც იქ მოხდა და რომელიც ჩატარდა ლოზუნგით: საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტისათვის თუ მის წინააღმდეგ—კონსერვატორებს სასტიკი დამარცხება მოუტანეს. აგრეთვე აღსანიშნავია კუკის სიტყვა: „მე უნდა განუცხადო ინგლისის მთავრობას, რომ თუ ის ომს დაიწყებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მე დავიცავ მთავრობისათვის ომის გამოცხადების აუცილებლობას. მე ვალდებული ვარ უფრო მეტად ვიყო ერთგული რუს ამხანაგების მიმართ, ვინემ ბოლდუინისადმი“. ესაა არა მარტო კუკის პირადი აზრი, — მის უკან დგას ინგლისის მრავალმილიონიანი პროლეტარიატი, რომელიც იბრძვის თავის ქვეყნის კაპიტალის შემოტევისა და ჩემბერლენების იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ასეთია საერთოდ მთელი მსოფლიოს მუშათა მასების ნებისყოფა.

საერთაშორისო პროლეტარიატის სახით საბჭოთა კავშირს მძლავრი და საიმედო მოკავშირე ჰყავს. ის იბრძვის ომის საფრთხის წინააღმდეგ და აქტიურად გამოდის შრომის რესპუბლიკის დასაცავად. ამ მიზნით ის იბრძვის თავის რიგების შემჭიდროებისათვის, ერთიანი პროლეტარულ ფრონტის განხორციელებისათვის როგორც თვითეულ ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ამ ბრძოლას, რა თქმა უნდა, ხელს უშლიან ყველა ჯურის სოციალ - შეთანხმებლები. ამ მხრივ თუ გინდა გაიხსენეთ ამ დღეებში საკ. პროფსაბჭოს მიერ გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობს ინგლისის პროფკავშირების გენერალური საბჭო არ იქნას მოწვეული ინგლის-საბჭოთა მოქმედების კომიტეტი, რომელსაც პირველ ყოვლისა ევალება მსოფლიოს მუშათა კლასის მთლიანობის აღდგენისათვის მეცადინეობა და მისი მობილიზაცია კაპიტალისა და ომი წინააღმდეგ.

არასოდეს ყოფილა ისე აუცილებელი საერთაშორისო პროლეტარიატის ერთიანი რევოლიუციონური ფრონტის განხორციელება, როგორც დღეს. ლტოლვა ამ მთლიანობისაკენ მასებში მძლავრი და სტიქიურია. კომპარტიებმა ამ მიმართულებით უნდა გაასკეცონ მუშაობა, შეუბრალებლად ამხილონ სოციალ-დემოკრატიის ზედაფენების მოღალატეობა და შესძლონ მასების ორგანიზაცია ახალი მსოფლიო ომის შესახვედრად, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ.

კაცთმოყვარული თვალთმაქცობა და თეთრი ტერორი

20 მონარქისტ-თეთრგვარდიელის დახვრეტის გამო, რომელთა მუშაობა საფრთხეს უმზადებდა პროლეტარულ სახელმწიფოს მშვიდობიანობას, მიმართული იყო რა საწყობებისათვის ცეცხლის წაკიდებისაკენ, მშრომელი ხალხის ქონების განადგურებისაკენ, პროლეტარულ ხელისუფლების წარმომადგენელთა მკვლელობისა და ბანდიტურ აფეთქებათაკენ და საკავშირო კომპარტიის ბელადებზე მკვლელობის მიზნით თავდასხმისაკენ,—საერთაშორისო რეაქციის და მისი სოციალ-რეფორმისტულ ლაქიების პრესამ არაჩვეულებრივი განგაში ასტეხა წითელი ტერორის საშინელებათა, საგანგებო კომისიის მხეცობის, ცივილიზაციის და მართლმსაჯულების უწმინდესი პრინციპების ფეხქვეშ გათელვის, ბოლშევიკების სისხლისმსმელობის და სხვ. შესახებ.

დაიწყო ცოფმორეული, გააფთრებული კამპანია. ფაშისტური „ქრისტიანული“, თეთრგვარდიელთა, სოციალისტური, „სერიოზული“ და ქუჩური გაზეთები ყველანი გაერთიანდენ ცილისწამებაში და ცოფმორეულ აგიტაციაში პროლეტარულ დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ. ამ კამპანიის სათავეში უდგას შუბლმაგართა ორგანო „დეილი მეილ“, უკან მიჩანჩალებენ სოციალ-გამცემლები „ფორვერტსი“-დან, რომელნიც მუდამ მზად არიან ემსახურონ ბურჟუაზიას.

ერთი მეორეს მისდევს ჭორები, იუწყებიან მასიურ თვითმკვლელობათა შესახებ მოსკოვში—რეპრესიების მოლოდინში, მასიურ დახვრეტების შესახებ და აღნიშნავენ, რომ დახვრეტილთა გვამები გადააქვთ ბოჭკებით, იუწყებიან მოსალოდნელ აჯანყების შესახებ და სხვა ათასგვარ სისულელეს. ცილისწამების და ჭორების ტალღა ისე ძლიერად მოედო ეგრედ წოდებულ საზოგადოებრივ აზრს, რომ მის გავლენის ქვეშ ექცევიან ლენსბერის ტიპის სუსტნერვებიანი სოციალ-ვეგეტარიანელები და „ჰუმანიური მოსაზრებებით ვერ ეთანხმებიან 20-ის დახვრეტას“.

ეს აურ-ზაური ბოლშევიკური ტერორის შესახებ შემთხვევითი არ არის. ის შემადგენელი ნაწილია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ იმ დიპლომატიურ და პოლიტიკურ კამპანიის, რომელსაც ხელმძღვანელობენ კონსერვატორები. ამით ცდილობენ სახელი გაუტეხონ მასების თვალში პროლეტარულ ხელისუფლებას.

თვალს უხვევს რა მასებს, ფაშისტურ-ბურჟუაზიული პრესა ამით გზას უკაფავს ჩემბერლენებს მათ დანაშაულობრივ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მოსყიდული პრესა უნდა ვამხილოთ დაუზოგავათ. ყველასათვის აშკარა უნდა გავხადოთ მისი პირფერობა, თვალთმაქცური ჰუმანიურობა და აღშფოთების ყალბი პათოსი, უნდა გამოვამჟღავნოთ თუ რა იმალება მოსყიდულ პრესის იქით. უნდა გამოვამჟღავნოთ, რატომ ღელავს ის ჩერჩილის მიერ დაქირავებულ ჯაშუშების, ცეცხლის წამკიდებლების და მკვლელების გულისათვის; რატომ სდუმს ის ნამდვილ კოშმარულ თეთრი ტერორის შესახებ.

მოვიყვანოთ ფაქტები, რომელთაც გულგრილად უვლიან გვერდს ბურჟუაზიულ-სოციალისტური გაზეთები.

ავიღოთ ცნობები თეთრი ტერორის შესახებ მარტო 1926 წლისათვის.

1926 წლის პირველ 10 თვის განმავლობაში 40 ქვეყანაში, რომელთა შესახებ არსებობს სტატისტიკა, მხეცურად მოკლულ და დახვრეტილ იქნა 1.673 მუშა და გლეხი. მარტო ბულგარეთში, სოფიის ცენტრალში და სხვა ციხეებში, „სასამართლოს“ განაჩენის თანახმად და ეგრედ წოდებულ გაქცევის ცდის დროს მოკლულ იქნა 356 კაცი. ამ ხნის განმავლობაში დააპატიმრეს 48.966 რევოლიუციონერი.

ბოლდუინის დემოკრატიის და მრავალ საუკუნის პარლამენტარულ „თავისუფლების“ ქვეყანაში, ინგლისში, დიდი გაფიცვის დროს დასჭრეს და სცემეს 1.223 კაცს.

თუ როგორი ბარბაროსული რეჟიმია გამეფებული კაპიტალისტურ ციხეებში, შეგვიძლია დავასკვნათ იქედან, რომ 1926 წლის, 10 თვის განმავლობაში სიმშილობა გამოაცხადა 3.000 პატიმარმა.

ეგრედ წოდებულ მოწინავე დემოკრატიის ქვეყანაში, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1926 წლის პირველ 6 თვის განმავლობაში მოკლულ 42 კაცი, დაჭრილ და დაპატიმრებულ იქნა 820 და 2.078.

ჩვენ არაფერს ვიტყვით ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა ფაშისტური იტალია (წვალება, მკვლელობები), ხაზინის მცარცველ ბოიარების ქვეყანა რუმინეთი (ოხრანკის საქმენი საგმირონი, დარბევა, ტკაჩენკოს აღმაშფოთებელი მკვლელობა, დეპუტატების წვალება), პოლონეთი (მცირეწლოვან კომკავშირელთა სიკვდილით დასჯა, სიმშილობა და პატიმართა ცემა).

შანხაიში დახვრიტეს და დააღრჩვეს ასეული მუშები. 1926 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ინგლისის და უცხოეთის სხვა ქვეყნების პოლიციის მიერ მოკლულია 543 კაცი.

პეკინში ჩან-ძო-ლინის ჯალათებმა დაახრჩვეს პროლეტარიატის შეუდრეკელი მებრძოლი ლი-ტაი-ჩაო და მისი ამხანაგები. ჩან-ძო-ლინმა წითელი ჯვრის დეპუტაციას განუმარტა, რომ „რევოლიუციონერების მოსპობა“ ბოროტმოქმედება არ არის.

ინდონეზიაში (ჰოლანდიის ინდოეთი) ვხედავთ სამხედრო საველე სასამართლოების ვაკხანალიას. კოლონიალურ მონებს, რომელთაც ააფრიალეს რევოლიუციის დროშა, მახრჩობელა გაზებით უმასპინძლდებოდენ. მსხვერპლი აუარებელია.

ლიტვის ციხეებში ცივილიზაციის ეპოქის ჯალათურ ტეხნიკამ უმაღლეს წერტილს მიაღწია,—წამება ელექტრონით, რის შემდეგ მუშები და მუშა-ქალები ჭკუას ჰკარგავენ. ჟოლკოვის „ოხრანკა“-ს ჰყავს სპეციალური შტატი გამხეცებულ სადისტებისა, რომლებიც აწამებენ პატიმრებს და კბენენ მათ პირის სახეზე.

ყველა ეს ხომ ნაწილობრივი, არასრული ცნობებია 1926 წლის შესახებ და ჩვენ ვიცით, რომ 1927 წელს საერთაშორისო რეაქცია გაძლიერდა, გაძლიერდა თეთრი ტერორი და მშრომელთა წამებაც.

რატომ სდუმან ყველა ამის შესახებ საფინანსო კაპიტალის მიერ მოსყიდული გაზეთები? იმ დროს, როცა გააფთრებით მუშაობს იმპერიალისტური რეაქციის გილიოტინა, როცა გუგუნებს თეთრი ტერორის შემაძრწუნებელი გრიგალი, როცა იღვრება პროლეტარ-რევოლიუციონერთა სისხლი, როცა გამსის ცივ სარდაფებში ჩამწყვდეულ მუშებისა და გლეხების ბორკილის ჟღარუნი, როცა თავს აგდებინებენ შანხაის მუშებს,—რატომ აქვთ პირში დაგუბებულ წყალი. „ცივილიზაციის დამცველთ“, რატომ არ ამოიღებს აქ ხმას „ქრისტიანული ქველმოქმედება“? რატომ ამართლებს უსირცხვილოთ სოციალ-დემოკრატიული პრესა სოციალ-დემოკრატ პოლიცეი-პრეზიდენტების ჯალათურ საქციელს, უმუშევართა დემონსტრაციების დახვრეტას; რატომ არაფერს ამბობს ის, როცა თეთრი ტერორი სულს უხუთავს მოწინავე მუშებს და გლეხებს; რატომ უყურებენ მიკროსკოპით „წითელ ტერორს“ და გაჰკივიან მის შესახებ მთელს ქვეყანაზე, ხოლო იმპერიალისტური ბურჟუაზიის ტერორის წინაშე თვალებს ხუჭავენ, ან სამართლიანად აცხადებენ მას; რატომ გამოდის ცოფმორეული იმ პროლეტარულ სახელმწიფოს რეპრესიების წინააღმდეგ, რომელიც იცავს მუშების და გლეხების მშვიდობიან შრომას და უმძიმეს პირობებში ამზადებს კაცობრიობის განთავისუფლებას, ხოლო თეთრი ტერორი, რომელიც ანადგურებს კაცობრიობას, არავითარ აღშფოთებას არ იწვევს „ჰუმანიურობის“ მქადაგებლებში?

ჩვენ მშვენივრად ვიცით, რატომ არის ეს ასე. იმიტომ, რომ ყველა საშუალება გამოსადეგია იმათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც ძირს უთხრის იმპერიალისტურ მონობის შენობას. იმიტომ, რომ მტრებს უნდათ, რათაც არ უნდა დაუჯდეთ სახელი გაუტეხონ ხალხის თვალში მუშურ-გლეხური დემოკრატიის ქვეყანას. იმიტომ, რომ გულამოსკვნილი, მოთქმით 20 ნაძირალის შესახებ მოჩქმალონ გააფთრებული მზადება ახალ ომისათვის, ახალ მილიონების გაჟლეტისათვის. იმიტომ, რომ თეთრი ბანდიტები ჩერჩილის აგენტებთან ერთად შუბლმაგარ მეყასბეებისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებენ. იმიტომ, რომ შულგინი და სხვა თეთრი ნაძირალები, რომელნიც ოცნებობენ მუშებისა და გლეხებისათვის ტყვიისმფრქვეველებით გამასპინძლებაზე სკოტლანდიარდის დამხმარე ძალას წარმოადგენ. იმიტომ, რომ თეთრი ტერორის აგენტებს და ჯაშუშებს მიცემული აქვთ დავალება: დაახრჩონ რევოლიუცია და დაეხმარონ რეაქციას.

მართლაც რომ საზიზღარი „მორალია“, რომლის დანიშნულებაა გაამართლოს ექსპლოატატორთა საშინელი მახინაციები.

„პრავდა“.

მოსკოვი, 19 ივნისი.

მდგომარეობა ჩინეთში

(ფრონტების მიხედვით)

შანხაიდან მოსული დღევანდელი დეპეშა გარკვეულ ცნობებს გვაწვდის რევოლიუციონურ და ჩან-კაი-შის ჯარების მოქმედების შესახებ. როგორც სჩანს ამ ცნობებიდან ფინ-იუ-სიანის ჯარი ორ წყებად აწარმოებს წინსვლას. ერთი წყება ამ ჯარისა შეტევას აწარმოებს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და მიზნად დასახული აქვს დე-ჯოუ, შან-დუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. ეს ძე დე-ჯოუ არის, რომელიც შეადგენდა უკიდურეს მარცხენა ფრთას იმ ხაზისა (ბაოდინ-ფუ-დე-ჯოუ), რომლის დაცვას წინად ფიქრობდა ჩან-ძო-ლინი. მეორე წყება ფინიუ-სიანის ჯარისა, დეპეშის სიტყვით, დაჟინებით მიიწევს აღმოსავლეთისაკენ ლუნხაის რკინის-გზის ხაზით. იმავე დროს ჩან-კაი-შის ჯარებიც ორ წყებად აწარმოებენ ჩრდილოეთისაკენ სვლას. აღმოსავლეთის წყებას დაუკავებია ი-ჯოუ, შანდუნის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და მეორე წყება თურმე მიიწევს ჩრდილოეთისაკენ ტიან-ძინ—ნანკინის რკინის-გზის ხაზით.

გამოდის ასე, რომ ფინ-იუ-სიანის ოპერაციის მთავარი მიმართულება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ არის, მაშინ როდესაც ჩან-კაი-შისა პირდაპირ ჩრდილოეთისაკენ. ფინ-იუ-სიანის ჯარები თითქოს ცდილობენ შეიჭრენ ჩან-კაი-შისა და მუკდენელების ჯარების შუა. ფინ-იუ-სიანის ასეთი მიმართულებით სვლა პირველყოვლისა გამოიწვევს უსათუოდ ჩან-ცუ-ჩანის ჯარების მიერ შანდუნის პროვინციის დატოვებას და შემდეგ იგივე ფინ-იუ-სიანი გადაუღობავს გზას ჩან-კაი-შის ჯარებს პეკინისაკენ. ფინ-იუ-სიანის ასეთი მანევრი ჩრდილოეთის მხრით მუკდენელებისაგან დაფარულია ჯერ ერთი იენ-სი-შანის ჯარებით, რომელნიც ტაი-იუანიდან პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ მოდიან და შემდეგ თვით ფინ-იუ-სიანის ჯარის იმ ნაწილით, რომელიც შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში მიემართება. მეტად რთული და სერიოზული ოპერაცია დაიწყო ფინ-იუ-სიანის ჯარმა და ასეთ ოპერაციას გადამწყვეტი შედეგი მოჰყვება უსათუოდ. ამ ოპერაციამ საბოლოოდ უნდა გამოარკვიოს ჩან-კაი-შის ნამდვილი ზრახვანი და მოსპოს ის გამოურკვეველი მდგომარეობა, რომელსაც დღემდე ადგილი ჰქონდა ჩან-კაი-შის ჯარების და რევოლიუციონურ არმიას ურთიერთშორის.

დღევანდელივე დეპეშები გვაუწყებენ, რომ სი-ჩუანის გენერალი იან-სე-ნი, რომელიც უხანის მთავრობის ზურგს ემუქრებოდა და ამას წინად დამარცხებულ იქმნა რევოლიუციონურ ჯარების მიერ, ეხლა პირდაპირ მახეში გაბმულა. მის ზურგით სი-ჩუანის აჯანყებულ ჯარებს გზა შეუკრავთ და ამჟამად იან-სე-ნი ვერც თავის სამფლობელოში დაბრუნებულა.

ი. გედევანიშვილი.

საზაფხულო მუშაობის ამოცანები

ზაფხულის პერიოდი თავის დაღს აჩენს საზოგადოებრივ და სამეურნეო საქმიანობას. ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებული სიმწვავით ისმება მუშა-მოსამსახურეთა დასვენების საკითხი. ზაფხულის თვეებში ახალ ფორმებს იღებს კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციების მუშაობა. ამ დროს თავისებურ ხასიათს ატარებს პარტიული, პროფესიონალური, კოოპერატიული და სხვა ორგანიზაციების საქმიანობა.

ამიტომ საკითხი საზაფხულო მუშაობის შესახებ ერთ-ერთ უაღრესად პრაქტიკულ და დროულ ამოცანას წარმოადგენს. მთავარი, რითაც განსხვავდება საზაფხულო თვეები სხვა თვეებისაგან, ესაა ის, რომ ამ ხნის განმავლობაში ადგილი აქვს მუშა-მოსამსახურეთა მასიურათ დასვენებას. წარსულ წლების გამოცდილებით ვიცით, რომ ამ მხრივ ზაფხული უარყოფით გავლენას ახდენდა წარმოებისა და დაწესებულების ნორმალურ მუშაობაზე.

შვებულების ტალღა იძულებულ იტაცებს ზოგიერთ დაწესებულება-წარმოებებს, რომ ზოგჯერ რამდენიმე კვირების განმავლობაში და შეიძლება უფრო მეტი ხნითაც მუშაობა ეცემა და დაწესებულება-წარმოება მოკლებულია საშუალებას ნორმალურათ შეასრულოს თავისი ფუნქციები. ცხადია ზაფხულის პერიოდში, თავისებურ სეზონურ პირობების გამო, ჩვენ გვერდს ვერ აუქცევთ მუშა-მოსამსახურეთა მასიურათ დასვენების აუცილებლობას, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ მიუხედავათ უკვე რამდენიმე წლის გამოცდილებისა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ დასვენების რაციონალურათ მოწყობა.

დაწესებულება-წარმოებებმა წინასწარ უნდა გაითვალისწინონ ის დაბრკოლებანი, რომელნიც შეიძლება გამოწვეულ იქნას მასიურ შვებულებების გამო. ამისათვის საჭიროა მტკიცე გეგმის შემუშავება და მისი ურყევათ გატარება ცხოვრებაში. ამას გარდა დაწესებულება-წარმოებების ხელმძღვანელებმა თავიდანვე უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ შვებულებაში ან დასასვენებლათ მიმავალი მუშა-მოსამსახურე არ დააბრკოლოს თავის დროზე საშვებულებო კომპენსაციის მიუცემლობით. თუ ეს საკითხი არ იქნა მოგვარებული, არავითარი აზრი არ ექნება წინასწარ გეგმის შედგენას.

არა ნაკლებ საპასუხისმგებლო ამოცანა ისმება ზაფხულის პერიოდში კულტურულ-განმანათლებელ ორგანოების წინაშე. ამ ხნის განმავლობაში კულტურული დასვენების საქმე უნდა შეცვლილ იქნას სეზონურ პირობებთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებთან შეფარდებით. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ქალაქად მომუშავე კლუბებისა და სხვა კულტურულ გასართობების საყურადღებოთ. საჭიროა ამ ორგანოების მუშაობა იმდენად შინაარსიანი და მიმზიდველი იყვეს, რომ მუშა-მოსამსახურეს დასვენების შემდეგ გაუადვილდეს მუშაობა. საჭიროა კულტურულ-განმანათლებელ ორგანოებმა თავიანთი მუშაობით შექმნან ისეთი პირობები, რომ შეასუსტონ ზაფხულობით მასიური ლტოლვა შვებულებისადმი. ეს მეტად რთული და მძიმე ამოცანაა. სამწუხაროთ უნდა ითქვას, რომ კულტურულ დასვენების საქმე საზოგადოთ და განსაკუთრებით საზაფხულო დასვენება ჯერ კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. საჭიროა ამ დარგში ყოველწლიურ გამოცდილების შესწავლა, საჭიროა მეტი მონდომება და ენერგია საზაფხულო დასვენების შესაფერისად გამართვისათვის.

რაც შეეხება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობას ზაფხულის თვეებში, აქაც იგივე მოვლენას აქვს ადგილი, როგორც ეს არის წარმოება-დაწესებულებათა პრაქტიკაში. საზოგადოებრივი მუშაობა ზაფხულობით კლებულობს და ზოგან სრულიად ეცემა. ამ არანორმალურ მოვლენას ჩვენ კიდევაც შევეჩვიეთ, ის ბუნებრივათ მიგვაჩნია. ნამდვილათ კი თვით საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის სისუსტეს უნდა მიეწეროს ეს ნაკლი.

ჩვენ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ვერ გამოუნახავთ თავიანთი საზაფხულო მუშაობის ფორმები. ბევრ შემთხვევაში ისინი ერთხელვე აღებული შაბლონით აწარმოებენ მუშაობას ზამთარში და ზაფხულშიაც. არც ერთი ორგანიზაცია არ მუშაობს „დროისა და სივრცის გარეშე“. შეუძლებელია, რომ წელს ესა თუ ის დრო თავის საკითხებს არ აყენებდეს ყოველ ორგანიზაციის წინაშე. მიუხედავათ ამისა არც ისე ხშირია შემთხვევა, როცა ორგანიზაციები თავიანთ მუშაობის გეგმას აშენებენ წინამდებარე სეზონის თავისებურებასთან და მოთხოვნილებასთან შეფარდებით.

ზაფხული უკვე დაიწყო ბევრ წარმოება-დაწესებულებებში, და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მთელ სიმწვავით სდგას ზემოაღნიშნული საკითხები. ჯერ კიდევ დრო არის, რომ შემჩნეული ნაკლულოვანებანი გამოვასწოროთ, ჯერ კიდევ შესაძლებელია ყველა მოსალოდნელ სიძნელეების გათვალისწინება და მათი თავიდან აცილების მიზნით სათანადო ზომების მიღება.

საზაფხულო მუშაობის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება უკეთ იქნას მოწყობილი მუშა-მოსამსახურეთა დასვენება, და რაც შეიძლება უმტკივნეულოთ ჩატარდეს ეს წარმოება-დაწესებულებისათვის. ჯერ-ჯერობით ჩვენ ბევრ შემთხვევაში ასეთი მდგომარეობა არა გვაქვს. ადგილი აქვს ან ერთს—ან მეორეს. ან მუშა-მოსამსახურეთა დასვენება ხდება უსისტემოთ, უგეგმოთ და ამით ზარალობს დაწესებულება-წარმოება, ან დასვენებისა და შვებულების საქმე იმდენად ცუდათაა დაყენებული, რომ მუშა-მოსამსახურენი ვერ ისვენებენ და ვერ ანაზღაურებენ წლის განმავლობაში დაკარგულ ჯანმრთელობას.

ჩვენი მიზანია ბოლო მოუღოთ ასეთ არანორმალობას. საზაფხულო მუშაობის ძირითადი გეზი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

ბ. ბ.—ნი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისმა ჟენევაში ვერ შექმნა ანტი-საბჭოთა ფრონტი

უცხოეთის პრესა აღნიშნავს ჩემბერლენის სრულ დამარცხებას ჟენევაში

„დეილი ჰერალდ“ სწერს: ,,ბრიანმა და შტრეზემანმა აგრძნობინეს ჩემბერლენს, რომ მათი პოლიტიკა საბჭ. კავშირის მიმართ არ არის დამოკიდებული ინგლისის პოლიტიკისაგან“

ლატვიის საგარეო სამინისტროს კომისიამ მოიწონა სავაჭ. შეთანხმება საბჭ. კავშირთან

დიდი ანტი-იაპონური მოძრაობა ჩინეთში.—მდგომარეობა სამოქალაქო ომის ფრონტებზე

ჩემბერლენს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა

ბერლინი, 19 ივნისი. ახალი დაწვრილებითი ცნობები შტრეზემანისა და ჩემბერლენის ჟენევის მოლაპარაკების შესახებ გამოქვეყნებული არ არის.

როგორც სჩანს, ჩემბერლენმა იმის შემდეგ, რაც ჟენევიდან ბრიანის გამგზავრებით მოისპო საერთო შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა, დაიწყო შემდგომი მოლაპარაკება. როგორც სჩანს, იმავე მიზნით მოლაპარაკების გასაგრძელებლად გერმანია შეყვანილ იქნა სამანდატო ტერიტორიების კომისიაში, რასაც დღემდე ეწინააღმდეგებოდა უმთავრესად ინგლისი. (ადს).

ლონდონი, 19 ივნისი. „დეილი ჰერალდი“-ს ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება:

„რუსეთის შესახებ წარმოებულ კერძო მოლაპარაკების საბოლოო შედეგი ნულს უდრის. როგორც ბრიანმა, ისე შტრეზემანმაც ნათელყვეს, რომ მათი პოლიტიკა რუსეთის მიმართ არ არის დამოკიდებული ინგლისის პოლიტიკაზე“. (ადს(.

ლოიდ-ჯორჯი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ

ლონდონი, 20 ივნისი. წერტში გამოსვლის დროს ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა:

„ევროპის ოცდა სამმა თუ ოცდა ოთხმა სახელმწიფომ ინგლისის მაგალითის მიხედვით ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან, მაგრამ არც ერთ მათგანს ინგლისისათვის არ მიუბაძავს, როცა ჩვენ ურთიერთობა ჩავშალეთ მოსკოვთან. ჩვენ გულზე ხელი ვკარით მრავალმილიონიან ვაჭრობას და ამასთანავე ვაჭრობას ისეთ ქვეყანასთან, რომელსაც გააქვს ჩვენს საქონელთან მეტოქეობას მოკლებული საქონელი. ჩვენ ეს ჩავიდინეთ არა აღელვების, არამედ ყოველგვარი მოსაზრების უქონლობის გამო. როცა საქმე შეეხება ურთიერთობის გაწყვეტას 140 მილიონიან ხალხთან, გვმართებს თუ არა ცოტათი დაფიქრება? მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ გადაწყვეტილება, რომელიც დააჩქარა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ჩაშლა (გადაწყვეტილება არკოსში შეჭრის შესახებ) საერთოდ არ განუხილავს კაბინეტს. წინასწარ ნაბიჯების შესახებ, რომელმაც ინგლისი იქამდე მიიყვანა, რომ მან, ერთად-ერთმა ევროპის ცივილიზაციურ ქვეყნებს შორის გასწყვიტა კავშირი საბჭოთა კავშირთან, არასოდეს არ ჰქონიათ თათბირი კაბინეტთან. სამხედრო მინისტრმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს დოკუმენტების დაკარგვის შესახებ და გამოსთქვა ეჭვი, რომ ისინი ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. ხიქსმა ამის შესახებ აცნობა ბოლდუინს. მან განაცხადა, რომ საჭიროა ნაბიჯების გადადგმა დოკუმენტის აღმოსაჩენად. ბოლდუინს არ ჰქონდა შეგნებული, თუ რას ნიშნავდა ეს. ასეთია მისი გონება. ხიქსმა გადასწყვიტა გაჩხრეკის მოხდენა, მაგრამ ის, რომ კაბინეტთან არ ჰქონია თათბირი ამ საკითხზე. როცა თქვენ იჭრებით საელჩოში კარების შემტვრევის გზით, მშვიდობიანობის დაცვის შესაძლებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

„განიარაღების“ კონფერენცია

რომელიც შეიარაღების გადიდებაზე იმსჯელებს

ბერლინი, 19 ივნისი. 20 ივნისს ჟენევაში იხსნება კულიჯის ინიციატივით მოწვეული სამი სახელმწიფოს (ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების, ინგლისის და იაპონიის) კონფერენცია საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის საკითხების განსახილველად.

საფრანგეთს კონფერენციაზე წარმომადგენლად ეყოლება ინფორმატორი, იტალიას—მეთვალყურე.

ინგლისის პრესის ცნობით, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ, რომ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების, ინგლისისა და იაპონიისათვის ვაშინგტონის შეთანხმებით დაწესებული საზღვაო შეიარაღების შეფარდება: 5:5:3:3 გავრცელდეს ყველა კატეგორიის გემებზე; ამის წინააღმდეგ გადაჭრით ილაშქრებს იაპონია.

ჩრდ.-ამ. შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ აგრეთვე მოითხოვონ, **რომ კრეისერების საარტილერიო ზარბაზნების უმაღლეს კალიბრად დაწესებულ იქნეს 9 დიუმი, ინგლისი კი მოითხოვს დატოვებულ იქნეს 6 დიუმიანი ზარბაზნები, რაც მას გაუადვილებს სავაჭრო ფლოტის შეიარაღებას ომის შემთხვევაში.**

ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ ნებადართულ იქნეს კრეისერების საერთო ტონაჟის აყვანა ინგლისის კრეისერების ტონაჟის რაოდენობამდე, **რაც შეერთებულ შტატებს საშუალებას მისცემს გააფართოვოს კრეისერების მშენებლობა.**

ჩრდ.-ამ. შეერთებული შტატები ცდილობენ თავიდან აიცდინონ იმ სადავო საკითხების განსახილველად დასმა, რომლებიც შეეხებიან ფლოტს წყნარ ოკეანეზე, პანამის არხს, ნიკარაგუას ტერიტორიით არხის გაყვანას და საზღვაო გზების თავისუფლებას. (ადს).

შვეციის კომკავშირის ფურცლები

სტოკჰოლმი, 19 ივნისი. ინგლისის ესკადრის მიერ მალმეს ნავთსადგურში შესვლის დროს, შვეციის კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ ინგლისელ მეზღვაურებს დაურიგა ფურცლები ინგლისურ ენაზე, რომლებშიაც აღნიშნული იყო, რომ ინგლისის ფლოტის დემონსტრაცია ბალტიის ზღვაში წარმოადგენს ანტი-საბჭოთა კამპანიის ერთ-ერთ გამოხატულებას. **ფურცლები მოუწოდებდენ ინგლისელ მეზღვაურებს არავითარ შემთხვევაში არ მიემართათ იარაღი რუს ამხანაგების წინააღმდეგ.**

ესკადრის სტოკჰოლმში მისვლის დღეს, კომუნისტურმა „ფოლკეტს დაგბლად პოლიტიკენ“-მა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ფურცლის ტექსტი ინგლისურ ენაზე. (ადს).

გრიგალი ჩრდილოეთ-გერმანიაში

ბერლინი, 19 ივნისი. 17 ივნისს ჩრდილოეთ-გერმანიაზე გადაიარა არაჩვეულებრივმა გრიგალმა და სეტყვამ, რამაც დიდი ზარალი გამოიწვია ბერლინში.

კილში მეხი დაეცა გერმანიის სამხედრო გემს „ელზას“, რომელსაც ცეცხლი გაუჩინა. მეხი დაეცა აგრეთვე ცენტრალურ ელექტრო-სადგურს და რამდენიმე ხნის განმავლობაში ქალაქი კილი სიბნელით იყო მოცული (ადს).

სახალხო არმიის წინსვლა

ფრონტებზე

შანხაი, 19 ივნისი. ამერიკული ყოველკვირეული **„ჩაინა უიკლი რევიუ“** შემდეგნაირად ახასიათებს სამხედრო მდგომარეობას ჩინეთში.

„ლუნხაის რკინის გზა ლინ-ბაოდან (ხენანის პროვინციაში) სუ-ჩჟოუმდე (ცზიან-სუს პროვინციაში) და დანარჩენი ტერიტორია აღმოსავლეთით ყვითელი ზღვის ნაპირებამდე ფინ-იუი-სიანის და ჩან-კაი-შის ხელშია. ჩან-კაი-შის ჯარებმა აიღეს ჩჟოუ-ფუ, შანდუნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაც შესაძლებლობას იძლევა დაიწყოს შეტევა ტაი-ანფუს მიმართულებით, სადაც ჩჟან-ცზუნ-ჩანს გადაწყვეტილი აქვს გაუწიოს პირველი სერიოზული წინააღმდეგობა ნანკინის ჯარებს. ამავე დროს ჩან-კაი-შის მთავარი ძალები მიიწევენ ტიან-ძინ-პუკოუს რკინის გზის მიმართულებით. **ფინ-იუი-სიანის ჯარები მიიწევენ აღმოსავლეთით, ლუნხაის რკინის გზის გასწვრივ. გარდა ამისა, ფინ-იუი-სიანმა თავისი ჯარების ნაწილი გაგზავნა ჩრდილო-აღმოსავლეთით იმ მიზნით, რომ დაიკავოს ტა-მინ-ფუ და შემდეგ წინ წაიწიოს ტე-ჩჟოუსაკენ, შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში. თუ ფინ-იუ-სიანმა შესძლო ამ გეგმის განხორციელება, მაშინ ჩჟან-ძუნ-ჩანი იძულებული გახდება დასტოვოს შანდუნის პროვინცია, რაც, როგორც სჩანს, მოკლე ხანში მოხდება“.** (ადს).

ფრანგები ტიან-ძინში

შანხაი, 19 ივნისი. ტიან-ძინში ჩავიდა ფრანგების რაზმი, რომელიც შესდგება 500 კაცისაგან და შეიარაღებულია ტყვიისმფრქვეველებით. (ადს).

იან-სენი ხაფანგში

შანხაი, 19 ივნისი. იან-სენის ჯარებმა დაარბიეს ქალაქი შახი. **იან-სენი მოკლებულია შესაძლებლობას დაბრუნდეს სი-ჩუანში მდინარე იან-ცზით, ვინაიდან მისი მთავარი დასაყრდენი პუნქტი ვან-სიანი დაკავებულია სი-ჩუანის პროვინციის მტრული ჯარებით.** (ადს).

ლემპსონის ანგარიში

პეკინი, 19 ივნისი. „ნორდ ჩაინა სტანდარტის“ ცნობით, ინგლისის ელჩმა ლემპსონმა მიმართა პეკინის საგარეო საქმეთა მინისტრს მემორანდუმით, რომელშიაც ჩამოთვლის იმ ზარალს, რომელიც მიაყენა სამოქალაქო ომმა ჩინეთში მყოფ ინგლისის მოქალაქეებს და მოითხოვს აღნიშნულ პრეტენზიების დაკმაყოფილებას. (ადს).

უხანთან თანამშრომლობისათვის

შანხაი, 19 ივნისი. გომინდანის აღმასკომმა (მემარჯვენეების) ნანკინში პარტიიდან გამორიცხა ვან-ცზინ-ვეი, იმ საბაბით, რომ „ვან-ცზინ-ვეი უხანთან მუშაობს“-ო. (ადს).

ანტი-იმპერიალისტური მოძრაობა ჩინეთში

იაპონიის საწინააღმდეგო მოძრაობა

შანხაი, 19 ივნისი. მოეწყო იაპონიის საწინააღმდეგო მოძრაობის ხელმძღვანელი კომისია, რომელშიაც შედიან გომინდანის, პროფკავშირების, ვაჭრების, სტუდენტების, სამხედრო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისია მოთხოვნილებებათ აყენებს შემდეგს: შეწყდეს ვაჭრობა იაპონიის საქონლით, შეწყდეს აგრეთვე იაპონიის საქონლის გადმოტვირთვა გემებიდან და გაზეთებს აეკრძალოთ იაპონურ ფირმების და წარმოებების განცხადებების მოთავსება.

გაზეთი „მინგო შიბაო“ აქვეყნებს მოწოდებას მუშებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ჩან-ძო-ლინმა დახმარებისათვის მიმართა იაპონიას, მუშები უნდა ამხედრდენ ამის წინააღმდეგ და უნდა ჩაშალონ ეს კავშირი. დამახასიათებელია, რომ მოწოდებაში არც ერთი სიტყვა არ არის კომუნისტების წინააღმდეგ. კანტონის უცხოელთა უბანში შესდგა დემონსტრაცია იაპონელების წინააღმდეგ. გაკრული იყო იაპონიის საწინააღმდეგო პლაკატები, აეროპლანები ყრიდენ პროკლამაციებს (ადს).

„დეილი-ტელეგრაფის“ პროვოკაცია

ლონდონი, 19 ივნისი. „დეილი ტელეგრაფი“ და „დეილი ჰერალდი“ აქვეყნებენ „იზვესტია“-ს ცნობებს ელვენგრენის ჩვენებათა შესახებ, რომლებიც გადაცემული იყო საბჭ. კავშ. დეპეშათა სააგენტოს მიერ 16 ივნისს.

ამის გამო „დეილი ტელეგრაფი“ ილაშქრებს საბჭ. კავშ. დეპეშათა სააგენტოს წინააღმდეგ და სწერს:

„საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ოფიციალური ხასიათის გამო, გაკვირვება უნდა გამოვსთქვათ მხოლოდ, რომ მას აქვს განყოფილება ლონდონში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განყოფილება გაიზიარებს საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის ბედს, რადგან მის მოღვაწეობას აქვს აშკარა პროპაგანდისტული ხასიათი“. (ადს).

ვინ ავრცელებს ჭორებს

ვარშავა, 19 ივნისი. „რეჩ პოსპოლიტა“ პროტესტს აცხადებს პოლონეთის საზოგადოებაში პანიკის თესვის წინააღმდეგ. საბჭ. კავშირის შესახებ საშიში ცნობების გავრცელების გზით. ხელოვნურად შექმნილ განწყობილების დასახასიათებლად „რეჩ პოსპოლიტა“ იუწყება, რომ ვილნოს კორესპონდენტი შეეკითხა ვარშავას—რამდენად სწორია, რომ მოჰკლეს საფრანგეთის ელჩი მოსკოვში და რომ საფრანგეთი და პოლონეთი სწყვეტენ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან. ამას უნდა დაემატოს, რომ კავერდას საქმეზე განაჩენის გამოტანის წინ, ვარშავაში დაბეჯითებით ვრცელდებოდა ხმები, თითქო მოსკოვში დაარბიეს პოლონეთის საელჩო და პატაკი გაეგზავნა ვარშავაში. (ადს).

ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

ზომები კონფლიქტის მოსაგვარებლად

ვენა, 19 ივნისი. ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა“ იუწყება, რომ საფრანგეთმა წინადადება მისცა ინგლისსა და გერმანიას მიიღონ ზომები ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

სამხრეთ-სლავიის მთავრობა გაფრთხილებულია უცხოეთის სახელმწიფოების ახალ დიპლომატიურ ღონისძიებების შესახებ ტირანში. ცნობა, რომელიც გადაეცა ამის შესახებ სამხრეთ-სლავიის, შეიცავს თხოვნას, რომ მან დროებით თავი შეიკავოს რაიმე ზომებისაგან ალბანეთის მიმართ.

სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გადასწყვიტა ჯერ-ჯერობით თავი შეიკავოს ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარის სრულიად დახურვისაგან.

ამრიგად ურთიერთობის გაწყვეტა ალბანეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის ამოიწურება დიპლომატიური და საკონსულო კორპუსის გაწვევით. (ადს).

რუმინეთი არჩევნების წინ

ვერ შეუთანხმდენ

ვენა, 19 ივნისი. მოლაპარაკება მუშურ-გლეხურ ბლოკსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ერთიანი ფრონტით გამოსვლის შესახებ რუმინეთის საპარლამენტო არჩევნებში, მარცხით დამთავრდა. სოციალ-დემოკრატებმა მოითხოვეს, რომ შეერთებულო სიას ქონოდა სოციალ-დემოკრატიული სიის სახელწოდება და სოციალ-დემოკრატებს მისცემოდათ ყველა კანდიდატების დასახელების უფლება.

მუშურ-გლეხურმა ბლოკმა უარყო ეს მოთხოვნილებები და გადასწყვიტა არჩევნებში გამოსულიყო დამოუკიდებლად. (ადს).

პეტლიურელების ყრილობა

ვარშავა, 19 ივნისი. კვირას კრაკოვში შესდგა პეტლიუროველების ყრილობა. ყრილობაზე ჩამოვიდა ასი დელეგატი.

ყრილობამ მოსციცკის და პილსუდსკის გაუგზავნა სამადლობელო დეპეშა იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელსაც უწევენ უკრაინელ ემიგრანტებს პოლონეთის ტერიტორიაზე. (ადს).

რეიხსტაგის კომფრაქციის შეკითხვა

ბერლინი, 19 ივნისი. რეიხსტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ წარუდგინა მთავრობას შეკითხვა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ჩაშლამ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიპლომატიური, იდეოლოგიური, სამეურნეო და საფინანსო ჯვაროსნული ომის დაწყებამ ინგლისის ხელმძღვანელობით, კონფლიქტების სერიოზულად გამწვავებამ ცალკე, იმპერიალისტურ მთავრობებს შორის, ინგლისის და სხვა სახელმწიფოების განუწყვეტელმა ინტერვენციამ განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ ჩინეთში, კოლონიალურ ხალხთა განმანთავისუფლებელ მოძრაობის ჩაქრობისაკენ მიმართულმა პოლიტიკამ და, დაბოლოს, გერმანიის ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა უკანასკნელ დროს,—ყოველივე ამ გარემოებებმა დიდათ გააძლიერეს მსოფლიო ომის საფრთხე.

კომუნისტური ფრაქცია აყენებს კითხვას, მზად არის თუ არა მთავრობა ახლო მომავალში განმარტება წარმოუდგინოს რეიხსტაგს თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის შესახებ. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ახალი კონტრ-რევოლიუციონური კამპანია

შანხაი, 20 ივნისი. მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების შიშით, ნანკინის მთავრობამ კვლავ დაიწყო არალეგალურ მდგომარეობაში გადასულ ოპოზიციონურ ელემენტების დევნა. სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს ბრძანება არ შეასუსტონ ბრძოლა ოპოზიციის წინააღმდეგ. მაგრამ მიუხედავად მიღებული სასტიკი ზომებისა, შანხაის ქუჩებში კვლავ ვრცელდება არალეგალური ფურცლები და არალეგალურ გაზეთის „სუნ იატ-სენის“ ნომრები; გაზეთი ჰკიცხავს ჩან-კაიშის სამხედრო რეჟიმს და მოუწოდებს მოსახლეობას ჩან-კაი-შის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და უხანის მთავრობისათვის მხარის დაჭერისაკენ. (ადს).

გერმანელ კომუნისტ-ქალების კონფერენცია

ბერლინი, 20 ივნისი. დაიხურა სრულიად გერმანიის კომუნისტ-ქალების კონფერენცია, კონფერენციამ მიმართა ყველა მშრომელ ქალებს მოწოდებით ჩადგენ კლასიური ფრონტის რიგებში იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად. (ადს).

დანციგის დელეგაცია

ლენინგრადი, 20 ივნისი. ჩამოვიდა დანციგის სავაჭრო-სამრეწველო მოღვაწეთა დელეგაცია, რომელშიაც შედიან დანციგის მეურნეობის უმსხვილეს დარგების წარმომადგენლები. დელეგაციის მიზანია სავაჭრო ურთიერთობათა განახლება საბჭოთა კავშირთან (ადს).

ჩემბერლინის და ლევინეს გაფრენა

ბერლინი, 19 ივნისი. ამერიკელი მფრინავები ჩემბერლინი და ლევინე 18 ივნისს აეროპლანით „კოლუმბია“ ლიუფტმანზის ორი დიდი სამგზავრო აეროპლანის თანხლებით დილის 10 საათზე გაფრინდენ მიუნხენში, სადაც ჩაფრინდენ 15 საათზე. 17 საათზე ჩემბერლინი და ლევინე გადაფრინდენ ვენაში, სადაც ჰაეროდრომზე დაეშვენ 19 საათზე (ადს).

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება

ჰელსინგფორსკი, 20 ივნისი. ეხლახან დამთავრებულ ფინლიანდიის მუშათა სპორტიულ კავშირის ზეიმში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მსუბუქ ატლეტიკის შეჯიბრის დროს საბჭოთა სპორტსმენებმა 6 პირველი ადგილი დაიჭირეს (ადს).

ფინ-იუი-სიანის არმიის წინსვლა

ხანკოუ, 19 ივნისი. ჯერ კიდევ შეუმოწმებელ ცნობების მიხედვით, ფინ-იუი-სიანის მოწინავე რაზმები უკვე შევიდენ ჩჟილის პროვინციაში და დაიკავეს ტამინ-ფუ, პროვინციის სამხრეთ ნაწილში (ადს).

საერთაშორისო კონგრესი საციებელ საქმის შესახებ

ბაქო, 20 ივნისი. ამ დღეებში აზერბეიჯანის რესპუბლიკის საციებელ კომიტეტის წევრი პროფესორი გოლოვინი მიემგზავრება რომში, სადაც უნდა დაესწროს საერთაშორისო კონგრესს საციებელ საქმის შესახებ. (ადს).

როზენგოლცის ჩამოსვლა

მოსკოვი, 20 ივნისი. მოსკოვში ვარშავიდან დაბრუნდა ამხ. როზენგოლცი (ადს).

ავსტრიის კომპარტიის ყრილობა

ვენა, 19 ივნისი. ვენაში გაიხსნა ავსტრიის კომპარტიის მეცხრე ყრილობა. (ადს).

ამერიკელი სტუდენტები

მოსკოვი, 20 ივნისი. 25 ივნისს საბჭოთა კავშირში ჩამოდის ამერიკელ სტუდენტების ერთი ჯგუფი 26 კაცისაგან შემდგარი. სტუდენტების ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა წარმოებების და უმაღლეს სასწავლებლების მუშაობის გაცნობა. 29 ივნისს საბჭოთა კავშირში ჩამოვა ამერიკელ სტუდენტების მეორე ჯგუფი.

სულ საბჭოთა კავშირს ზაფხულის განმავლობაში ეწვევა ასამდე ამერიკელი სტუდენტი (ადს)

უცხოელი სტუდენტების წინადადება

მოსკოვი, 20 ივნისი. პროლეტარულ სტუდენტობის ცენტრალურმა ბიურომ მიიღო დრეზდენის უნივერსიტეტის 15 სტუდენტისაგან წინადადება, რომ მათ სურთ ეწვიონ საბჭოთა კავშირს და გაეცნონ განათლების საქმის დაყენებას და საბჭოთა შრომის სკოლის მდგომარეობას.

მოსკოვი, 20 ივნისი. სამხრეთ-სლავიის სტუდენტების ერთმა ჯგუფმა სთხოვა პროლეტარულ სტუდენტობის ცეკას ხელი შეუწყონ მათ ჩამოსვლას საბჭოთა კავშირში (ადს).

ჩქარი მატარებლის დამსხვრევა

ლენინგრადი, 20 ივნისი. სადგ. ნეველის ახლოს ლენინგრადში მიმავალი სასწრაფო მატარებელი № 8 დაეჯახა რელსებზე მდგარ ვაგონეტკას. ორთქლმავალი ლიანდაგს ასცდა. მატარებელი დაჭერილ იქნა 30 წუთით (ადს).

სპილენძზე მომუშავეთა პროტესტი

ლონდონი, 19 ივნისი. სპილენძზე მომუშავეთა ნაციონალური კავშირის წლიურმა კონფერენციამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია, არკოსზე თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს, **რომ ინგლისის მთავრობამ ბოდიში მოიხადოს საბჭოთა მთავრობის წინაშე და აუნაზღაუროს ზარალი საბჭ. კავშირის სავაჭრო წარმომადგენლებს.** (ადს).

ხანძარი ქაღალდის ქარხანაში

ლენინგრადი, 20 ივნისი. ლენინგრადის ქაღალდის ტრესტის ქაღალდის ქარხანაში კანტისენში იფეთქა ხანძარმა, რომელმაც გაანადგურა ქაღალდის განყოფილება (ადს).

ავტომობილის კატასტროფა

განჯა, 20 ივნისი. განჯის ერთ-ერთ ქუჩაზე კერძო პირის ავტომობილი გაიხლართა ტელეფონის მავთულებში, მოთხარა ტელეგრაფის ბოძი, რომლის დაცემის დროს მოკლულ იქნა შოფერი და მისი თანაშემწე.

გაფრთხილება რუს ემიგრანტებს

ანგორა, 19 ივნისი. ოსმალეთის გაზეთები აფრთხილებენ რუს ემიგრანტებს—თეთრგვარდიელებს, რომ ისინი დაუყონებლივ განდევნილი იქნებიან ოსმალეთის საზღვრებიდან, თუ მათი მხრით ადგილი ექნა „თუნდაც ერთ საეჭვო გამოსვლას“. (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის
სავაჭრო ხელშეკრულება

რიგა, 19 ივნისი. „სოციალ-დემოკრატს“-ის ცნობით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიურ ხელშეკრულებათა განმხილავმა კომისიამ მოიწონა ლატვია-საბჭ. კავშ. სავაჭრო ხელშეკრულება ივლისში მთავრობა მოიწვევს სეიმის საგანგებო სესიას ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. (ადს).

ახკომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 20 ივნისი. ახალგაზრდა კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმის შაბათისა და კვირის სხდომებზე გაიმართა კამათი ამხ. მანუილსკის მოხსენების გარშემო.

დისკუსიის ცენტრში იდგა ჩინეთის რევოლიუციის საკითხი და საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის ახალი ფრაქციონური გამოსვლა. ორატორებმა ერთსულოვნად და სასტიკად გაკიცხეს ტროცკისა და ვუიოვიჩის ახალი ფრაქციონური გამოსვლა, ისინი ერთხმად შეუერთდენ კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუციას.

გადაფრენები

მოსკოვი, 20 ივნისი. 19 ივნისს ტროცკის სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე მოხდა „ჯვარედინ გადაფრენაში“ მონაწილეთა სადღესასწაულო შეხვედრა, რომელიც მოაწყო თავდაცვა - ავიოქიმის ხელის შემწყობმა საზოგადოებამ. საბჭოთა კავშირის ცხრა სხვადასხვა პუნქტიდან მოსკოვში მოფრინდა იმავე დღეს გადმოფრენილი 12 აეროპლანი. აეროპლანზე იყვნენ მფრინავები, მეთვალყურეები და მექანიკოსები. აეროპლანების მოფრენის ვადათ დანიშნული იყო 18 საათი (სად. 6 საათი). პირველი აეროპლანი ლენინგრადიდან მოფრინდა 17 საათსა და 12 წუთზე. მეორე აეროპლანი ხარკოვიდან მოფრინდა 17 საათსა და 25 წუთზე. გადაფრენის სხვა მონაწილენი კი რამდენიმე წუთების გამოშვების შემდეგ მოფრინდნენ აღნიშნულ ჰაეროდრომზე. გადაფრენის მონაწილეებს ძალიან უშლიდათ ხელს—ქარი, წვიმა და ღრუბლიანობა.

შეხვედრის შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ: რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე **ს. ს. კამენევი**, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსის თანაშემწე ამხ. **ალკსნისი** და საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოების გენერალური მდივანი.

„დღეს,—სთქვა კამენევმა, -ჩვენ პირველ პასუხს ვაძლევთ ჩემბერლენს. ამ პასუხმა უნდა ჩააფიქროს ჩვენი მტრები, სანამ ისინი ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშრებენ. ისინი შეხვდებიან ჩვენს ესკადრილიას, რომელიც ყოველთვის მზათ არის“.

მისალმებებს პასუხი გასცა მფრინავმა **სტოლიაროვმა**.

ჟიური

მოსკოვი, 20 ივნისი. 21 ივნისს შესდგება გადაფრენის ჟიური. ამის გამო მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საჰაერო სამხედრო ძალთა უფროსის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა ამხ. ალკონისმა აცნობა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს, რომ აეროპლანების მტკიცედ განსაზღვრულ დროზე მოფრენა მოსკოვში საუკეთესოდ ამტკიცებს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ჰაეროფლოტის პირადი შემადგენლობის მომზადებას, საბჭოთა პროდუქციის ყველა ძრავები მთელი გადაფრენის განმავლობაში უშეცდომოდ მუშაობდენ. საბჭოთა თვითმფრინავების საშუალო სისწრაფე 25-30 კილომეტრით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე თანაბარ ტიპის უცხოეთის თვითმფრინავებისა, რომლებიც გადაფრენაში იღებდენ მონაწილეობას.

უცხოეთში

მექსიკის მთავრობის ბრძოლა კათოლიკურ სამღვდელოებასთან

მოახლოებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა გაამწვავა წინააღმდეგობანი მექსიკის სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი აქვს კათოლიკური სამღვდელოების ბრძოლას პრეზიდენტ კაიესის მთავრობის წინააღმდეგ.

კათოლიკური სამღვდელოების იერიშები კაიესის მთავრობის წინააღმდეგ გამოწვეულია 1917 წ. მიღებული ახალი კონსტიტუციით, რომლის ძალითაც ეკლესია გამოყოფილი იქნა სახელმწიფოდან და სამღვდელოებას წაერთვა მიწის ფლობის უფლება. თავის ბრძოლაში მთავრობის წინააღმდეგ სამღვდელოება სარგებლობს აგრარული რეფორმით უკმაყოფილო მემამულეების დახმარებით. უკანასკნელ ხანებში კათოლიკების ანტი-სახელმწიფოებრივი მოქმედების ცენტრად გადაიქცა ხალისკოს შტატი, ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი რაიონი.

წარსულ წელს ეკლესიის შესახებ გამოცემულ ახალ კანონთან დაკავშირებით, კათოლიკურმა სამღვდელოებამ ბოიკოტი გამოუცხადა ყველა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებს და მღელვარება გამოიწვია მოსახლეობაში. მღელვარების ჩასაქრობათ გამოიწვიეს ჯარები, რომლებმაც იარაღს მიმართეს. შეტაკების დროს მოკლული იქნა 40 კათოლიკე. ყველა ეკლესიებთან სამხედრო რაზმები დააყენეს.

ამჟამად კათოლიკური სამღვდელოება ახალ იერიშებს ამზადებს მთავრობის წინააღმდეგ. მთელ რიგ რაიონებში კათოლიკებმა შეადგინეს ნაძირალების ბანდები, რომლიდანაც მემამულეთა „არმიის“ შედგენას აპირებენ. მთავრობა თავის მხრივ სასტიკ რეპრესიებს ამზადებს მეამბოხეთა წინააღმდეგ.

ა. ხ.

კრიზისი ინგლისის ნახშირის მრეწველობაში გრძელდება

მემაღაროეთა შარშანდელი გაფიცვის წყალობით, კრიზისი ნახშირის მრეწველობაში, რომელსაც ხანგრძლივი ხასიათი აქვს, კიდევ უფრო გამწვავდა.

ინგლისელმა კაპიტალისტებმა იმ მიზნით, რომ დაებრუნებინათ გაფიცვის დროს დაკარგული ბაზრები, ევროპის სამრეწველო ცენტრები გაავსეს ნახშირით, რომელსაც თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში ყიდდენ. მაღაროების პატრონების ამ ტაქტიკამ გამოიწვია ნახშირის ფასების დაცემა.

საფრანგეთმა, რომელიც ინგლისური ნახშირის ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელთაგანია, პირველმა მიიღო ზომები თავისი ბაზრის დასაცავად ინგლისის კონკურენციისგან. ფრანგ ნახშირის მრეწველების ზეგავლენით, საფრანგეთის მთავრობამ ამ დღეებში მიიღო კანონპროექტი, რომელიც ზღუდავს ინგლისური ნახშირის შემოზიდვას.

საფრანგეთის მთავრობის ეს ღონისძიება, რომელიც საგრძნობ ზიანს აყენებს ინგლისის მაღაროების პატრონებს, კიდევ უფრო გაამწვავებს კრიზისს ნახშირის მრეწველობაში და გაადიდებს უმუშევრობას ინგლისელ მემაღაროეთა შორის. ცნობილმა ლიბერალმა **დონალდ მაკლინმა** „შრომისა და კაპიტალის თანამშრომლობის საზოგადოების“ სხდომაზე განაცხადა: „ნახშირის მრეწველობაში გამეფებული კრიზისი შეუძლებლად ხდის საკითხის დასმას ხელფასის გადიდების შესახებ. მე ვშიშობ, რომ ნახშირის მრეწველობის წინაშე ჩქარა დაისმება საკითხი ხელფასის შემცირების შესახებ, რომელიც ისედაც დაბალია“.

მაგრამ ხელფასის დაკლება არ წარმოადგენს მხოლოდ მომავლის საკითხს, მაღაროების პატრონები, მემაღაროეთა გაფიცვის დამარცხების პირველი დღეებიდან განაგრძობენ შეტევას მუშების წინააღმდეგ. შრომის ხელფასი შემცირებულია მთელ რიგ სამთამადნო რაიონებში. იორკშირის რაიონში ხელფასი შემცირებულია 2 მან. 50 კაპ. კვირაში. ეს ფაქტი საგულისხმოა, რადგან იორკშირის რაიონში ნახშირი მზადდება შინაური ბაზრისათვის, სადაც ნახშირის ფასები მტკიცეა.

ამჟამად სამხრეთ-უელსის მაღაროების პატრონები (სამხრეთ-უელსში მზადდება საექსპორტო ნახშირი) ცდილობენ მიაღწიონ შრომის ხელფასის შემცირებას 21 პროცენტით, რაც შეადგენს 3 ნახევარ—5 მანეთს კვირაში.

ამერიკელი კაპიტალისტები მონებით ვაჭრობენ

თავისუფალი კაპიტალების დასაბანდებლად, ახალი ბაზრების ძებნის პროცესში შეერთებული შტატების მთავრობამ თავისი ყურადღება შეაჩერა აბისინიაში (აფრიკაშია) არსებულ მონობაზე. გაზ. „ჩიკაგო დეილი ნიუს“ იუწყება, რომ აბისინიის მთავრობამ შეიმუშავა უცხოელ კაპიტალისტებისათვის მონების მიყიდვის პროექტი. ვითომდა მონების „განთავისუფლების“ მიზნით უცხოეთის კაპიტალისტები კისრულობენ ამ პროექტის განხორციელებას. მონების „განთავისუფლება“ მოხდება შემდეგ პირობებში: უცხოეთის კაპიტალი აბისინიაში იჯარით იღებს მიწის ნაკვეთებს ხილის, ყავის, კაუჩუკის და სხვ. მცენარეების პლანტაციების გასაშენებლათ და აგრეთვე რქოსან საქონლის, ცხვრების და ცხენების მოსაშენებლად. უცხოეთის კაპიტალისტები თავის განკარგულებაში იღებს ყველა მონებს, რომლებსაც ამუშავებს ამ პლანტაციებში. მონებს დანიშნული ექნებათ „ხელფასი“, რომლის ნახევარი ეძლევა მონების პატრონებს, მეორე ნახევარი კი აბისინიის მთავრობას. ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ არ მოგროვდება მონების „გასანთავისუფლებლად“ საკმაო თანხა. „სპეციალისტების“ გამოანგარიშებით ამისათვის საკმაო იქნება 5 წელიწადი.

შეერთებულ შტატების ვაჭრობის სამინისტრო აქვეყნებს რა ამ პროექტს, ურჩევს ამერიკელ კაპიტალისტებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ მას.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ფეიქართა შრომის დაცვა

მოსკოვი, 20 ივნისი. ფეიქართა ც. კ. პლენუმზე შრომის დაცვის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, ამხ. გლებოვმა განაცხადა, რომ ფეიქართა 18 ტრესტმა დაცვის ტეხნიკის გაუმჯობესებისათვის მიიღო 7 მილიონი მანეთი. რესპუბლიკანურ ტრესტებს ამავე მიზნისათვის დამატებით გადაეცა 150.000 მანეთი.

ნებაყოფლობითი წითელარმიაში

მოსკოვი, 20 ივნისი. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ დაამტკიცა დებულება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში ნებაყოფლობითი სამსახურის შესახებ. მოქალაქენი, რომელთაც სურვილი აქვთ ნებაყოფლობით იმსახურონ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო ნაწილში მიღებულნი იქნებიან სამსახურში მხოლოდ სამწყობრო შემადგენლობაში.

ხელფასის გადიდება სამეცნიერო მუშაკთათვის

მოსკოვი, 16 ივნისი. რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა გაუდიდოს ხელფასი ზოგიერთ სამეცნიერო მუშაკებს. ხელფასის გადიდებისათვის მომავალ წელში გადადებულ იქნება 8 მილ. მან.

„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“

მოსკოვი, 18 ივნისი. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ ფონდისთვის საშუალებების შეგროვება გაცხოველებით სწარმოებს. ლენინგრადის საგუბერნიო პროფსაბჭომ გადასდო 3.000 მან. ბლაგოვეშჩენსკში აგროვებენ საშუალებებს ამხ. ვოიკოვის სახელობის თვითმფრინავის ასაშენებლად. ვიატსკის საგუბერნიო აღმასკომმა და ქალაქის საბჭომ გადასდეს 3.000 მან. (ადს).

თავდაცვისათვის

მოსკოვი, 16 ივნისი. ლენინგრადის საბჭომ გამოუშვა მიმართვა, რომელშიაც იგი მოუწოდებს მოსახლეობას, რომ თავდაცვის ფონდში შეიტანონ შემოწირულება. თავისი თანხებიდან საბჭომ თავდაცვის ფონდის სასარგებლოდ გადასდო 3.000 მან.

ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიაში ჰაეროპლანის ასაგებად შეგროვილ იქნა 7.000 მან.

მფრინავები კოსტი და რინიო

მინსკი, 16 ივნისი. ფრანგი მფრინავები კოსტი და რინიო 15 ივნისს საღამოთი გაფრინდენ ვარშავის მიმართულებით. (ადს).

ამხ. პავლოვიჩ—ველტმანის გარდაცვალება

მოსკოვი, 20 ივნისი. 19 ივნისს გარდაიცვალა აღმოსავლეთ-მცოდნეობის სამეცნიერო ასოციაციის თავმჯდომარე, ძველი რევოლიუციონერი—ბოლშევიკი და აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის რექტორი ამხ. პავლოვიჩ-ველტმანი. ის ერთი, წლის წინად კიბოს სნეულებით გახდა ავად და სამკურნალოდ საზღვარ-გარეთ გაემგზავრა. მოკეთების შემდეგ მოსკოვში დაბრუნდა. თებერვალში სნეულება უფრო გაუძლიერდა. ამხ. პავლოვიჩი გარდაიცვალა 56 წლის.

სიცოცხლეში დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. მისი შრომები აღმოსავლეთის და ათრიკის შესწავლის საქმეში კიდევ დიდხანს დარჩება სახელმძღვანელოდ, განსაკუთრებით უმაღლესი სასწავლებლების მსმენელთათვის.

სტუდენტობიდან დაწყებული ამხ. პავლოვიჩი მუდმივ დევნას განიცდიდა მეფის მოხელეებისაგან. იჯდა ციხეში და გადაგზავნილი იყო ციმბირში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ამხ. პავლოვიჩს ბევრი საპასუხისმგებლო თანამდებობანი ეჭირა. მშვიდობიანი მშენებლობის დაწყების შემდეგ ამხ. პავლოვიჩი მთელი თავისი არსებით ჩაება სამეცნიერო, პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდი განაგრძობდა ამ მუშაობას..

მოსკოვი, 20 ივნისი. ამხ. პავლოვიჩის ცხედრის დაკრძალვა მოხდება 21 ივნისს „ნოვოდევიჩი“-ს სასაფლაოზე. დაკრძალვის მომწყობი კომისია წინადადებას იძლევა გვირგვინების ნაცვლად „ოსსო-ავიაქიმის“ ფონდში იქნას შეტანილი შეწირულებანი ესკადრილიის „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ გასაძლიერებლად. (ადს).

მოსკოვი, 20 ივნისი. მოსკოვში მყოფმა სპარსეთის, ავღანისტანის, დასავლეთ ჩინეთის და სხვა ვაჭრებმა გადასწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ პავლოვიჩის დაკრძალვაში და გვირგვინები დასდონ საფლავზე და აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ პავლოვიჩის სახელის უკვდავსაყოფად ფონდის დაარსებაში.

მოსკოვი, 20 ივნისი. შესდგა სამგლოვიარო კრება ამხ. პავლოვიჩის ხსოვნის აღსანიშნავად. გამოვიდენ ამხ. პოშნიკოვი, რასკოლნიკოვი, პოკროვსკი, არალოვი და სხვა.

ამხ. ვოიკოვი დიპლომატიურ ასპარეზზე

მოსკოვი, 19 ივნისი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამხ. **არალოვმა** პრესის თანამშრომლებთან საუბარში ასე დაახასიათა ამხ. პ. ლ. **ვოიკოვი**, როგორც დიპლომატიური მუშაკი.

— მე ამხ. ვოიკოვთან ერთად ვმუშაობდი 1925 წლიდან 1926 წლამდე. პეტრე ლაზარეს ძე საბჭოთა კავშირის და პოლონეთის ეკონომიური დაახლოვების დიდი მომხრე იყო და ნაყოფიერ მუშაობასაც ეწეოდა ამ მხრივ. ის დროგამოშვებით ჩამოდიოდა მოსკოვში ჩვენს სამეურნეო ორგანოებთან მოსალაპარაკებლად პოლონეთთან სავაჭრო ურთიერთობის და კავშირის გაძლიერების მიზნით.

ამხ. ვოიკოვი მთელ თავის ენერგიას ახმარებდა ამ ორი ქვეყნის შორის მეგობრული კავშირის დამყარებას. ნორმალური ურთიერთობისა და მშვიდობიანობის იმ პოლიტიკის დაცვაზ, რომელსაც ყველგან იჩენს საბჭოთა კავშირის მთავრობა. მას კარგად ესმოდა, რომ ამ ქვეყნებს შორის სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერება, საუკეთესო საშუალებაა იმ უნდობლობის აღმოსაფხვრელად, რომელსაც საბჭოთა კავშირისადმი იჩენენ პოლონეთის სავაჭრო-სამრეწველო წრეები. ამავე საშუალებით შეიძლებოდა აგრეთვე იმ პოლიტიკური ხასიათის უნდობლობის გაქარწყლება, რომელსაც სარჩულად უდევს პოლონელების წინანდელი დაბეჩავება მეფის თვითმპყრობელობის მიერ.

ამხ. ვოიკოვი მომხრე იყო აგრეთვე ძველი სანაოსნო გზების განახლების, რომელიც შეაერთებდა პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს დნეპრისა და ვისლას არხის გაყვანით.

ამხ. ვოიკოვის სიკვდილი პოლონეთმა მის დანაკლისად უნდა გაიგოს. კავერდას ტყვია, რომელიც გასროლილი იყო ინგლისის ხელით, მოხვდა აგრეთვე ევროპის მშვიდობიანობას. პოლონეთის მთავრობამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს, რომ მომავალში არ განმეორდეს ასეთი ავაზაკური აქტი და თავის საზღვრებიდან განდევნოს ყველა შავრაზმელების და კონტრ-რევოლიუციონური ემიგრანტების ორგანიზაციები.

კლარა ცეტკინა
დაბადებიდან 70 წ. შესრულების გამო

მოსკოვი, 20 ივნისი. 5 ივლისს, ყველა ქვეყნების მუშა და გლეხი ქალები დღესასწაულებენ კლარა ცეტკინის 70 წლის თავს.

ამ დღისათვის მის რევოლიუციონურ მუშაობის ყველა თანამონაწილენი გამოაქვეყნებენ წერილებს და მოგონებებს.

დიდი წერილი ამხ. კლარა ცეტკინზე დასწერა ამხ. კრუპსკაიამ. მისი დაწვრილებითი ბიოგრაფია დასწერა აგრეთვე გერმანიის კომპარტიის წევრმა ქალმა **ამხ. ალექსანდერმა**.

ორივე ბროშურას სცემს სახელმწიფო გამომცემლობა.

„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“

მოსკოვი, 20 ივნისი. „ცენტროსოიუზის“ გამგეობამ დაარსა სამომხმარებლო კოოპერაციის ფონდი, ჰაეროპლანის საგებათ, რომლებიც შეავსებენ ესკადრილიას „ჩვენი პასუხი ჩემბრლეეს“. საოლქო და სარაიონო კავშირებს—გამგეობა მოუწოდებს, შეძლების დაგვარად აწარმოონ ანარიცხების აკრეფა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა და პაის მეპატრონეთა შორის.

ჯაშუშის დაპატიმრება

მინსკი, 19 ივნისი. როგორც უკვე იყო გამოქვეყნებული, გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს რწმუნებულის მოადგილეს ბელორუსიაში ამხ. ი. ოპანსკის, რომელიც დაიღუპა ავტო-დრეზინის ავარიის დროს, მოყავდა დაპატიმრებული პოლონელი ჯაშუში პორუჩიკი **იანი**.

მიღებული ზომებით ჯაშუში იანი დაპატიმრებულია საბჭოთა ტერიტორიაზე. ის დაჭერილია. მისი საქმის გამოძიება სასწრაფო წესით სწარმოებს.

პარტიული ცხოვრება

სომხეთის კ. პ. (ბ) ერევნის კომიტეტის პლენუმი

ერევანი, 20 ივნისი. დამთავრდა სომხეთის კომპარტიის ერევნის კომიტეტის მეხუთე პლენუმი.

პლენუმმა მიიღო რეზოლიუციები მოხსენებების გარშემო აგიტ-პროპმუშაობის საბინაო აღმშენებლობის, კომკავშირის ერევნის ორგანიზაციის მუშაობის და სხვ. შესახებ.

მოხსენების გამო ოპოზიციის გამოსვლის შესახებ მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ცნობა ზინოვიევის და ტროცკის გამოსვლის შესახებ, ერევნის კომიტეტის მეხუთე პლენუმი ჰკიცხავს ოპოზიციონური ბლოკის დეზორგანიზატორულ მუშაობას იმ რთულ პირობების დროს, როცა საერთაშორისო კაპიტალს იერიშები მოაქვს საბჭოთა კავშირზე. ტროცკი და ზინოვიევი, წინააღმდეგ თავიანთი განცხადებებისა, განაგრძობენ ფრაქციულ მუშაობას პარტიის ხაზის წინააღმდეგ, ძირს უთხრიან პარტიის მთლიანობას და ავრცელებენ ინსინუაციას მუშათა კლასის პარტიის წინააღმდეგ.

ერევნის კომიტეტის პლენუმი მოითხოვს გადამჭრელ ზომების მიღებას გათამამებულ დეზორგანიზატორების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად პლენუმს შეუძლებლად მიაჩნია, რომ ადგილობრივი ოპოზიციონერები, რომლებიც იზიარებენ ოპოზიციონური ბლოკის ხაზს, დატოვებულ იქნენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში. (ადს).

ერევნის კომიტეტის ახალი მდივანი

ერევანი, 20 ივნისი. ერევნის კომიტეტის პლენუმმა აირჩია კომიტეტის ახალი მდივანი. მდივნათ არჩეულ იქნა ამხ. სარქისიანი, რომელიც უკანასკნელ ხანებამდე, როგორც დაწინაურებული მუშა „აიმთუხკროპი“-ს თავმჯდომარეთ იყო, მდივნის მოადგილეთ და საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ არჩეულ იქნა სომხეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. აშოთ კარამანიანი. (ადს).

პარტიის ზრდა

პარტიის სოციალურად გაუმჯობესებას უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციების მითითებანი ქვემდგომ ორგანიზაციებისადმი, რომ მიღებულ იქნას ყოველივე ზომები, რათა პარტიაში არ შემოიპაროს სოციალურად უცხო და იდეოლოგიურად მიუღებელი ელემენტები. ბევრგან გაგებული იქნა ისე, თითქოს საჭიროა საერთოდ პარტიაში მიღების შემცირება.

ეს ხომ ასეა, ამაში ვრწმუნდებით თუნდაც შემდეგი მაგალითით: თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიონში ექვსი თვის განმავლობაში 1926 წლის 1 აპრილიდან ამავე წლის 1-ლ ოქტომბრამდე მიღებულ იქნა პარტიაში **127 მუშა.** 1926 წლის 1-ლ ოქტომბრამდე 1927 წლის -1ლ აპრილამდე, ე. ი. შემდეგი ექვსი თვის განმავლობაში მიღებული იქნა მხოლოდ **54 მუშა.**

ცხადია, ასეთი მდგომარეობა არა თუ უწყობს ხელს პარტიის სოციალურად გაჯანსაღების საქმეს, პირიქით, ის კიდევ უფრო ასუსტებს მუშურ შემადგენლობას პარტიაში. სწორი ხაზი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის სოციალურად გაჯანსაღების მიზნით გავაძლიეროთ პარტიაში დაზგის მუშების და მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა მიღება.

კერძოთ თბილისში, იმავე რაიონში, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, დიდი შესაძლებლობაა პარტიაში მუშური ელემენტების მისაზიდავათ. ასე მაგალითად ამ რაიონის წარმოებებში ითვლება სულ 2.300 კაცზე მეტი მუშა და მათ შორის მხოლოდ 418 პარტიის წევრია, ე. ი. მუშათა მთელი რიცხვის 17 პროცენტი.

ასეთ არანორმალურ მოვლენებს პარტიის ზრდისა და სოციალურად გაჯანსაღების საქმეში ადგილი აღარ უნდა დაურჩეს. პარტიის შემადგენლობაში მუშურ და მოჯამაგირე გლეხობის ბირთვის გაძლიერება არას შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული, როგორც პარტიის კარების გამოკეტვა. პირიქით, უნდა გაძლიერებულ იქნას ახალ წევრთა მიღება. მაგრამ ეს მიღება უნდა შეეხოს უმთავრესად მუშებსა და ღარიბ-ლატაკ გლეხებს.

ჩ. ბ ი.

ჩვენი აგიტკომისიის მუშაობა
(ლენინის რაიონი, საშემოსავლო ნაწილის კომუჯრედი)

საშემოსავლო ნაწილის კომუჯრედის აგიტკომისიის მუშაობა თავისი მოწოდების სიმაღლეზე სდგას, რომელიც სათანადო ხელმძღვანელობას უწევს ადგილკომის კულტკომისიის საქმიანობას. აგიტკომისია ხშირად ისმენდა კულტკომისიის მოხსენებებს თავისი მუშაობის შესახებ და ეწყობოდა ორთავ კომისიების გაერთიანებული სხდომები. ასეთი მუშაობის შემდეგ შესაძლებელი გახდა კულტკომისიის მიერ წითელ კუთხესთან სხვადასხვა წრეების ჩამოყალიბება, როგორიც არის: [illegible]—ქართულ და რუსულ ენაზე, შახმატის მოთამაშეთა, დრამატიული წრეებისა—ქართულ და რუსულ ენაზე, მომღერალთა და აგრეთვე რადიოს მოყვარულთა.

ყოველ ორ კვირაში გამოდის კედლის გაზეთი, რომლის მუშაობის მსვლელობის გასაძლიერებლად ჩამოყალიბებულია მუშკორთა წრე. ამ წრეში შედის 30 კაცი. გაზეთების გავრცელების მხრივ მეტად სასურველი მდგომარეობაა. ყველა პარტიულები და კომკავშირელები იწერს გაზეთს. არც უპარტიონი ჩამორჩებიან მათ ამ მხრივ.

მოგვარებულია დამოკიდებულება და ხელმძღვანელობა კომკავშირსა და ნორჩ პიონერებთან.

პარტგანათლების დარგში—მოქმედობს ორი სკოლა 1-ლი და მე-2 საფეხურის. მსმენელთა რიცხვიდან 80 პროც. პარტიის წევრებია. აგიტკომისიამ მოისმინა მოხსენება სკოლების მუშაობის შესახებ, მოხსენება მმასახლისის, და თავის წარმომადგენლის (სკოლაში) მოხსენება და სხვა. აგიტკომისიას არა აქვს შედგენილი კვალიფიკაციური მუშაკების სია. არ არის აღრიცხვა აგიტპროპ ძალებისა და არ ხდება მათი დატვირთვის გამოკვლევა.

ქ. ქ—ლი.

პარტიიდან გამორიცხულთა შესახებ

პარტიიდან გამორიცხული პირები შეიძლება ორ ჯგუფათ დავყოთ. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, ვინც პარტიის რიგებს გარეშე დარჩენ, როგორც სოციალურად ჩვენთვის უცხო ელემენტები და როგორც გაუსწორებელი ბოროტმოქმედნი: მაგრამ პარტიიდან გარიცხულთა შორის არიან ისეთი ამხანაგებიც, რომელნიც თუმცა პარტიის რიგებს გარეშე მოჰყვენ. მაგრამ თავს მაინც რევოლიუციონერებათ გრძნობენ, ცდილობენ მჭიდრო კავშირი შეინარჩუნონ უჯრედთან და ძველ პარტიულ ამხანაგებთან. აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოთა აღმშენებლობაში და სხვა. უკანასკნელი კატეგორიის ამხანაგები შეიძლება მივაკუთვნოთ პარტიიდან გამორიცხულთა მეორე ჯგუფს.

ამის შემდეგ ისმება საკითხი იმის შესახებ, როგორი უნდა იყოს პარტორგანიზაციის დამოკიდებულება გარიცხულ ამხანაგების მიმართ?

თავისთავად ცხადია, რომ პარტიიდან განდევნილთა ზემოთდახასიათებულ პირველ ჯგუფს შორის უჯრედის მუშაობა ბევრ ვერაფერ ნაყოფს გამოიღებს. თვით ეს ჯგუფი იმდენად გაგარეგნებულია, რომ პარტიულ ბილეთის ჩაბარებისთანავე საბოლოოთ შორდება ორგანიზაციას და თავისი გზით იწყებს სიარულს.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, აქ მდგომარეობა სულ სხვაა. უჯრედებს მართებთ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ ამ ჯგუფის ამხანაგებისადმი. უნდა ჩააბან ისინი სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობაში, უნდა ეცადონ მათი თავის გავლენის ქვეშ დააყენებს, უნდა დაეხმარონ მათ იმ ნაკლის გამოსწორებაში, რომლის გამოც ამხანაგები პარტიის გარეშე მოყვენ და არას შემთხვევაში არ უნდა დაუშვან ამგვარი ამხანაგების დევნა, მათი გამასხარავება, როგორც ამას ზოგჯერ ადგილი აქვს უჯრედის მუშაობაში.

ჩვენ ბევრი მაგალითები ვიცით, როცა პარტიიდან რაიმე ნაკლის გამო გამორიცხულ ამხანაგს იმდენად გამოუსწორებია თავისი შეცდომა, რომ შემდეგ ის ისევ დაბრუნებია კომპარტიის რიგებს და ღირსეულათ უტარებია პარტიის წევრის საპატიო და საპასუხისმგებლო სახელი. ადგილობრივი პარტორგანიზაციები უნდა ეცადონ, რომ ყოველნაირათ ხელი შეუწყონ პარტიიდან გამორიცხულ ამხანაგის გამოსწორებას.

დ. ვ—ა.

ქალთა შორის მომუშავეთა ა.-კ. თათბირი

19 ივნისს საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. რუბენის მოხსენება [illegible] მუშაობის შესახებ მუშა და გლეხ-ქალთა შორის.

ამხ. რუბენის მოხსენება

მომხსენებელი მოკლედ შეჩერდა საერთოდ მასიურ მუშაობის საკითხებზე და აღნიშნა, რომ მასიური მუშაობა მუშა და გლეხ ქალთა შორის სუსტადაა დაყენებული. ამს ხელს უწყობს ა.-კ. სპეციალური პირობები, რომლებიც საშუალებას არ აძლევს მუშა და გლეხ ქალებს ჩაებან მასიურ მუშაობაში. მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **ხშირად ჩვენი ამხანაგები თავიანთ ცოლებს აიძულებენ, რომ ისინი კრებებზე არ წავიდენ და არ ჩაებან საზოგადოებრივ მუშაობაში.**

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მასიურ მუშაობის დარგში ჩვენ გვაქვს მიღწევები. წარსულთან შედარებით იზრდება მშრომელ ქალთა აქტივობა. ძირითადი მიზანი—განაგრძობს მომხსენებელი—მასიური მუშაობა მდგომარეობს ქალთა თვითშეგნების აწევაში.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებულმა გამოკვლევამ აშკარა გახადა ის ფაქტი, რომ ადგილებზე ორგანიზაციული—ყოველდღიური ხელმძღვანელობა ქალთა განყ. კომიტეტის მიერ მოისუსტებდა. აღსანიშნავია, რომ ზოგან ქალთა შორის მუშაობას უყურებენ როგორც მუშაობის სხვა დარგს, რომელიც თითქოს დამოუკიდებელია. უჯრედებშიაც ხშირად ქალთა ორგანიზატორებს აწევს მუშაობა და ბიურო ამ მხრივ არას ფერს აკეთებს. ეს დეფექტები იმდენად საგულისხმოა, რომ იგი მნიშვნელოვან დაღს ასვამს ქალთა შორის მასიურ მუშაობის გაღრმავებას.

დასასრულ, გადადის რა ხელმძღვანელთა მომზადების საკითხზე. მომხსენებელი ამბობს—მუშაობა მაშინ იქნება დაყენებული კარგად, როდესაც გვეყოლება მომზადებული მუშაკები ადგილებზე. შეჩერდა რა პარტიაში ქალთა მიღების საკითხზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად ა.-კ. საოლქო კომიტ. პლენუმის სათანადო დადგენილებისა, ამ მხრივ ჯერაც არაფერია გაკეთებული. ამ გარემოებას მომხსენებელი ხსნის ქალთა შორის მომუშავეთა სუსტი მზარეებით.

დასასრულ, მომხსენებელი ამბობს, საჭიროა ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობის გაღრმავება. აღმზრდელობითი მუშაობის გამოცოცხლება და მჭიდრო კავშირის დაჭერა აგიტ-პროპ. განყოფილებებთან. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი,. რითაც დაიხურა სხდომა.

ვ. დ.

კომკავშირში
ჩვენი უჯრედის მუშაობა

(№ ქართ. მსრ. ლეგ. ა. ლ. კ. კ.)

ამას წინათ მოწვეულ იქნა ლეგიონის კომკავშირის გაერთიანებული კრება, იმ მოხსენებებიდან, რომელიც კრებაზე გაკეთდა გამოირკვა, რომ მიმდინარე წელში შესამჩნევად გაიზარდა კომკავშირელთა აქტივობა კულტურულ დარგში. სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობაში ჩაბმულია კომკავშირელთა 70 პროც. მეტი, სხვადასხვა თვითმოქმედების ორგანიზაციებში კი იმყოფება თითქმის კომკავშირელთა მთელი შემადგენლობა.

შემდეგისათვის ბიურომ უნდა აიღოს კურსი უჯრედის წევრთა მეტი პოლიტიკური გათვითცნობიერებისაკენ.

ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად განმტკიცებულია ორგანიზაციის შიგნით კომკავშირელთა დისციპლინა, რამაც ხელი შეუწყო მისი გავლენის გაძლიერებას უპარტიო წითელარმიელებზე. კ. კავშირის სამხედრო და პოლიტიკურ დარგში მომზადების საქმეს იმიტომ ეძლევა მთავარი ყურადღება, რომ მათმა შეძლონ უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ სოფლად თ. ხ. ს. „ოსოს“ და სხვა ნებაყოფლობითი ორგანიზაციებში მუშაობის გაღრმავება და ხელის შეწყობა მშრომელთა გასამხედროების საქმეში.

კ. კ. ორგანიზაციის ზრდის დარგში ყოფილა სასურველი შედეგები, თვითნებობას ადგილი არ ჰქონია, ზრდა მიმდინარეობდა უმთავრესად მუშების და ღარიბი გლეხების ხარჯზე.

კ. კ. წევრთა კულტურული დონეს ამაღლებას ხელს უწყობდა საკავშირო სკოლები, მხოლოდ სკოლის მეცადინეობის მეთოდი პირველ წლებში არ იყო კომისიონურად თემის დამუშავების ფორმებით, რაც გამოწვეული იყო თვით მსმენელთა პოლიტიკურად მოუმზადებლობით. რაც შემდეგში იქმნა გამოსწორებული, მხოლოდ მომავალში ახალი ბიურო ყველა წარსული მუშაობისათვის დამაბრკოლებელი მიზეზების პრაქტიკით გააძლიერებს კულტმუშაობას კომკავშირში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო საგრძნობმა ნაწილმა.

კამათში მონაწილე ამხ-ბის უმრავლესობა აღნიშნავდენ ბიუროს სამოქალაქო ორგანიზაციასთან კავშირის სისუსტეს.

ი. ჭოჭუა.

ოთხშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საკავშირო კომპარტიის ა.-კ. საოლქო კომიტეტის შენობაში შესდგება ქალთა შორის მომუშავეთა ა.-კ. **თათბირის უკანასკნელი სხდომა** უჯრედების ქალ - ორგანიზატორებთან ერთად

დღის წესრიგი:

ამხ. მამია ორახელაშვილის
მოხსენება
სართაშორისო მდგომარეობის შესახებ

რა ხდება გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში*)

(რუდოლფ ჰილფერდინგის მოხსენების გამო სოც.-დემოკრატების ყრილობაზე ქალაქ კილში)

პარტიები ჰილფერდინგის მიხედვით თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნაწილებია (როგორც „მოქალაქეების“ ორგანიზაციები). რომელ პარტიებზეა ლაპარაკი? რაც შეეხება ცენტრის პარტიას, ნაციონალისტებს და სხვა—ეს, რასაკვირველია, ერთგვარად სწორია. რა ითქმის სოციალ-დემოკრატიებზე? არც ეს იწვევს ეჭვს. არაფერი შეიძლება ვსთქვათ იმ ძვირფასი აღსარების წინააღმდეგ, რომელსაც ჰილფერდინგი აკეთებს.

„წინათ, როცა არც პოლიტიკური პასუხიმგებლობა გვაწვა და არც გავლენა გვქონდა, პარტიული ყრილობების რეზოლიუციებს აგრე-რიგად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა—ამბობს ის. დღეს ჩვენ პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, დღეს სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოს აუცილებელი ნაწილია, ამიტომ, ჩვენ არ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არავითარ შემთხვევაში პასუხისმგებლობას არ ვკისრულობთ. ეს მხოლოდ ჩვენი მტრებისთვის იქნებოდა ხელსაყრელი. ჩვენ, კოალიციის პრინციპიალური მოწინააღმდეგეები აღარ გვყავს პარტიაში, ხოლო თუ კოალიციის საკითხი ტაქტიკის საკითხია, ანგარიში უნდა გაუწიოთ ტაქტიკის ცვლილების ყოველგვარ შესაძლებლობას“.

სოციალ-დემოკრატია ტაქტიკურად თავის პოლიტიკურ გავლენას იყენებს მხოლოდ იმისათვის, რომ ბურჟუაზიას დაუმეგობრდეს მთავრობაში და „სახელმწიფოში“. კოალიციის პოლიტიკა მისი ტაქტიკის „დედაბოძია“. ჰილფერდინგს ვერავინ წაართმევს უფლებას (და მეტად საეჭვო „პატივს“), რომ თავის პარტიას გაბატონებული კლასის ორგანიზაციის ნაწილი უწოდოს, მაგრამ არსებობს ერთი პარტია, რომელიც აღშფოთებულია და სრული უფლებით უკუ აგდებს ასეთ პატივს და რომელიც არ ეკუთვნის გაბატონებული კლასის ორგანიზაციას. ეს პარტია თავის მოღვაწეობას ულმობელ ბრძოლას ანდომებს მუშათა კლასის ინტერესების გულისთვის, მჩაგვრელი კლასებისა და მათი სახელმწიფოს წინააღმდეგ; ეს პარტია თვით ბურჟუაზიულ პარლამენტშიც ბურჟუაზიული სახელმწიფოს აფეთქებას ამზადებს. ეს არის კომუნისტური პარტია. კარგი იქნებოდა, რომ კომუნისტურ პარტიაზე გამოსცდიდეს ჰილფერდინგი თავის სკანდალურ „თეორიას სახელმწიფოს შესახებ“, იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელიც თითქოს ყველა „მოქალაქეებს“ შეიცავს“. თავისი თავხედობის მიუხედავად ის ვერ გაბედავს ეს პარტია „გაბატონებული კლასის ორგანიზაციის“ აუცილებელ „ნაწილად“ გამოაცხადოს. ამას მაინც არავინ დაიჯერებდა. ყველანი სასაცილოდ აიგდებდენ ჰილფერდინგს. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიას, მას ყველანი სიამოვნებით დაუჯერებენ, რომ ეს პარტია ბურჟუაზიული ორგანიზაციების „აუცილებელი ნაწილია“. აქ ჰილფერდინგი მთელი ასი პროცენტით ჭეშმარიტებას ამბობს. თუ ჰილფერდინგს ასეთი უძლეველი მოთხოვნილება აქვს დაამტკიცოს, რომ „გაბატონებული კლასების ორგანიზაცია“—სახელმწიფო—„პარტიათა გარეშე“ (!) ორგანიზაცია არისო—ჩვენ მას ვურჩევთ უბრალოდ მოიქცეს. აიღოს ჩვეულებრივი ბურჟუაზიული „სახელმძღვანელო სახელმწიფო უფლების“, რომელსაც უმაღლეს და საშუალო სკოლებში ასწავლიან. იქ ჩვეულებრივ სწერია: „სახელმწიფო არის ხალხი, რომელსაც განსაზღვრული ტერიტორია უჭირავს და რომელიც მთავრობის ძალით არის შეკავშირებული“-ო.

აქ „სახელმწიფო“ ცნებაში თვით ტერიტორია არის შეტანილი. რა გინდათ უკეთესი? ტერიტორია თავის თავად სრულიად არა კლასობრივი საგანია. შავ მიწასა, თიხნარსა და ქვიშიან მიწას შორის არავითარი „კლასობრივი წინააღმდეგობა“ არ არსებობს. ეს საუცხოვო გაშუქებაა ჰილფერდინგის სახელმწიფოებრივი თეორიისა. ასეთ სახელმძღვანელოს მან უნდა წააწეროს „მარქსისტული მეცნიერება“.

ტაქტიკური დასკვნა, რომელსაც ჰილფერდინგი თავისი ოპორტუნისტული და არევ დარეული თეორიიდან აკეთებს, იმაში მდგომარეობს, რომ სოციალ-დემოკრატიამ უნდა იბრძოლოს „კლასობრივი შინაარსისთვის და გავლენის მოსაპოვებლად გაბატონებული კლასების ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე“ (რომლის მიზანი, ორატორის სიტყვით „კლასობრივი ბატონობის შენარჩუნებაა“). არც ერთი სიტყვით არ არის ნახსენები ბურჟუაზიული მთავრობის დამხობა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს განადგურება როგორც წინასწარი პირობა პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობისა.

მეორე მხრით სოციალ-დემოკრატია იბრძვის სახელმწიფოს გავლენის გასაძლიერებლად, ე. ი. იმავე გაბატონებული კლასების ორგანიზაციის გავლენის გასაძლიერებლად: თითქო ამაში მდგომარეობდეს მუშათა კლასის „პოლიტიკური პრინციპი“. ამრიგად, გამოდის, რომ სოციალიზმი მეურნეობაში იზრდება იმდენად, რამდენადაც იზრდება მისი გავლენა სახელმწიფოში, ბურჟუაზიის ამ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციაში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აქ აღარაა დარჩენილი რევოლიუციონური სოციალისტური ტაქტიკისა და იდეოლოგიის ნიშან-წყალი. აქ მხოლოდ რეფორმიზმი, მხოლოდ მონურად ქედის მოხრაა ბურჟუაზიის წინაშე, მეტი არაფერი.

⁂

ჩვენ დავინახეთ, რომ ჰილფერდინგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს „სახელმწიფოებრივ რეფორმებს“. ეს რასაკვირველია იმისთვის ხდება, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ბურჟუაზიის ბატონობის ფორმად კი არ წარმოიდგინოთ, არამედ დემოკრატიულ სამოთხეთ.

ჩვენი ორატორი დემოკრატიულ აღფრთოვანებაში ისე შორს მიდის, რომ საზოგადოთ ბურჟუაზიული დემოკრატიის არსებობას უარყოფს. ამასთანავე საყურადღებოა, რომ გერმანია მოჰყავს როგორც მაგალითი. გერმანიაში არსებულ დემოკრატია, ჰილფერდინგის აზრით არ არის ბურჟუაზიული დემოკრატია.

მოვუსმინოთ მას:

„ისტორიულად თუ განვიხილავთ საკითხს, დემოკრატია ყოველთვის პროლეტარიატის საქმეაო—ამბობს ის. თუ ზოგიერთები ამბობენ, რომ დემოკრატია ბურჟუაზიის საქმეთ გადაიქცა, ეს ნიშნავს ბურჟუაზიის ისტორიის უცოდინარობას. ნამდვილად არ არსებობს უფრო მძაფრი ბრძოლა ვიდრე ის, რომელსაც პროლეტარიატი დემოკრატიის გულისთვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ აწარმოებდა. ეს ბრძოლა პროლეტარიატის საგმირო საქმეთა რიცხვს ეკუთვნის და ისტორიულად უმართებულოა ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე ლაპარაკი. მე გაგახსენებთ პროლეტარიატის რამდენი სისხლი დაიღვარა საყოველთაო ხმის უფლების მოსაპოვებლად. ეს სიტყვა (ბურჟუაზიული დემოკრატია) ყალბია აგრეთვე სოციალისტური კრიტიკისა და ანალიზის თვალსაზრისით. დემოკრატია ნიშნავს სახელმწიფოს ნებისყოფის სხვაგვარ შემეცნებას. წინათ გერმანიის რეიხსტაგის ნებისყოფა წვრილმანი რამ იყო, თუ მას მილიტარიზმის უმაღლეს ბიუროკრატიის, ხელმწიფის ნებისყოფა უპირისპირდებოდა დღეს ფაქტიურად სახელმწიფოს ნებისყოფის შექმნა მხოლოდ ცალკე პირთა ნებისყოფის გაერთიანებას წარმოადგენს. დღეს მმართველებმა მოქალაქეებს უნდა შიმართონ და თავიანთი ბატონობა მოიპოვონ უმრავლესობის დადასტურების შემწეობით. თუ ეს დადასტურება არ მოხდა მათს ბატონობას დემოკრატიის ნიადაგზე ბოლო ეღება“.

ეს წარჩინებული ოპორტუნისტული ფრაზეოლოგია თემას იძლევა ასეთი ამოცანისათვის: „სად არის ბიუროკრატი“ და „სად არის კაპიტალისტი“. ჰილფერდინგისათვის ორივენი გაქრენ დღევანდელი გერმანიიდან.

დაუფიქრდეთ ამ საკითხს. „წინათ“ გერმანიაში ხელმწიფე, მილიტარისტები და ბიუროკრატები იყვნენ, რომელნიც რეიხსტაგის საქმეს მართავდენ. დღეს არც ხელმწიფეა, არც მილიტარიზმი (!) და არც ბიუროკრატები (!) ბიუროკრატები გაქრენ. შეიძლება გერმანელი მუშა, რურის ოლქის მემაღაროე, ჰამბურგელი გემის აღმშენებელი, ვედინგელი მელითონე მოგვეშველოს და სთქვას: არსებობს თუ არა ბიუროკრატია ჰინდენბურგის, შტრეზემანისა, სევერინგისა და გესლერის რესპუბლიკაში, სამფეროვანი დროშისა და „ფოლადის მუზარადის“ რესპუბლიკაში?

ამასთანავე იმედი გვაქვს, რომ გერმანელი მუშა დაგვეხმარება აგრეთვე გერმანელი კაპიტალისტის აღმოჩენაშიც. ის კაპიტალისტი არც წინათ მართავდა რეიხსტაგსო: მას „ხელმწიფე“, „მილიტარისტი“ და „ბიუროკრატი“ განაგებდენო. კაპიტალისტი ვერც დღეს შეჩვევია ამ საქმეს „სახელმწიფოს ნებისყოფა“ ცალკე „ნებისყოფათა კომპონენტად“ იქცაო“.

არც სიმდიდრეს, არც ეკონომიურ ძალას მნიშვნელობა არ აქვს, როცა სოციალ-დემოკრატი აღფრთოვანებულ სიტყვას ამბობს რესპუბლიკის შესახებ „დემოკრატიაში“ ყველანი „თანასწორნი“ არიან (!) „დღეს მმართველებმა მოქალაქეებს უნდა მიმართონ“. კაპიტალისტების კლასი „თანასწორია“ მუშათა კლასთან. და გერმანიაში არსებობს არა ბურჟუაზიული რესპუბლიკა (ეს კომუნისტების ბოროტი გამოგონებაა) არამედ.. არავინ იცის როგორი. (ცხადია, სოციალისტური, ან ყოველ შემთხვევაში „სოციალური“).

როგორი იდილიაა! როგორი სოციალ-დემოკრატიული „ნეტარებაა“!

რაც შეეხება ჰილფერდინგის „ისტორიულ“ ექსკურსს დემოკრატიის საკითხში, მას აქაც მარცხი მოსდის. უმჯობესი იქნებოდა, რომ უფრო ფრთხილად მოეპყრობოდა ისტორიულ საბუთებს მუშების მიერ ბურჟუაზიის წინააღმდეგ დაღვრილი სისხლის შესახებ.

დიახ, მუშებმა ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს დემოკრატიის გულისთვის თავიანთი სისხლი დაღვარეს. მაგრამ როდის? წარსულ საუკუნეში. დემოკრატიული რევოლიუციის ეპოქაში, როცა დღიურ წესრიგში იდგა საკითხი ფეოდალიზმის ნიშნების მოსპობისა. ზოგიერთი ევროპიულ სახელმწიფოში (რუსეთში მაგალითად) ამ ბრძოლამ მეოცე საუკუნემდე მიაღწია: აქ ჰილფერდინგის მეგობრები, რუსი მენშევიკები, ეწინააღმდეგებოდენ მუშების შეიარაღებულ აჯანყებას დემოკრატიის სასარგებლოთ და აყენებდენ ლოზუნგს: „დემოკრატიისთვის ბრძოლას ბურჟუაზია ხელმძღვანელობსო“ (ახლა კი ჰილფერდინგი უგალობს მუშებს, რომელთაც თავიანთი სისხლი დაღვარეს დემოკრატიისათვის. ეს ფარისევლობაა).

ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი, დღესაც არ გათავებულა ბრძოლა დემოკრატიისა ფეოდალებისაგან განთავისუფლებისათვის. მაგრამ ამ ბრძოლას იქ, როგორც სჩანს, მუშებისთვის გარდამავალი საფეხურის მნიშვნელობა ეჩნება.

რისთვის დაღვარეს თანამედროვე ევროპაში თავიანთი სისხლი მუშებმა 1917—1923 წლებში, ბატ. ჰილფერდინგ? განა დემოკრატიისათვის? არა, მხოლოდ პროლეტარული დემოკრატიისათვის. როგორც „ისტორიულადაც“ არ უნდა შეხედოთ მოვლენებს, ამ ფაქტს ვერ ამოშლით რუსეთის, უნგრეთის, ავსტრიის ისტორიიდან.

თუ ჰილფერდინგი მართლაც „მომხრეა“ იმ საქმის, რომლისთვისაც მუშები თავიანთ სისხლს ღვრიან, მან მუშების კლასობრივ საქმედ უნდა იცნოს პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, რის გულისთვისაც ბ. ნოსკეები და ბ. შეიდემანები მუშებს ხვრეტდენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი დაინახავენ, რომ ფრაზები „მუშათა სისხლის“ შესახებ ხოლოდ დემაგოგიური მიზნებისათვის სწერება, რათა მორცხვად გამართლებულ იქნან ის მკვლელები, რომლებიც მუშებს ჟლეტდენ ბერლინში, ბუდაპეშტში, ჰამბურგში, ვენაში, მიუნხენში. მით უმეტეს, რომ „დემოკრატი“ ჰილფერდინგი ესალმება „სახელმწიფო დროშის კავშირს“ და პირდაპირ ლაპარაკობს იარაღის გამოყენებაზე „რესპუბლიკის დასაცავად“ (თავის თავად ცხადია, რომ ეს უწინარეს ყოვლისა მიმართულია იმ მუშების წინააღმდეგ, რომელნიც პროლეტარიატის დიქტატურას ემხრობიან).

„დიდი გაუგებრობაა იმის თქმა, რომ ეს საეჭვო იქნება, მიტომ, რომ გაბატონებულნი პატივს არ სცემენ დემოკრატიასო. ჩვენთვის ეს პრობლემა კი არ არის, არამედ რაღაც თავის თავად საგულისხმო, რომ იმ წუთში, როცა ვინმე შეეცდება დემოკრატიის საფუძვლის დანგრევას, ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ მის განსამტკიცებლად. ეს არ არის ძალდატანების საკითხი. იმ გამოცდილების მიხედვით, რომელიც ჩვენ გერმანიაში მივიღეთ 1918 წელს და აგრეთვე რუსეთშიც მიღებულ იქნა, ძალადობა კლასობრივ ბრძოლაში, (მე ვლაპარაკობ ნამდვილ ძალადობაზე, დაჭრაზე, სროლაზე, დახჩობაზე) წარმოადგენს არა წარმავალ აჯანყებას, არამედ მეტად ხანგრძლივ, მეტად მწვავე და სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომს. მე ვამბობ: თუ დემოკრატიის საფუძველი განადგურდება, მაშინ ჩვენ თავდაცვას ვაწარმოებთ, მაშინ ჩვენ ქვეთხვევით და კვალად ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, მაშინ ჩვენ არჩევანი არ გვექნება. არაფერი არ აბრკოლებს სოციალიზმის განხორციელებას, ისე როგორც სამოქალაქო ომი. ჩვენ მეტად მძიმე მდგომარეობაში ვდგებით როგორც სოციალისტები, თუ პროლეტარული ხელისუფლება სამოქალაქო ომის შედეგი იქნება. ამიტომ, როგორც პროლეტარიატი, ჩვენ აუცილებლად დაინტერესებულნი ვართ დემოკრატიის შენარჩუნებით. ამიტომ გვინდა ჩვენ მისი დაცვა და მადლობას უძღვნით „სახელმწიფო დროშის კავშირს“ მისი მუშაობისათვის. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ის არავითარ მსხვერპლს არ დაიშურებს, რომ მუშათა კლასის ინტერესებისათვის რესპუბლიკა და დემოკრატია შეინარჩუნოს („პარტია სადღა გაქრა?“—ისმის ხმები). ამხანაგებო, თუ თქვენ ვერ გაიგეთ, რომ პარტიის უდიდესი ინტერესი რესპუბლიკის დაცვაა მოითხოვს, მაშ ჯერ კიდევ ვერ შეგიწვავლიათ პოლიტიკური ძალთა ურთიერთობის ანბანი“.

ის ფარისევლობა, რომელსაც ჰილფერდინგი აქ იჩენს, მართლაც რომ უმაგალითოა. ის თითქო არასასურველ მოვლენად სცნობს „სამოქალაქო ომს“. როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურას შემდეგი „მოსაზრებით“ უარჰყოფს: ის სამოქალაქო ომს იწვევს, ჩვენ კი ამის წინააღმდეგნი ვართო. როგორც ცნობილია ისინი თავს იტყუებენ იმით, რომ მშვიდობიანი დემოკრატიული გზა „გაუხსნით“ სოციალიზმისაკენ, სამოქალაქო ომის გარეშე.

და ეხლა ახლო დაკვირვების შემდეგ ირკვევა, რომ ფრაზები „მშვიდობიანი“ გზების შესახებ უაზრობა ყოფილა, რომელიც თვით სოციალ-დემოკრატებსაც არ სწამთ. ისინი ემზადებიან სამოქალაქო ომისთვის. ისინი არსებითად დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ომი აუცილებელია.

განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მათ სამოქალაქო ომის წარმოება უნდათ არა პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლათ, არამედ ბურჟუაზიული რესპუბლიკის დასაცავად. უბრალოთ რომ ვსთქვათ, ისინი ემზადებიან მონაწილეობის მისაღებათ ბურჟუაზიის მიერ წარმოებულ ბრძოლაში პროლეტარიატის წინააღმდეგ, როგორც ეს 1918—1923 წლებში მოხდა.

რაც უნდა დაგვიჯდეს უნდა გაიფანტოს ლეგენდა, თითქოს სოციალ-დემოკრატია წინააღმდეგი იყოს „სამოქალაქო ომისა“. ეს ტყუილია. საუკეთესოდ ამ ტყუილს თვით სოციალ-დემოკრატიის ბელადები ჰილფერდინგები და სხვები აბათილებენ. მაგრამ ეს „სამოქალაქო ომი“ მათ ესაჭიროებათ დღეს არსებული ბურჟუაზიული რესპუბლიკის დასაცავად. *)

სოციალ-დემოკრატები იცავენ დემოკრატიულ რესპუბლიკას—სადაც ბურჟუაზია ბატონობს ყოველი საშუალებით, თვით სამოქალაქო ომით, რომელიც პროლეტარული დიქტატურის მომხრე მუშების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

მეორე ინტერნაციონალის გონებაჩლუნგ „თეორეტიკოსებს“ არ ძალუძთ ისტორიის გაგება დიალექტურად. ბრძოლა დემოკრატიისათვის წინეთ არსებითად მუშების ამოცანა იყო, მაგრამ დღეს ბურჟუაზიამ ხელში იგდო დემოკრატიის იარაღი, საუცხოვოთ შეეთვისა მას და თვით ისიც მასების დაჩაგვრას შეუფარდა. დღეს, ფრაზების ლექვა დემოკრატიის შესახებ დანაშაულია მუშათა კლასის წინაშე, მისი გაყიდვაა ბურჟუაზიის ინტერესების გულისთვის.

ახლა საჭიროა ნიღაბი ჩამოეხსნას ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მისი ნამდვილი ხასიათი გამოაშკარავდეს და ამავე დროს ბრძოლა დაიწყოს პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

სხვა გზა არ არსებობს პროლეტარიატის ხელისუფლების დასამყარებლად, და განა მთელი ისტორიული გამოცდილება მჭერმეტყველად ამას არ ამტკიცებს? განა ის არ დასცინის სოციალ-დემოკრატ ჰილფერდინგს, რომელიც იძულებულია თავის რეფერატში ბედს შესჩივლოს—იცით რის გამო?—იმის გამო, რომ **ერთ** ქვეყანაში, უკვე ათი წელიწადია პროლეტარიატის დიქტატურა არსებობს, ხოლო „დემოკრატიულ სახელმწიფოებში“ პროლეტარიატს არსად დაუპყრია ხელისუფლება იმ საშუალებებით, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ურჩევენ მას.

„ჩვენთვის, ევროპისათვის, ყოველ შემთხვევაში დიდი უბედურებაა, რომ ბოლშევიზმის გამარჯვებამ დაასწრო დემოკრატიული რევოლიუციის გამარჯვებას გერმანიაში. ჩვენ რომ მაშინ დემოკრატიისთვის ჩაგვეჭიდა ხელი, უკეთ ვიბრძოლებდით მუშათა კლასის ასაღორძინებლად და მეტ წარმატებასაც მივაღწევდით“..

გერმანიაში მუშათა კლასმა 1918 წლის „დემოკრატიული რევოლიუციის გამარჯვების“ მიუხედავათ დღემდე ვერ დაიპყრო ხელისუფლება. და ეს არ არის „ისტორიული შემთხვევა“, რომელიც თითქო „იმ უბედურებით“ იყოს გამოწვეული, რომ პროლეტარიატმა გაიმარჯვა რუსეთში. პროლეტარიატმა რუსეთში **იმიტომ** დაიპყრო უფრო ადრე ხელისუფლება, რომ ის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საკუთარი დიქტატურისთვის იბრძოდა.

ამავე გზას გაივლის გერმანიის პროლეტარიატი ჰილფერდინგების და მათი დამქაშების მიუხედავათ.

ნ. ანკერი.

---

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 138.

*) შეიძლება ამ ბელადების მრავალი სიტყვის მოყვანა, სადაც ისინი ამართლებენ ძალმომრეობას, „სამოქალაქო ომს“, დემოკრატიის დასაცავად, ვითომდა ბურჟუაზიის, ნამდვილად კი, უმთავრესად, კომუნისტ მუშების წინააღმდეგ.

შეცდომის გასწორება.

ამხ. ნ. ანკერის პირველ წერილში, რომელიც ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში დაიბეჭდა გამშვებულია, სხვათა შორის, ერთი კორექტურული შეცდომა, რომელიც **სრულიად** ამახინჯებს ავტორის აზრს. იქ სწერია (მეთექვსმეტე სტრიქონი წერილის დასაწყისიდან) „...მან (ლაპარაკია ჰილფერდინგზე) დაიწყო „კატასტროფის თეორიის“ („ცუზამმენბრუხსტეორი“) **გამართლებით** და სხ. ამ უკანასკნელი, ხაზგასმული სიტყვის მაგიერ უნდა იყოს: **გაბათილებით.**

რედ.

პატარა ფელეტონი

ესე ამბავი ქარცივაძისა და უსტარი ნოე რამიშვილისა

ესე ამბავი საჯაყი
არცა თუ ნათარგმანები,
ქარცივაძისა უბეში
ნადები, საგოგმანები
ვპოვე და თქვენცა გაგანდეთ,
საქმე ვქენ საჭოჭმანები.
რამიშვილისა უსტარი,
და მისი ამოცანები.

ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?
ნოე ჩვენი რამიშვილი
დამხობილი უკვე ძირსა,
ზის და პროექტს სტამბოლში სწერს,
თან აგზავნის ჩვენში გზირსა;
სიზმარი რამ უნახია,
უჩვევია თუმცა ძილსა;
ბოლშევიზმი დამხობილა,
თვით ილოკავს ენა — პირსა,
ადგენს ახალ მთავრობასაც,
უნდა იყოს თავის წრისა.
„თვითონ ჰკერავს, თვითონ სჭრისა“.
(სჩანს რომ ღმერთიც გაუწყრება
კაცსა ხალხით განაწირსა:)

მომავალი ემისარი
ქარცივაძე ეტყვის მზესა:
—მზეო, თბილისს ჩამიყვანე,
ნუ შემიცვლი ღამედ დღესა.
რომ გადავცე ეს უსტარი
და ვაამო მით ნოესა.
„მეგობარი“ ელოდება
ხამს ღამესა, ხამსა დღესა:
—ზრასტი, ზნაკომ! გამარჯობა!
ქარცივაძეს ეტყვის ესა.
ამდენი ხნის უნახავი,
მიხარია, მოხველ ჩვენსა!
გიპოვნია, ვისაც ეძებ,
გამოგიწვდი ძმურად ხელსა!
გამომყვები და გიჩვენებ
„გრუზჩეკასა“ მძლეთა მძლესა.
მუხლი მოსწყდა ქარცივაძეს
და ამოხდა გულით კვნესა!
თან წერილი აღმოაჩნდა
დანაწერი წინა თვესა!
გადაშალეს ეპისტოლე
მოძმეთ მიმართ საკითხავი:
მოეწერა:—ბოლშევიკებს
დღე არა აქვთ კიდევ ხამი!
დღეს, ან ხვალე დაამხობენ,
ჩვენ დაგვრჩება შილაფლავი.
სხვა მთავრობა შეადგინეთ,
სთქვით „დორჩარი“, კიდევ „დავი“!

ახალგაზრდებს ნუ ენდობით,
ჩეკასა ჰყავს აგენტებად;
რის ნინიძე, ან რის „სხივი“?
მე ჩავთვალე უკვე მკვდრებად.

ბარათოვი და რცხილაძე
ივარგებენ ვექილებად!
ეროვნულსა პარტიასა
ჩვენ გაუხდეთ ისევ ძმებად.

დროებითი მთავრობა რომ
ტახტს დაიჭერს, კიდევ სკიპტრას,
ჩვენი თავი არ ივიწყოთ,
ნუ დაიდგამთ თავზე მიტრას!
ეგ ეკუთვნის ჟორდანიას
ნურც წაართმევთ დიდის სიფთას.
ხოლო ვიდრე ჩვენ მანდ მოვალთ,
გაუძღვით ყოველ ხიფათს;
ბრძანება თუ არ მიიღოთ,
ნუ ენდობი, ვინც რა გითხრას.

თუმცა ძველად ვკინკლაობდით,
ხან ოთახზე, ხან ცოლებზე,
ზოგ-ზოგიერთს სილაც ვტკიცეთ,
რის გვამხილა ჩვენ სხდომებზე;
ერთ ტომარა ფქვილზე იყო
მუშტი - კრივი, დიდი დავა,
ამან იქით ჩვენი საქმე,
მერწმუნეთ, რომ კარგად წავა!
პორთფელები შეგვინახეთ,
არ გარიოთ მანდ წვერავა.
არც გოთუა! მაგას ვნახავთ,
ვესენხაში როგორ შავა.
ფაშისტია! ავაქოვთან
სულ იძახის: ბრავა! ბრავა!
რისხვა, სეით დევდარიანს,
ოხ, დავაგლეჯ ორთავ ყურებს
ეგ რომ კარგი კაცი იყოს.
რად გადურჩა შარშან ჩეკას?
უსირცხვილოდ გომართელის
დი ყარიბის ჰანგზე რეკავს!
კედია და კვინიტაძე
ფაშისტია ორივ წმინდა.
(ჩვენში დარჩეს! ფაშისტი ვართ—
სხვა ფაშისტი რაღად გვინდა?)

ბოლშევიკებს არ მიენდოთ,
თვით აწყობენ აჯანყებას;
თუ აჯანყდნენ, სათავეში
მოექეცით როგს და წყებას.
„ჩვენი კაცი უსიკვდილოდ!“
ვიდრე მოვალთ, გაძლევთ ნებას!

ჩემბერლენი ომს დაიწყებს,
არ გეგონოთ იგი ღლაპი!
აბა, მაშინ მზად იყავით!
შემწე არის რომის პაპი,
კიდევ რაფო ივანიცკი
და მე ნოე რამიშვილი.
დაჰკარ ხმალი! ნუ დამიცდი!

ბენო ბეშტია.

მეორე ხარისხოვანი საქონლის ექსპორტი

ამიერ - კავკასიის შინა - ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, უცხოეთის ბაზრებზე ამჟამად მოთხოვნილებაა ჩვენს შემდეგ საქონელზე:

დაფნის ფოთოლი. ხმარობენ უმთავრესად სკანდინავიის ქვეყნები, ფასები ქანაობს 14—28 მან. შორის ას კილოგრამზე. დაფნის ფოთოლი დანაწილებული უნდა იქნეს ხარისხებად და არ უნდა შეიცავდეს ჯოხებს.

იაპონური სოია. მოთხოვნილებაა ჰამბურგის ბაზარზე, ერთი ტონა სოია ფასობს 10,5—11 გირვანქა სტერლინგს.

ლობიო. ომამდე ლობიო გაჰქონდათ საზღვარგარეთ. უკანასკნელ წლებში ექსპორტი შეწყდა. ჩვენი ლობიოს მომხმარებლები იყვენ ოსმალეთი და ბალკანეთის ქვეყნები. ამჟამად ყველაზე უფრო ხელსაყრელია ჰამბურგის ბაზარი. ჰამბურგის საქონლის ბირჟის ფასები უდრის 9—10 გირვანქა სტერლინგს.

კონსერვები. თუ კარგად იქნება გადამუშავებული, შესაძლებელია ხილის და ბოსტნეულის კონსერვების გატანა ჰამბურგის და ბერლინის ბაზრებზე. ამჟამად დასავლეთ ევროპაში დიდი მოთხოვნილებაა კალიფორნიის კონსერვებზე, რომელსაც კონკურენცია შეიძლება ვაუწიოთ იმ შემთხვევაში, თუ კარგად იქნება გადამუშავებული ადგილობრივი ხილი და ბოსტნეული.

ღვინო, კონიაკი და კონიაკის სპირტი. მიმდინარე წელში შესაძლებელია მათი გასაღება მხოლოდ ბალტიის მხარის სახელმწიფოებში. ამ საქონლის ექსპორტის მომავალი, განსაკუთრებით წითელი ღვინის და კონიაკის, დამოკიდებულია დამუშავების გაუმჯობესებაზე და იმ „მშრალი რეჟიმის“ გაუქმებაზე ზოგიერთ ქვეყნებში, რომელმაც შეაფერხა ყველა ქვეყნების ღვინის ექსპორტიორების საგარეო ვაჭრობა.

თხის მატყლი. ბაზრის კონიუნქტურა მეტად ხელსაყრელია. მატყლის დახარისხების და კარგად შეკვრის პირობებში შეიძლება ექსპორტი მომგებიანი იქნეს. დასავლეთ ევროპის ბაზრების საშუალო ფასები ქანაობს 5—35 პენს შორის. (12-დან 80 კაპეიკამდე).

ძუა. საამშენებლო საქმის, განსაკუთრებით ვაგონების და გემების აღმშენებლობის გაფართოების გამო, ძუას ბაზარი მეტად გაცხოველებულია.

კაკალი. ეს საქონელი სასეზონო ხასიათისაა. შობის სეზონი ყველაზე უფრო ხელსაყრელია. თხელკანიანი კაკალი შეიძლება გასაღებულ იქნეს 7—9 მანეთად ფუთი. ამჟამად დასავლეთ ევროპის ბაზრებზე გაბატონებულია რუმინიის კაკალი, რომელთანაც მეტოქეობა ძნელი არ არის, თუ კარგათ იქნება დაყენებული დამზადების საქმე.

ინფუზორიტი. ევროპის ქვეყნებში ხმარობენ ეგრედ წოდებულ ტრიპოლს და კიზენბურს. მიწოდებელი არიან ტრიპოლი, გერმანია და შეერთებული შტატები. ჩვენი ინფუზორიტის ექსპორტი დამოკიდებულია ქიმიურ შემადგენლობაზე. პირველ რიგში აუცილებელია ქიმიური ანალიზის მოხდენა, რის შემდეგაც უნდა დაიგზავნოს სასინჯავი პარტიები. არსებული ცნობებით, ჩვენი ინფუზორიტი თავისი ღირსებით აღემატება ამერიკულ ინფუზორიტს. პირველ ხანებში შესაძლებელია გასაღებული იქნეს 500 ტონა ინფუზორიტი.

ჩვრები. მოთხოვნილება ჩვრებზე არსებობს ჰამბურგის, ბერლინის, ამსტერდამის და ნიუიორკის ბაზრებზე. ყველაზე მეტი მოთხოვნილებაა მატყლის ჩვრებზე.

საჰაერო ლატარია

მეორე საჰაერო ლატარიის ბილეთები, რომელიც უკვე გამოშვებულია მოსკოვში, მოკლე ხანში იქნება მიღებული თბილისში, ამ ბილეთების განაწილება შეფარდებული იქნება თავდაცვის კვირეულთან, 10—17 ივლისამდე.

ამ დღეებთანვე იქნება შეფარდებული პირველ ლატარიაში მოგებულ ბილეთების განაღდება ა.-კ. ქალაქების გარშემო საფრენად.

მსხვილ მოგებათაგან ბაქოში ამოუვიდათ ერთი — გაფრენა მოსკოვამდე და უკანვე დაბრუნება.

ქარხნების აგება

ზაკსოიუზმა გადასცა ცენტროსოიუზს თბილისის მუშკოოპისათვის საჭირო სამრეწველო მოწყობილობის დაკვეთა. დაკვეთა ცენტროსოიუზმა გადასცა თავის ბერლინის კანტორას. აღნიშნულ მოწყობილობის ანგარიშში გერმანიაში დაკვეთილია სარძევე ფერმა, ძეხვების ქარხანა და საკანდიტერო ფაბრიკა. ძეხვების ქარხნის მოწყობილობა უკვე მიღებულია თბილისში. სარძევე ფერმის და საკანდიტერო ფაბრიკის მოწყობილობა ახლო მომავალში იქნება მიღებული.

ზაჭესი

სამძიმარი მტკვარს

ვინ იცის, მტკვარო, საუკუნეთა რამდენ ლეგიონს ჩაურბენია შენს ნაპირებთან. ვინ იცის, რამდენს ჟინით ავსილი სურვილი ჰკლავდა შენი დაპყრობის, რამდენს უცემდა სისხლში ლტოლვა დაუძლეველი შენი სიგიჟის წუთით მაინც დაურვების.

რა არ ახსოვს ათასი წლებით დამძიმებულ შებურულ ტყეებს, ტანთგაუხდელი პატარძალივით, რომ დამდგარან შენს ნაპირებზე...

ბევრს უფიქრნია შენი დაბმა, შენი მოთრგუნვა. მაგრამ მთებიდან მოვარდნილი ცოფმორეული ღრიალებდი შენ მუდამ ისე, რომ ძეს-ხორციელს, ადამიანს ჟინით აღჭურვილს ვერ ეცადა შენი დათრგუნვა რკინის ბორკილით. ჰაი, ჰაი, რომ ხშირად უჭედიათ ბორკილები შენი მკერდისთვის. მაგრამ ვინ იყო, რომ გაბედავდა შენთვის ბორკილი დაედო მტკვარო?!

ჯავახეთის მთებს მოაპობდი შეუპოვრად. ჯავახეთის მთებს ულრწიდი კლდოვან ფერდებს... გბოჭავდა თითქოს თეთრქოჩორა მაღალი მთები, გაედგათ [illegible] მტკიცედ ფეხები მათ და ალმაცერად დაგყურებდა შენ დაბლა გაწოლილს, ბრაზით რომ იღრჩობოდი და სიგიჟით თავდავიწყებული ეხეთქებოდი სიპიან კედლებს.

რას ბრაზობ მტკვარო? დაგძახოდა შენ ჯავახეთის მთა, რას იგრიხები გამაგებული, რათ ილესავ კბილებს? არ იცი განა მე რა ძალა მაქვს? ცამდის ამართულს, ჯერ ქუდ მოუხდელს და დაუთრგუნავს?

ჩემთან ღრუბლები ჩამოდიან საუბრისათვის, ჩემთან მზეც კი პირველი სალამით მოდის, ქოჩორს დამიბანს ნამი დილ-დილით...

ჩამოგაწვები ულევ ზვავებად და გამოგახრჩო, გამოგგუდავ საკუთარ ტყავში.

ასე ამბობდა მხარ-ბეჭ გაშლილი მთა ჯავახეთის, გემუქრებოდა შენ ასე იგი, მაგრამ რამდენჯერ გაუთეთრდა იმ მთას ქოჩორი, რამდენჯერ ცრემლით ატირებულა ის გაზაფხულზე და ეს ცრემლები ნაკადულებათ შეგრთვია მტკვარო... ვინ მოსთვლის ეხლა?!

საუკუნეებს ვინ იცის რამდენი რაში ჩარჩენია შენს ნაპირებზე...

შენ კი ისევე თავაშვებული, დაუდეგარი, გიჟი მდინარე მოაქანებდი იმ მთების მკერდზე ხან მღვრია ტალღებს, ხან კი დაწმენდილ ბროლის ნაკვეთებს. მოაქანებდი და ვერასოდეს ვერვინ დაგიხედა... დღესაც გრძელდება ეგ თქვენი დავა,—შენი და მთის,—ძველისძველი, დაულეველი და უწყინარი, ვით მთვარის შუქი.

არც გათავდება:

ვერ გაიმეტებთ ერთი მეორეს. იცით ორთავემ: გაგიძნელდებათ მარტოობაში წუთი სოფელი, იცის მთა-დევმა, რომ ცათამდის აზიდულ მწვერვალს ზოგჯერ ცრემლები წარმოსდინდება და ნუგეშისათვის სადღა წავიდეს თუ ფეხთან მტკვარი არ ეგულება? ვისღა შეუერთოს თავის ცრემლები? შენც იცი, მტკვარო: მთას რომ დაუღრღნა უმოწყალოთ მკვიდრი ფესვები, მთა რომ დაადნო, ჯავრით დადნები, დაიწრიტები და წუთისოფელს მასთან ერთად გაეთხოვები.

ამიტომ თუა, რომ ორთავე თუმცა ბუზღუნებთ, ზოგჯერ მუქარა თითქოს ზღვავდება, მაგრამ: „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“.

და, ჰა, ჯერაც დაუთრგუნავო, გიჟმაჟო მტკვარო დღეს შეგკრეს არა?..

აკი, არავის მოვიკარებო?!

აკი ტივებსაც, შენი ძმის მკერდზე მოკვეთილ შვილებსაც, არ იკარებდი ხოლმე ყოველთვის და ამპარტავნად აირეკდი აბურთულ ზურგს?

ჰა, მტკვარო?!.

დღეს ეგ რა დღე გჭირს?

დაგაბეს განა?!..

აკი ამაყო, ძე-ხორციელს ნაპირთ ნაპირს არ იკარებდი? ბრაზმორეული ზოგჯერ ხიდებსაც წაკრავდი წიხლებს, დალეწდი ქოხებს და მოათრევდი?

ქართლში დაგაბეს?

ჯავახეთის მთებს გადაურჩი ცათამდი აწვდილს და მცხეთის კართან შეგკრეს კრიჭა?

აკი ალყაში გამოიჭირეთ შენ და არაგვმა ეს მთა პატარა?

მოხუცდი მტკვარო. სამძიმარი შენ, სამძიმარი შენს ძმასაც—არაგვს. კავკასიონის ქედიდან მოგლეჯილს, თავისუფლების მოყვარულ არაგვსაც გადაეცი ჩვენგან ეს სამძიმარი...

დაგიმორჩილეს ორივე უკვე, დაგიმორჩილეს ორთავე ხერხით, ოსტატურად მოგათოკეს ორივ ძმები...

მაშ მორჩილება ამიერიდან. აღარ გარგებს ამპარტავნობა. რკინის სალტით ხართ შეკრული მაგრად. დაემორჩილე ისევ შენ ხვედრ ბედს.

ასე სჯობია.

„როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდეს“ —ბევრჯერ გსმენია არა ნაპირზე ეგ [illegible] აზრი...

ასეა, ასე...

„გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“?

გაჭირვება დიდი გაქვს, მაგრამ...

გაქცევისა კი რა მოგახსენო, ველარ აიშვებ აწი თავს, ბორკილები გაქვს გაყრილი რკინის...

ერთხანს რომ სიცილით შესცქეროდი მცხეთასთან...

ახლა რას იტყვი?

ვ. ბერაძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნათესების მდგომარეობა

ხონი. 20 ივნისი. ათი ივნისისათვის ნათესების მდგომარეობა ხონის მაზრაში შემდეგი ნიშნებით განისაზღვრებოდა: ხორბალის—3, სიმინდის—2,5, ბამბის—2, ბოსტნეულობის—3, ბაღების—3, ვენახის—2. არის აგრეთვე ვენახის დაავადმყოფების ნიშნები.

მოწაფეთა ნამუშევართა გამოფენა

ხონი. 20 ივნისი. 10 ივნისიდან-14-დე ხონში გახსნილი იყო მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენა. განსაკუთრებული ყურადღებას იქცევდა ინდუსტრიალური ტეხნიკუმის და ქალთა პროფესიონალური სკოლის მოწაფეთა ნამუშევრები. გამოფენას დაესწრო 7.000 კაცი.

ფეხბურთელთა შეჯიბრი

ფოთი. 20 ივნისი. ახლად გახსნილ სტადიონზე მოხდა შეჯიბრი ფოთის ფეხბურთელთა გუნდის „დინამო“-ს და ბათუმის „დინამო“-ს შორის. შეჯიბრი დასრულდა 1 : 1.

ბოდბის დასასვენებელი სახლი

სიღნაღი. 9 ივნისი. მოხდა ბოდბის დასასვენებელი სახლის გახსნა. სახლი დაიტევს 70 მუშა-მოსამსახურეს. ბოდბის დასასვენებელი სახლი აგებულია სიღნაღის მაზრის პროფკავშირების თანხებით.

სახალხო სახლი

სიღნაღი. 19 ივნისი. სადგურ წნორის წყალზე—ადგილობრივი გლეხობა შეუდგა სახალხო სახლს აგებას. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კავშირმა ამ მიზნისათვის გადასდო 2.000 მანეთი. სახლი დაიტევს 300 კაცს.

აფხაზეთი

მაიმუნების ფერმა

სოხუმი, 20 ივნისი. დღეს მოსკოვიდან ჩამოვიდა ტეხნიკოსი, რომელმაც უნდა დაათვალიეროს ადგილი და შეიმუშაოს გეგმა მაიმუნების ფერმის ასაგებად.

ახლო ხანში მოელიან 14 შიმპანზეს, რომლებიც კონაკრიდან მოყავს პროფესორ ივანოვს. მათთვის განზრახულია ვებერთელა გალიის გაკეთება, რომლის მოედანი 800 კვ. არშინი იქნება. გალიის ირგვლივ დარგული იქნება ხეები და ბუჩქები. სიცივის დროს მათ მოსათავსებლად შენდება ორი შენობა.

თვითმფრინავის ასაგებად

სოხუმი, 20 ივნისი. აფხაზეთის თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოება შეუდგა შემოწირულებათა აკრებას თვითმფრინავის ასაგებად, რომელიც გადაეცემა წითელ საჰაერო ფლოტს აფხაზეთის მშრომელთა სახელით.

წერილები

მიწის ყიდვა - გაყიდვის შესახებ

მიწის ყიდვა - გაყიდვას კიდევ აქვს ადგილი. უმთავრესად სოფლის ბობოლები ყიდულობენ მიწას; მათ კარგათ იციან, რომ მთავრობა სასტიკად სდევნის მყიდველსაც და გამყიდველსაც, ამიტომ ისინი სხვადასხ. საშუალებას მიმართავენ მიწის ხელში ჩასაგდებათ. სოფლად არიან ისეთი პირები, რომლებიც გამოქნილი, გამოცდილი არიან მიწის ყიდვა - გაყიდვაში. ეს უკანასკნელნი არა მარტო თვითონ აწარმოებენ ყიდვა - გაყიდვას, არამედ სხვებსაც ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოიქცენ ყიდვის ან გაყიდვის დროს, რა ფასში უნდა გაყიდონ და სხვ.

ეს გლეხობაზე ცუდ გავლენას ახდენს. გლეხმა იცის, რომ კანონით აკრძალულია მიწის ყიდვა-გაყიდვა, და იმავე დროს იქვე ხედავს, რომ მისი მეზობელი, მდიდარი გლეხი, ყიდულობს მიწას და ამისათვის მას არავინ არაფერს არ ეუბნება, დაუსჯელი რჩება. ეს რასაკვირველია, სცემს ჩვენი მთავრობის ავტორიტეტს გლეხობაში, კულაკებსა და ბობოლებს კი ათამამებს. ეს უკანასკნელნი კიდევ წამბაძველებს ნახულობენ და ამნაირად კანონს ფეხქვეშ თელავენ.

რასაკვირველია, ხშირად აშკარავდება მიწის ყიდვა - გაყიდვის შემთხვევები, საქმე გადადის სასამართლოში და დამნაშავენი შესაფერისად ისჯებიან; არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მთელმა გლეხობამ იცის—ადგილი ქონდა ყიდვა-გაყიდვას, მაგრამ ამის წინააღმდეგ არავინ ზომებს არ იღებს.

ამ მხრით მეტი სიფხიზლე მართებთ სოფლის ორგანიზაციებს. თემის საბჭომ კარგად იცის, თუ თემში ვის რამდენი მიწა აქვს, ვინ ყიდულობს ან ყიდის მიწას. საბჭოს მიწის სექციის წევრებს მეტი საშუალება აქვთ გაეცნონ, მისმა მეზობელმა თუ იყიდა მიწა, ან ვისგან იყიდა.

თემსაბჭომ და განსაკუთრებით საბჭოს მიწის სექციამ, კომუჯრედმა, კომკავშირმა და სოფლის სხვა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა იქონიონ, რომ მიწის კანონი არავინ დაარღვიოს, მიწის ყიდვა - გაყიდვას ადგილი არ ექნეს, და თუ ვინმე მაინც ჩაიდენს ამ ბოროტებას, ის სასამართლოს უნდა გადაეცეს.

გარდა ამისა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გააცნონ სოფელს მიწის კანონი, უნდა აუხსნან გლეხობას, თუ როგორ უყურებს საბჭოთა ხელისუფლება მიწის ყიდვა - გაყიდვას, და როგორ ისჯება ის, ვინც ამ კანონს დაარღვევს. შემდეგ საჭიროა, რომ ულარიბესი გლეხობა აქტიურად ჩაებათ მიწის ყიდვა - გაყიდვის საწინააღმდეგო კამპანიაში.

ო.

მოგვეცით ექიმი

(წითელი ქალაქი, გორის მაზრა)

წითელ-ქალაქის თემში სცხოვრობს 30.000 მოსახლე. აქ არსებობს თემის საავადმყოფო, რომელიც კარგად არის მოწყობილი და მოთავსებულია კარგ შენობაში. მაგრამ შენობას რა აზრი აქვს თუ კი შიგ ექიმი არ გვეყოლება. მუდამ დღე ეზო სავსეა ურმებით მოყვანილ ავადმყოფებით. ერთად-ერთი ფერშალი ჰყავს ამ დიდ რაიონს, რომელსაც ხან ალმა დაარბენინებენ და ხან დაღმა. ცხადია იგი ვერ გაუძღვება ამ ვეებერთელა რაიონს.

აქ იყო წინეთ ექიმი ქალი, რომელიც გადაიყვანეს სხვაგან და მას შემდეგ 5-6 თვეა ეს საავადმყოფო მიტოვებულია უექიმოდ. ამ გარემოებამ გამოიწვია ექიმბაშების თარეში და ამჟამად თითქმის აშკარად მოქმედობს ვინმე სახელგახთქმული „პეტრე—ოსი“ თავის კარაბადინით. ქკითხავებსაც ცხადია დრო დაუდგათ.

საჭიროა საჩქაროთ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას გორის მაზრის ჯანმრთელობის ინსპექციამ და გამოძებნოს აღნიშნული საავადმყოფოსათვის შესაფერი ექიმი.

„ჭინჭრაქი“.

წერილებიდან

— **ლიტერატურული წრე.** (ს. მათხოჯი, ქუთ. მ.). კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა ამ სოფელში თავის სიმაღლეზე სდგას. არსებობს სხვადასხვა წრეები, რომლებშიც მუშაობა შეძლების დაგვარად გვარიანად სწარმოებს. ერთი წელიწადია არსებობს ლიტერატურული წრე, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში ექვსი ლიტერატურული გასამართლება მოაწყო; იმართება აგრეთვე რეფერატები და სხვ. ლიტწრეს აქვს კედლის გაზეთი.

კ. მელაძე.

— **სასოფლო - სამეურნეო აღწერა.** (სართიჭალის თ., თბილ. მ.). მაისის ბოლო რიცხვებში მოხდა სასოფლო - სამეურნეო აღწერა. შემდეგ მოწვეულ იქნა სოფლის საერთო კრება, რომელზეც გამოქვეყნებულ იქნა სიები, თუ ვინ რამდენი უჩვენა ქონება. გლეხები სიას გულმოდგინეთ უგდებდენ ყურს და როდესაც შეამჩნევდენ, რომ ყალბი ცნობები მიუწოდებია აღმწერისათვის მაშინვე ამხელდენ. სიის გამოქვეყნებამ კარგი შედეგი მიიტანა და შეცდომა გასწორებულ იქნა.

გლეხკორი.

მუშათა ცხოვრება

შეფები საბავშო ბაღში

(შთაბეჭდილება)

ამ დღეებში კოლოფების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ერთმა ჯგუფმა დავათვალიერეთ შეფად აყვანილი საბავშო ბაღი № 2, რომელიც ეკუთვნის სახალხო განათლების კომისარიატს.

აღნიშნულ საბავშო ბაღში იზრდება 60 ბავში (3—7 წლამდე); მათში 65 პროცენტი მუშების შვილებია დანარჩენი კი მოსამსახურეების.

ბაღს ჰყავს სამი მასწავლებელი, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ბავშების მშობლებთან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აქ ბავშების აღმზრდელობით მხარეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. მათი სისუფთავე წესიერება, ზრდილობიანად მოპყრობა და სწავლისადმი სიყვარული — მოწმობენ საბავშო ბაღის ნაყოფიერებას.

ბავშვებს აჭმევენ აქვე, გამართულია საგანგებო საბავშო სასადილო, ყოველნაირი მოწყობილობით. სისუფთავე და ჰიგიენა უაღრესად დაცულია. ბავშები იკვებებიან დამაკმაყოფილებლად, სახალხო განათლების კომისარიატის ხარჯზე.

უნდა აღვნიშნო აგრეთვე ის, რომ ბავშებს ეზოში გამართული აქვთ ბოსტანი; სადაც მათ მიერ დათესილია ყოველნაირი მცენარეულობა.

გამოფენილია ბავშების ნახატები მათ მიერ გაკეთებული სხვადასხვა გასართობები, კედლებზე გამოკრულია დიაგრამები ნათლად უჩვენებენ ბავშების ჯანმრთელობას, მათ სწავლა-შეგნებას და მშობლების სოციალურ მდგომარეობას.

ბავშებს გაკეთებული აქვთ კარდონისაგან კოლოფების ქარხნის მოდელი. ბავშები ხშირი სტუმრები არიან ქარხნისა; მათ უკვე წარმოდგენა აქვთ წარმოებზე — ეს სჩანს თვით მათივე ნახატებიდან.

კოლოფების ქარხნის მუშები კმაყოფილნი დარჩნენ საბავშო აღმზრდელობით კერის დათვალიერებით.

როგორც გამოირკვა ბავშების 60 პროც. ავადმყოფობის ნიშნები აქვთ, მიუხედავად იმისა რომ საბავშო ბაღში მთავარი ყურადღება ექცევა ბავშების ჯანმრთელობას. ამიტომ სახ. განათლების კომისარიატი 15 აგვისტოდან ბავშებს აგზავნის ქობულეთში. ეს მოვლენა დიდად სასიხარულოა.

ბოლოს უნდა მიუთითოთ ერთ ნაკლზე, — ეს ის არის, რომ აღნიშნულ საბავშო ბაღს ვერ აქვს შესაფერისი ბინა. საჭიროა და აუცილებელიც არის, რომ ახალი ბინა იქნეს გამონახული ანდა ოთახებს გაუკეთდეს სათანადო რემონტი.

იმედია, სახ. განათლების კომისარიატი ამ ნაკლს გამოასწორებს.

მუშკორი ვანო.

ექსკურსია ზოოლოგიურ მუზეუმში

კვირას 12 ივნისს, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მუშებისათვის მოეწყო ექსკურსია საქ. ზოოლოგიურ მუზეუმში. მუშებს ახსნა-განმარტებას აძლევდა ამხ. დავიდოვი. უკანასკნელი დაუზარელად და ხალისით უხსნიდა და უამბობდა მუშებს ცხოველების ცხოვრებას, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია იგი. ექსკურსია უფასო იყო. ლამაზად მოწყობილმა მუზეუმმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მუშებზე. მუზეუმში ნაჩვენებია არა მარტო ცხოველები, არამედ თვით ცხოვრება ცხოველებისა. აი, მაგალითად: ციცაბო კლდე, ზედ გაწოლილა ჯიქი ანუ ვეფხვი და სულგანაბული ელის მსხვერპლს. კლდის ძირას კი არხეინად დგას ლამაზი ჯიხვი და არც კი ჰგრძნობს, თუ რა ხიფათშია მისი სიცოცხლე. წამიც და... ჯიქის ბასრი ბრჭყალები გაჰგლეჯენ მას...

აი, კიდევ ვეფხვი. მაღალი მცენარით შემოსილი ჭაობი საყვარელი ადგილი ვეფხვისა; ის ამაყად სდგას პირდაღებული, წინ უდგას უსულო მსხვერპლი, გვერდ გამოგლეჯილი გარეული ღორი. შორიახლო მცენარეებიდან გამოიყურება მეორე ვეფხვი (დახატული).

აი, ფრინველთ მეფე დაშვებულა მდინარის პირზე და უშველებელი თევზი მოუგდია ბრჭყალებში, შეჭმას უპირებს.

აი, კლდოვანი ტყე. პირდაღრენილი მოდის ორი აფთარი. პატარა ტურები შესცქერიან მათ აპრეზილნი. აგერ უშველებელი გველი თაგვს ეპარება... ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რა არის სანახავი; ათასნაირი მსხვილი და წვრილი ფრინველები, მწერები, ქვეწარმავალნი, თევზები და სხვა ცხოველები.

მუზეუმი შესანიშნავად არის მოწყობილი. მომწყობის მადლიან ხელს ეტყობა საქმისადმი სიყვარული და თავდადება; ამას მოწმობს მუზეუმის მშვენიერი და იშვიათი მოწყობილობა. მადლობა კულტურულ საქმისათვის თავდადებულ მუშაკებს.

მუშა ნიკო ას—ლი.

დაიცავით დისციპლინა

ამას წინად, საყუდისა და სარონოდო ფარეხის ადგილკომის პლენუმზე სხვათა შორის იდგა საკითხი 2 პროც. კავშირის საწევრო გადასახადის დროზე გადახდის შესახებ.

კრებაზე გამოირკვა, რომ 2000 კავშირის წევრიდან საწევრო გადასახადს თითქმის 20-23 პროც. არ იხდის თავის დროზე. კავშირის წევრების 15 პროც. არ გადაუხდია ფული 3-4 თვის განმავლობაში. ამას გარდა 32 კაცს არ გადაუხდია 2 პროც. ანარიცხები 7 თვიდან ერთ წლამდე.

ადგილკომი ცდილობდა, რომ ისინი კავშირიდან არ გამოერიცხა, მაგრამ ეს ფული დღესაც აუკრეფავი დარჩა, პლენუმმა ერთხმად დაადგინა: 32 კავშირის წევრი, რომელთაც 7 თვიდან ერთ წლამდე არ შემოუტანიათ ფული [illegible] გამოირიცხონ კავშირიდან.

კავშირის დანარჩენმა წევრებმა დროზე უნდა შეიტანონ 2 პროც. ანარიცხები და შეიგნონ, რომ საწევრო ანარიცხის გადახდის დაგვიანებას კავშირიდან გარიცხვა მოჰყვება.

მუშკორი ირგურ.

საყურადღებო წვრილმანი

რას უყურებს?

(მმართველობის საყურადღებოთ)

ამიერ-კავკასიის რკინის გზების გასული 1925-26 წლის ხარჯთაღრიცხვაში სხვათა შორის შეტანილი იყო სად. იორში ნავთის დიდი სანათის მოწყობა, რის შესახებაც სათანადო მიმართვა აქვს გაგზავნილი ელექტრო-ტეხნიკურ დარგის მე-3 უბნის უფროსს მმართველობისაგან.

მიუხედავად ამისა სანათის მოწყობა - დადგმის საქმეს დღემდის არ შედგომია ელექტრო-ტეხნიკური დარგის მე-3 უბნის უფროსი ამხ. კურდიუმოვი, რის წყალობითაც სადგური ძველებურად ნახევრად წყვდიადში იმყოფება.

კ—ლი.

არც ჩვენ გვაქვს წყალი

მე-6 და მე-7-დე შეერთებულ უბანში თელავის, ფალავანდოვის, ახმეტის და ხახანაშვილის ქუჩაზე მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან უწყლობის გამო.

ეს უბანი მუშათა უბანია, უბანში კი არა გვაქვს წყლის არც ერთი ონკანი.

სიმართლის მაძიებელი.

—**ორმაგი ჯამაგირის მოყვარული.** თბილისის უბნის რ.-გ. სამსახლო საწყობში მსახურობს მოანგარიშის თანამდებობაზე. მოქალაქე თუმანოვი, რომელმაც 1925 წ. მიითვისა დამზღვევ სალაროს ფული. ივნისში მან მიიღო ავადმყოფობის ფურცელი (უწყების № 2510) 43 მან. 91 კ. ამავე თვეში მიიღო (უწყება № 3008) 43 მან. 91 კაპ. აგვისტოში (უწყება № 3916) 23 მან. 42 კაპ. სექტემბერში (უწყება № 3916) 43 მან. 91 კაპ. სულ 115 მან. 15 კაპ. საინტერესოა გავიგოთ რომელი ადმინისტრატორი უმოწმებდა მას საავადმყოფო ფურცელს. ხედავდა თუ არა ის ადმინისტრატორი, რომ თუმანოვი ერთ და იმავე დროს ღებულობდა ფულს, როგორც დამხმარე სალაროდან, ისე სამსახურიდან?

საწყობის მოსამსახურე.

მუშათა ქრონიკა

— **სადარაჯოების განაწილება.** სადგურ ბათომში გამწევ ლიანდაგის ისრებზე განაწილებული არ იყო დარაჯობა, რაც ხშირათ იწვევდა ორთქლმავლების გადაცდენას და წარმოების შეფერხებას. ამის გამო მოძრაობის ადგილკომთან არსებულმა საწარმოო კომისიამ წინადადებით მიმართა ბათომის სადგურის უფროსს გამოიმუშაოს ისრებზე დარაჯობის ცხრილი და სისწორით გაატაროს განაწილებული დარაჯობა.

— **გაცდენის თავიდან ასაცილებლად.** სად. ბათომში კვირაობით სავსე ქვაბების დაცლა არ სწარმოებს რის გამოც ცდება ქვაბები და ფერხდება წარმოება. საწარმოო კომისიამ მიმართა სადგურის უფროსს, მიიღოს ზომები ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

— **სახურავის შეკეთება.** სადგურ ტყიბულის საწარმოო კომისიამ მიმართა სალიანდაგო სამსახურს — დაჩქარებით შეაკეთოს სად. ტყიბულის სახურავი, ვინაიდან სახურავის უვარგისობის გამო ზიანდება სადგურის შენობაც.

— **დელაქარის აგება.** ამავე სადგურის საწარმოო კომისიამ მიმართა სალიანდაგო სამსახურს ააგოს 46 კილომეტრში ნახევარი დელაქარი, მუშებისათვის, ურომლისოთაც წარმოება ფერხდება.

— **ღორღი მაღაროების შტოზე.** სად. ტყიბულის მაღაროების შტო გაყვანილია ღორღოთ ისეთ ნიადაგზე, რომელიც ძალიან მალე აფუჭებს განძელებს, რის გამოც მოსალოდნელია უბედური შემთხვევა და გარდა ამისა განძელების ჩქარა გაფუჭება ზიანს აყენებს გზას. ამიტომ საწარმოო კომისიამ მიმართა სალიანდაგო სამსახურს გადაგზავნოს ამ შტოზე ღორღის საჭირო რაოდენობა.

— **რონოდების გამსინჯველთათვის.** ტყიბულის საწარმოო კომისიამ მიმართა წევის დარგის მე-2 უბანს — ააგოს სად. ტყიბულში რონოდების გამსინჯველთათვის სადარაჯო ოთახი.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ საღამოს შესდგა თბილისის საბჭოს ხუთივე სექციის მორიგი სხდომა.

კომუნალური სექცია

კომუნალური სექციის გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ზაჰესის ენერგიის ტარიფისა და ზაჰესის დატვირთვის შესახებ.

ახალი ტარიფის გატარება ზაჰესის ენერგიაზე გადაწყვეტილია ა. წ. 1-ლი ივლისიდან. ახალი ტარიფის გატარებას დააგვიანდა იმიტომ, რომ დღემდე ენერგიის მიწოდებას ჰქონდა საცდელი ხასიათი. საექსპლოატაციო პერიოდი კი დაიწყება ოფიციალური გახსნის შემდეგ. დღემდე კომუნალურ მეურნეობის განყოფილება იძულებული იყო აემუშავებია ყველა ქალაქის სადგურები მთელი შტატით და გაეღო სათანადო ხარჯიც, რის გამო შეუძლებელი იყო ენერგიის მიწოდება თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში.

რაც შეეხება ახალ ტარიფს, იმ პროექტით, რომელიც დამუშავებულია კომუნალურ მეურნეობის მიერ და დასამტკიცებლად წარდგენილია თბილისის საბჭოს პრეზიდიუმში და საქართველოს ეკონომიურ საბჭოში, თვითეულ კილოვატ საათზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

ტარიფი ზაჰესის ენერგიაზე

კერძო ბინებისათვის თვითმთვლელით 15 კაპეიკი (სანთლების რაოდენობის მიხედვით 8 კაპეიკი თვეში) სახელმწიფო, ქალაქის და სამხედრო სამეურნეო დაწესებულებისათვის 20 კაპეიკი, დარბაზებისა და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებისათვის 40 კაპეიკი, დიდ სამრეწველო მოტორებისათვის 7 კაპეიკი, წვრილი მოტორებისათვის 12 კაპეიკი, ტრამვაისათვის 7,5 კაპეიკი, წყალსადენისათვის 3 კაპეიკი და ქუჩების გასანათებლად 8 კაპეიკი.

ზაჰესის დატვირთვის პერსპექტივები

სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ზაჰესის მოსალოდნელი დატვირთვის შესახებ უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში. პირველ წელიწადს ზაჰესის დატვირთვა იქნება 13.890.000 კ. უ. საათი. მეორე წელიწადს 22.100.000 კ. უ. საათი, მესამე წელიწადს, მეოთხე წელს 25.900.000 კ. უ. საათი. მეხუთე წელიწადს 27.400.000 კ. უ. საათი. ამ დატვირთვაში არ შედის რკინის გზის საელექტროფიკაციოთ საჭირო ენერგია რკინის გზის სამმართველოს ოფიციალური ცნობების მიხედვით სამი წლის შემდეგ რკინის გზა ერთიორად გაადიდებს ზაჰესის დატვირთვას.

საფინანსო სექცია

თბილისის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები

საფინანსო სექციის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვ. მეხის მოხსენება თბილისის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების შესახებ. ამ ციფრებით 1927-28 წლის ბიუჯეტი ნავარაუდევია 25.744.000 მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში მოსალოდნელია 23.609.000 მანეთი შემოსავალი, აქედან საგადასახადო შემოსავალი შეადგენს 5.610.000 მანეთს, არა საგადასახადო 13.099.000 მანეთს და სხვა შემოსავალი 4.900.000 მანეთს. სავასავლო ხარჯები კი უდრის 25.744.000 მანეთს: ამგვარად ბიუჯეტს აქვს 2.135.000 მანეთი დეფიციტი.

სავასავლო ნაწილში ადმინისტრატიულ-სასამართლო ხარჯები შეადგენენ 1.933.000 მანეთს, სოციალ-კულტურული 5.995.000 მანეთს, სამეურნეო-საწარმოო 15.008.000 მანეთს და სხვა ხარჯები 2.908.000 მანეთს. მომავალ წელს იზრდება უმთავრესად ადგილობრივ მრეწველობაზე, საბინაო მშენებლობაზე დასახარჯი თანხები, რაც ბიუჯეტს წარმოებით ხასიათს აძლევს. ადგილობრივი მრეწველობისათვის თანხების გადიდება გამოწვეულია საერთო ადმინისტრატიული ხარჯების შემცირებით (10 პროცენტით). რაც შეეხება ხარჯების მოსახლეობის სოციალურ კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, იგი თითქმის იმდენივე რჩება, რაც 26-27 წელს იყო.

ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების შესახებ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ჯანმრთელობის სექცია

ჯანმრთელობის სექციაში მოსმენილ იქნა ექიმ ღულაძის მოხსენება **ვენეროლოგიური დისპანსერის მუშაობის შესახებ.** ხუთი თვის განმავლობაში ვენეროლოგიურ დისპანსერს აღმოუჩენია 4.546 სამკურნალო დახმარება, ხოლო ამავე ხნის განმავლობაში დისპანსერი გაუვლია 2.452 ვენერიულ სენით დაავადებულს.

გარდა ამისა დისპანსერს გაუტარებია მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების გამოკვლევა, დაუთავრებია სახალხო კვების მუშაკთა ჯანმრთელობის გამოკვლევა და ამჟამად აწარმოებს გემო-კვების მუშაკთა ჯანმრთელობის გამოკვლევას.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა **ლევან წერეთელის** მოხსენება პროსტიტუციასთან ბრძოლის შესახებ. მომხსენებლის გადმოცემით, სანიტარულ ეპიდემოლოგიურ განყოფილებასთან შემუშავებულია საგანგებო საბჭო პროსტიტუციასთან საბრძოლველად. ამჟამად ქალაქში აღრიცხულია 200 მეძავი ქალი. საბჭოს მიერ უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, რომ კულტურული ზეგავლენით და სათანადო პროპაგანდა-აგიტაციით ჩაბმული იქნენ მეძაობაში შემჩნეული ქალები საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობაში.

სავაჭრო კოოპერატიული სექცია

პირველ რიგში სექციამ მოისმინა მოხსენება 1927-28 წლის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების შესახებ. დაწვრილებით განიხილა იგი და მიიღო ცნობად.

შემდეგ სექციამ დაამტკიცა სავაჭრო კოოპერატიულ სექციის წესდება.

დასასრულ სექციამ დაადგინა ყველა თემის ღმასკომებთან მოაწყოს კოოპერატიულ სავაჭრო სექციები.

განათლების სექცია

განათლების სექციამაც მოისმინა და განიხილა ამხ. **ქაცარავას** მოხსენება თბილისის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების შესახებ. სექციამ დაადგინა: ეთხოვოს თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს, რათა ბიუჯეტის შედგენის დროს გადიდებულ იქნეს განათლების განყოფილების ხარჯთაღრიცხვა.

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად ამიერ-კავკასიაში, ა.-კ. კოოპერატიულ კავშირთან გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ა.-კ. საოლქო კომიტეტის, ა.-კ. პროფსაბჭოს და ა.-კ. კოოპერატიული საბჭოს წარმომადგენლები. კომისიამ უნდა გამოიმუშაოს საერთო დირექტივები, შეადგინოს მოწოდებები და სხვა.

კოოპერაციის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად საქართველოში თბილისის კომიტეტთან გამოყოფილია კომისია, რომელშიაც წარმოდგენილია ყველა ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციები, ა. ლ. კ. კ. ქალთა განყოფილება და საქ. პროფსაბჭო.

დღესასწაულის წინ დღით შესდგება თბილისის ყველა კოოპერატიული აქტივის საზეიმო სხდომა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღესასწაულის დღეს მუშათა კლუბებში გამართება ინსცენირებები, კინო, მოეწყობა აგრეთვე მასიური ექსკურსიები კოოპერატიული ორგანოების მუშაობის გასაცნობად.

განზრახულია ამ დღეს კოოპერატივების წევრებს მიეცეს განსაკუთრებული ჯილდოები.

სოფლებში და მაზრებში გაიმართება მიტინგები, ამ დღეს კოოპერატივების მაღაზიები მორთული იქნება დროშებით, პლაკატებით, დიაგრამებით და სხვა.

ტყვარჩელის კომისიის გამგზავრება

თბილისიდან გაემგზავრა ტყვარჩელის ქვანახშირის მადანის დაწვრილებითი გამოსაკვლევად კომისია, რომელშიაც შედიან: საქართველოს ს. მ. ე. ს. წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის სათბობ მასალის სექციის თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. **ოდოროვიჩი**, „იუგო-სტალი“-ის წარმომადგენელი **დონჩიჩი**, გეოლოგი **მოკრინსკი** და სხვები.

გამგზავრების წინ საგეგმო კომისიის სათბობ მასალის სექციის თავმჯდომარის მოადგილემ ინჟ. **ფედოროვიჩმა** ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— მთელმა რიგმა თათბირებმა, რომლებიც შესდგა საქართველოს ს. ე. უ. საბჭოში ტყვარჩელის ქვანახშირის მადანის დამუშავების საკითხის განსახილველად, დაამტკიცა, რომ მადანების დამუშავებას შეიძლება, შეუდგეთ უახლოეს ხანში. თითქმის ის აზრი გამოსთქვა, რომ პირველ რიგში დამუშავებული უნდა იქნეს სივრცე № 2, რომელიც გეოლოგიურის მხრივ თითქმის სავსებით გამოკვლეულია და სადაც ქვანახშირის მარაგი უდრის 2,5-3 მილიარდ ფუთს.

თუ ცენტრიდან გაღებული იქნება საჭირო თანხები, სივრცე № 2 უკვე პირველ წელშივე მოგვცემს 50 მილიონ ფუთ ნახშირს.

ტრანსპორტის საკითხიც შეიძლება სავსებით გადაწყვეტილად ჩაითვალოს. თათბირმა აუცილებლად სცნო შავი-ზღვის რკინის გზის ხაზის გაყვანა ტყვარჩელიდან ოჩემჩირემდე.

რაც შეეხება ტყვარჩელის ქვანახშირის ღირსებას, თათბირის მასალებიდან სჩანს, რომ ტყვარჩელის ქვანახშირი კარგი ღირსებისაა. მიუხედავად ამისა, კომისიამ გადაწყვიტა კიდევ გამოიკვლიოს ნახშირის ღირსება, რადგან ტყვარჩელის ქვანახშირი მომავალში საბჭოთა კავშირის მეტალურგულ მრეწველობის ბაზა იქნება.

ელექტროფიკაცია

რიონის ჰიდრო-ელსადგური

მომავალ კვირაში მოხდება რიონის ჰიდროელსადგურის სამუშაოთა საზეიმო დაწყება. სამუშაოთა გახსნაზე დასასწრებლათ მოწვეულნი არიან მთავრობის წევრები და საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ამ დღეებში რიონის სადგურის საამშენებლო კომიტეტი შეიმუშავებს სადგურის სამუშაოთა დაწყების ზეიმის გეგმას. სადგურის სამუშაოთა გახსნის დღე ჯერ-ჯერობით არაა გამორკვეული.

თაფარავანის ელსადგური

ამ დღეებში ახალქალაქის მაზრაში მიემგზავრება სახელმწიფო ელექტრო - ტრესტის წარმომადგენელი ინჟ. ზვორიკინი, რომელსაც მინდობილი აქვს თაფარავანის ჰიდრო - ელსადგურის ასაგებათ საჭირო წინასწარ გამოკვლევითი სამუშაოების შესრულება.

თაფარავანის ჰიდრო - ელსადგური აგებულ იქნება თაფარავანის ტბასთან იმ ადგილას, საიდანაც გამოდის მდ. ახალქალაქ-ჩაი. თაფარავანის ტბას უკავია რამოდენიმე ათეული ვერსის სივრცე და მდებარეობს ახალქალაქის მაზრისა და მანგლისის რაიონის საზღვრისაკენ ჩრდილოეთით.

ახალი წყალსადენი

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი უკვე სამი წელია, რაც აწარმოებს თბილისის ახლომახლო გამომდინარე წყაროების გამოკვლევას.

სულ გამოკვლეულ იქნა ძლიერი წყაროების სამი ჯგუფი: წავკის, ნატახტარის და ბულაჩაურის. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ წავკის წყაროები გამომდინარეობენ ნაპრალებიდან და მოსალოდნელია, რომ მიწისძვრის დროს წყაროებმა შეიცვალონ მიმართულება, ან სრულებით გაქრენ. გამოკვლეულ წყაროების შორის ყველაზე დიდი უპირატესობა მიეცა ნატახტარის წყაროებს, რომელთა სათავე მდებარეობს მდინარე არაგვის ახლო 2—3 ვერსის დაშორებით, მომდინარეობენ 20 მეტრის სიღრმიდან და ამგვარათ განიცდიან ბუნებრივ ფილტრაციას, რაც დიდ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს. ამ წყაროების დებეტი დღე-ღამეში უდრის 10—15 მილიონ ვედრო წყალს, ჩვენი ქალაქისათვის კი უახლოეს 30 წლის განმავლობაში საჭირო იქნება მხოლოდ 6 მილიონი ვედრო წყალი დღე-ღამეში. გეოლოგიურ გამოკვლევების თანახმად, ნატახტარის წყაროებს არ ელით დაშრობის, ან მიმართულების შეცვლის საშიშროება.

წყაროების გამოსაყვანათ თბილისისათვის და ახალი წყალსადენის მოსაწყობათ გადაწყდა გადაიდოს 2.300.000 მან. ახალი წყალსადენის აგების შემდეგ, ავჭალის წყალსადენის საქაჩავები გამოყენებული იქნებიან მახლობელ მინდვრების (ავჭალისა და ელდონის) მოსარწყავად. წყალსადენის აგება დაიწყება 1927—28 წელში. ამ ახალი წყალსადენის გაყვანის შემდეგ 100 ვედრო წყალი ეღირება 2 კაპეიკი (ამჟამად ღირს 35 კაპ.).

„ინდო“

ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ

ინდო-ევროპის ტელეგრაფის (ინგლისის კონცესია) მთავრობის კონტროლიორმა ამხ. **იაგუბიანმა** განაცხადა, რომ ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ „ინდოს“ მუშაობა არ შეფერხებულა, ტელეგრაფი სავსებით ნორმალურად მუშაობს. რამდენადაც მე ვიცი, — ამბობს ამხ. **იაგუბიანი**, „ინდო“-ს თბილისის განყოფილების გამგეს ურთიერთობის ჩაშლასთან დაკავშირებით არავითარი განსაკუთრებული განკარგულება არ მიუღია ლონდონის სამართველოდან. არ არის არავითარი საბუთები ვიფიქროთ, რომ ტელეგრაფის მუშაობა შეიცვლება. კონცესიონერებს სავსებით ნეიტრალურად უჭირავთ თავი.

გაფიცვის შემდეგ კონცესიონერები ასრულებენ ყველა ნაწილზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ტელეგრაფის მოსამსახურეებს 10 პროც. მიუმატეს ჯამაგირზე და ამით ისინი გაუთანასწორდენ ჩვენი ფოსტა - ტელეგრაფის მოსამსახურეებს.

ქაღალდის ქარხანა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ცდების საწარმოებლად მოსკოვში გაგზავნა ინგურის ხეობის მერქნის (ქაღალდის დასამზადებელ ხის) ნიმუშები. ამ ცდების საშუალებით ნათელი გახდება, თუ რამდენად ვარგისიანია ჩვენებური ხე-ტყე ქაღალდისათვის, ან როგორი სახის და ხარისხის ქაღალდი შეიძლება დამუშავდეს ინგურის რაიონის მერქანისაგან. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მოსკოვიდან, ინჟ. ყორინაშვილისაგან მიიღო დეპეშა, რომ ქარხანა „სოკოლი“ უკვე შეუდგა საქართველოდან გაგზავნილ ნიმუშების საცდელ გადამუშავებას.

მოსკოვის „დინამო“-ს ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის ფეხბურთელთა ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „დინამო“ 15 კაცის შემადგენლობით.

გუნდის ძირითად შემადგენლობაში შედიან: ამხ. **შიმკუნასი** (გოლკიპერი), ბეკები—**სოკოლოვი** და **კარპენკო**, ხავბეკები—**ფილიპოვი** (მარჯვენა), **ლებედევი** (ცენტრი) და **ლენჩიკოვი** (მარცხენა); ფორვარდები: **მაკაროვი** (მარჯვენა გარეშე-მარში, იგივე სათადარიგო გოლკიპერი), **ბლინკოვი** (მარჯვენა ინსაიდი, იგივე გუნდის კაპიტანი), **სპირიდონოვი** (ცენტრი). **პავლოვი** (მარცხენა ინსაიდი) და **გრუზინსკი** (მარცხენა გარე-მარში).

სათადარიგო მოთამაშეები: **ჟიტაროვი** (ფორვარდი), **ვასილიევი** (ფორვარდი), **მილიორანსკი** (ბეკი) და **ვინოგრადოვი** (ხავბეკი).

გუნდის წარმომადგენლად ახლავს პროლეტარულ სასპორტო საზ-ბა „დინამო“-ს ცენტრალურ გამგეობის მდივანი ამხ. **მ. ი. ლავრენტიევი** და მსაჯი ამხ. **ი. ი. სავოსტიანოვი**, რომელმაც 1912 წელში მოსკოვში მიიღო საუკეთესო რუსს მსაჯის სახელწოდება.

აღნიშნული მოთამაშეებიდან **ჟიტაროვი** მონაწილეობას იღებდა 1912 წელში, როგორც საუკეთესო ფეხბურთელი, პირველ საერთაშორისო ოლიმპიადაზე სტოკჰოლმში.

ძირითად მოთამაშეებიდან „დინამო“-ს აკლია გოლკიპერი **ჩულკოვი** და მარჯვენა ინსაიდი **ივანოვი**, რომლებიც ამჟამად თამაშობენ საბ. კავშირის ნაკრებ გუნდში (გერმანიაში) სათადარიგო მოთამაშეებად. ეს გუნდი გერმანიის გარდა ესტუმრება საფრანგეთს და ევროპის სხვა ქვეყნებს.

„დინამო“-ს მოთამაშეებიდან საბჭოთა კავშირის, რუსეთის და მოსკოვის ნაკრებ გუნდებში სხვადასხვა დროს თამაშობდენ: **ბლინკოვი** (საბჭოთა კავშირი), **მაკაროვი** და **სოკოლოვი** (რუსეთი). **ფილიპოვი, ლენჩიკოვი** და **კარპენკო** (მოსკოვი).

დღევანდელ შეჯიბრში საგზაო-ტრანსპორტო მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს გუნდთან მოსკოვის „დინამო“ გამოდის თავისი ძირითადი შემადგენლობით.

მოსკოვის „დინამომ“ უკვე მიიღო მიპატიჟება ფოთში, (სადაც ფოთის გარდა განზრახულია ეთამაშონ ბათომსაც) და დონის როსტოვში.

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

ამხ. **ლავრენტი ქართველიშვილის** გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ბესო ლომინაძეს, ლევან ღოღობერიძეს, არჩილ მიქაძეს, ივანე ფალიაშვილს, ნიკო გოცირიძეს, ალექსანდრე ახმეტელს, იაკობ ნიკოლაძეს, დიმიტრი არაყიშვილს, ზაქარია ფალიაშვილს, ალ. წუწუნავას, ანდრეი ბელლის, ლადო გუდიაშვილს, ეგიშე ჩარენცს, შალვა დადიანს, ალ. შანშიაშვილს, გრიგოლ რობაქიძეს, ტიციან ტაბიძეს, ნიკოლოზ მიწიშვილს, ვალერიან გაფრინდაშვილს, კოლაუ ნადირაძეს, გიორგი ლეონიძეს. შალვა აფხაიძეს, რაჟდენ გვეტაძეს, სერგო კლდიაშვილს, შალვა მესხიშვილს, კონსტანტინე კორეევს, ივანე გომართელს, ალ. არაბიძეს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ვანო ცინცაძეს, ვიქტორ სომოვს, გაიოზ ბერელაშვილს, გიორგი ოქრომჭედლიშვილს, ალ. გეგიძეს, კოკი ებრალიძეს, ინჟ. კაჟევნიკოვს, კოკი დანელიას, პაჭუ ჟორდანიას.

პაოლო იაშვილი.

—:—

ამხ. **ლავრენტი ქართველიშვილის** გამოწვევით „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემაქვს **10 მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **დავით კლდიაშვილს, ვასილ ბარნოვს, კოტე მარჯანიშვილს, ვახტანგ კოტეტიშვილს, არისტო ჭუმბაძეს, მიხეილ ჩოჩიას, პეტრე ქავთარაძეს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს და ნიკო შიუკაშვილს.**

ალ. აბაშელი.

შამომაქვს „თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატი“-ს ფონდის გასაძლიერებლად ერთი მანეთი (1 მან.) და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

კოსტა კირტაძეს, ალექსანდრე მალსაგოვს, ბაჩუ გოგიას, რემა ჩემიას, ლუკა ჩემიას, გრიგოლ ოჩიგავას,

სენაკის მაზრიდან: **შალიკო ჯიმშეიშვილს, ალიოშა კარტოზიას, აპოლონ ქავთარაძეს, ლავრენტი ტყებუჩავას, გიკი თოფურიას, ამირან თოფურიას, სამსონ ოჩიგავას, სტეფანე ოჩიგავას, ლადი ოჩიგავას, ლავრენტი მელიას, თადა ჯღამაძეს, იორდანე ალასანიას, აკაკი ალასანიას; მოსე ჭეიშვილს; იასონ გეგენავას; ილიკო კილასონიას; ბესა რატიას, გიორგი რატიას და მიხა თურქიას.**

ინვალიდი **ნოე კილაბერია.**

ამხ. ნ. კიკნაძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ვ. ბრეგაძეს, ა. მანდენოვას; თ. თულაშვილს, შალვა მანჯავიძეს, ა. გუნცაძეს, ვ. წულუკიძეს, ლ. სარალიძეს, შ. კვირიკაძეს, ქ. თხინვალელს, ი. რუსაძეს; ვ. კომახიძეს, ელიოზ ხუციშვილს, თ. გაგუას, სურსკაიას, შურა სანაძეს და ლ. ყანჩელს.**

ზინა გაგუა.

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში 1 (ერთი) მ და ვიწვევ შემდეგ ამხ. ცირა და მაყვალა გოგნიაშვილებს, მარგო მაყაშვილს და ირაკლი როსტომაშვილს.

შიო ბუზუშაშვილი.

ამხ. ჯაფარიძის გამოწვევით შემომაქვს **10 მანეთი** თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ათ-ათი მანეთით ამხ. ამხ. **ყამარაულს, მაჭავარიანს და საყვარელიძეს** (შ.ხ.ს.კ.).

თბილისის მაზრისა და ქალაქის მუშა- და გლეხთა მილიციის ყველა სამილიციო რაიონის უფროსებს ხუთ-ხუთი მანეთით და მათ თანაშემწეებს სამ-სამ მ. ვიწვევ აგრეთვე რესპუბლიკის მ.-გ. მილიციის ყველა მაზრის მილიციის უფროსებს.

შალვა კილურაძე.

ამხ. სულავას და გვარამაძის გამოწვევით შემომაქვს ათი მან. და ვიწვევ ამავე თანხაზე ამხ. **ვალერიან ვაშაკიძეს, ნიკო-დიკს, გიორგი ანანიაშვილს, ექიმ კილურაძეს, ექიმ ტყემალაძეს და სურენ სურენიანს.**

ვასო ლაშქარაშვილი.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ რკინის გზის მთავარ სახ. ამწყობთა საამქროს გუნდის უფროსებს: იაგორ ხუბულურს, ევსტატი ახალბედაშვილს, კონსტანტინე რომანენკოვს. პროკოფი ფრანგიშვილს, ივანე კაპანაძეს, ალექსანდრე გობაშვილს, ალექსანდრე გოგიძეს, ვასო კოქლავაშვილს, ალექსანდრე ხუციშვილს, თეოფილე ცაგურიშვილს, ილია აგწიევს, ონისიმე კაჭახიძეს, სოლომონ პანოზოვს და კირილე ცაგარეიშვილს.

იოსებ გახტაძე.

შემომაქვს ამხ. სულავას და გვარამაძის გამოძახებისამებრ 10 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ ამავე თანხაზე შემდეგ ამხანაგებს: **კვანტალიანი ეპიფანე** (უბკავშირიდან), **ლეო ვაშაკიძეს, ლეონ კანდელაკს, ი. ნოზაძეს, შალვა ფანცულაიას, რ. კვირკველიას,** (დოპროფობრიდან), [illegible]ხაძეს, ნუცუბიძეს, ადგ. თავმჯ. კაუხჩევს, შ. კაშმაძეს, ჯორბენაძე იასონს, მანჯგალაძე ვასილი, მეგრელიშვილი ვასო, ბარამიძე ვლასას, მუქერია ერასტის, ტოპჩიშვილი გიორგის, მუნტიკოვი ქრისტეფორე, აქვსენტი რაზმაძეს, ნიკო არაბიძეს, ცქიტიშვილი ვასოს, იოსებ შიმეს.

ბესარიონ რაზმაძე.

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ამხ. ა. ჯაფარიძის გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ერმილე კალანდაძეს, აკაკი ბაზუნაშვილს, აკაკი ბაქრაძეს, მ. ნიორაძეს, ა. მაჭავარიანს, ს. ვართანოვს, ან. გაიდარენკოს, კულიჯანოვს, საშა ზტეფანოვს, კლემენტი ცომაიას, მიშა ძაგანიას, და მიშა სანიკიძეს.

გრ. მიროტაძე.

—:—

თბილისის საბჭოს დადგენილებით ყველა შემოწირულებანი „თბილისის პროლეტარიატის“ ასაშენებლად რედაქციებმა და დაწესებულებებმა უნდა შეიტანონ თბილისის კომუნალურ ბანკში სპეციალურ მიმდინარე ანგარიშზე.

თავდაცვის კვირეული

მოდელების შეჯიბრი

26 ივნისს ზაჰესში გაიმართება საფრენი მოდელების შეჯიბრი.

27 ივნისს შეჯიბრი გაიმართება თბილისის მასშტაბით, ხოლო 3 ივლისს გაიმართება რესპუბლიკანური შეჯიბრი დიდის მოედანზე.

რესპუბლიკანურ შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებათ ჩამოვლენ რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქებიდან.

რემედასის მონაწილეობა

რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ფართე მონაწილეობა მიიღოს თავდაცვის კვირეულის ჩატარებაში.

საჰაერო ფლოტის დღე

თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოება შეუდგა სამზადისს წითელი საჰაერო ფლოტის დღის (14 ივლისი) ჩასატარებლად. დღის ჩასატარებლად მუშავდება დაწვრილებითი გეგმა, რომელიც შეთანხმებული იქნება თავდაცვის კვირეულის ჩატარების გეგმასთან.

14 ივლისს განზრახულია მოხდეს საჰაერო ომის იმიტაცია ქიმიური გაზების გამოყენებით.

„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“

თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების ინიციატივით ამ ჟამად საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს მასიური კომპანია, რომლის მიზანია მოსახლეობისათვის ახსნა-განმარტების მიცემა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და მშვიდობიანობისათვის ბრძოლის შესახებ.

„ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ ესკადრილიის ასაგებათ და თავდაცვის კვირეულის კამპანიის ჩატარების გამო, ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მდივანმა ამხ. ეგიკოვმა განაცხადა შემდეგი:

თავდაცვა—ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებას უახლოეს ამოცანათ აქვს დასახული სამხედრო უცოდინარობის ლიკვიდაცია, საავიაციო-ქიმიური ცოდნის გავრცელება და სხ. მიმდინარე კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმარტებას, ომის საფრთხეს და ამასთან დაკავშირებით—თავდაცვისათვის საჭირო მუშაობას.

ჩვენ განზრახვა გვაქვს მოვაწყოთ საჰაერო-ქიმიური რაზმები, მსროლელთა ჯგუფები, პირველი დახმარების გამწევი სანიტარული რაზმები და სხ.

მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს მუშაობა ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“ ფონდის შესაქმნელად.

ჩვენ მიერ მიღებული ცნობებით კამპანია აღნიშნული ფონდის დასაარსებლად წარმატებით მიმდინარეობს.

თავდაცვის კვირეული ჩატარებული იქნება 10 ივლისიდან 17 ივლისამდე. 14 ივლისი კი არის წითელი საჰაერო ფლოტის დღე, თავდაცვის კვირეულის კამპანია არის ფაქტიურად „ჩვენი პასუხი ჩემბერლენ“-ის კამპანიის გაგრძელება.

თავდაცვის კვირეულის განმავლობაში მოეწყობა თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა დემონსტრაციები, შეჯიბრები სროლაში, ჰაერში ჰაეროპლანების შეტაკების იმიტაცია, ქიმიის საშუალებების გამოყენება და სხვა.

რკინის გზებზე

სუმგაიტის კატასტროფის შემდეგ

ბაქო, 20 ივნისი. სადგ. სუმგაიტში მატარებლების დამსხვრევის გამო, მოძრაობა შეჩერდა აზერბეიჯანის მთელ ხაზზე, 19 ივნისს, 19 საათ. მოძრაობა განახლდა მხოლოდ სპეციალურად გაკეთებულ შემოსავლელ გზაზე. კატასტროფის ადგილზე მივიდა ამ.-კავკ. რკ. გზათა კომისია ამხ. **ხარიევის** თავმჯდომარეობით.

ა.-კ. რკ. გზათა აზერბეიჯანის განყოფილების კომისიამ სცნო, რომ კატასტროფაში დამნაშავენი არიან სადგ. სუმგაიტის მორიგე მელიქოვი, რომელმაც, წინააღმდეგ ყოველგვარი წესებისა, დაუშვა ერთდროულად მატარებლის მიღება და მანევრები და მატარებელ № 21 მემანქანე, რომელსაც მატარებელი მიჰყავდა გაუფრთხილებლად და აკრძალული სიჩქარით.

კატასტროფის გამო, გზაზე შეჩერდა ოთხი საბარგო მატარებელი. მატარებლებმა № 6, 12, 3 და 11 დაიგვიანეს 8-დან 11 საათ.-მდე.

მელიქოვი დაპატიმრებულია

გუშინ საღამოს ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს აცნობეს, რომ სად. სუმგაიტის სადგურის უფროსის თანაშემწე **მელიქოვი**, მოხსნილია სამსახურიდან და დაპატიმრებულია ადმინისტრატიულ წესით.

ლიანდაგიდან ჩავარდნა

გუშინ ტატლუ - თაუზის გადასარბენზე ლიანდაგიდან ჩავარდა და გაუტყდა ღერძი საბარგო მატარებლის № 104 ცისტერნს. მემანქანემ ვერ შეამჩნია ეს გარემოება და მხოლოდ ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ შეაჩერა მატარებელი. ლიანდაგი დაზიანებულია ერთი კილომეტრის მანძილზე. ადამიანის მსხვერპლს ადგილი არ ჰქონია.

წყალდიდობა სომხეთის ხაზზე

უკანასკნელ დღეებში სომხეთში ადგილი ჰქონდა განუწყვეტელ წვიმებს, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა მატარებლების მოძრაობას.

19 ივ. საღ. 9 საათ. წყალდიდობის გამო შესწყდა მატარებლების მოძრაობა ალავერდ - სანაინის და ალავერდ - ახტალას შუა. 2 საათის შემდეგ წყალმა საგრძნობლად დაიკლო და ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა მატარებლების მოძრაობის აღდგენა.

გუშინ დილით მდ. დებედჩაი არაჩვეულებრივ ადიდდა. წყალმა დაფარა სად. სანაინის ლიანდაგი, საცხოვრებელი სახლები და რკ. გზის შენობები სანაინიდან სადახლომდე და სანაინიდან კალაგერანამდე მატარებლების მოძრაობა შესწყდა და გუშინ შუადღისას. წყალი ჩადგა კალაპოტში და მოძრაობა აღდგენილ იქნა. გუშინ ნაშუადღევს მდინარე ხელახლა ადიდდა. სად. სანაინის სამგზავრო შენობა დაფარულია წყლით. მატარებლების მოძრაობა ფერხდება.

1927—28 წ. გადაზიდვის გეგმა

ტვირთების გადაზიდვა ამიერ-კავკასიის რკ. გზებზე ყოველ წლიურად იზრდება. გასულ 1925—26 წ. მთელი ტვირთზიდვა გამოიხატა 264.548.000 ფუთში, წელს იგი გამოიხატება არა ნაკლებ 300.000.000 ფუთში, ე. ი. გაიზრდება 13.2 პროც.

მომავალ 1927—28 წელს ტვირთზიდვა უფრო გადიდდება. გადაზიდვის მომწესრიგებელ კომიტეტის მომავალი წლის გადაზიდვის გეგმა, რომელიც ეხლახან დამტკიცდა, ითვალისწინებს 364 მილიონ ფუთ ტვირთის გადაზიდვას. აქედან 153.200.000 ფუთის რაოდენობით გადაზიდულ იქნება მშრალი ტვირთები, 123.200.000 ფუთის რაოდენობით—ნავთის პროდუქტები; ხოლო 77.600.000 ფუთი ტვირთი მიღებულ იქნება სხვა გზებიდან.

ყოველ დღე ღამის განმავლობაში გზებზე იმოძრავებს ამ ტვირთების გადასაზიდად 1370 ვაგონი.

თბილის-ხაშურის უბანზე ეწყობა რვა ახალი მხარის ამქცევი სადგური, ხოლო თბილის ხაშურის უბანზე—ორი. ამასთანავე სწარმოებს მუშაობა მეორე ხაზის ასაშენებლად. ყოველივე ეს გაადვილებს საქონლის გადაზიდვას.

ქუთაისი

ბავშვი—მხატვარი

ათი წლის ბავში გივი ლომიძე (პიონერი) უღარიბესი ოჯახის შვილია. დედა მისი დასაქმებულადაა ქუთაისის კოოპერატივში, სადაც დათმობილი აქვს თავშესაფარად ფიცრულით გადამტიხრული ნახევარი ოთახი, ბნელი, ნოტიო, რომელშიაც მზეს არასოდეს შეუხედია.

მას ჯამაგირის სახით ეძლევა 30 მანეთი, რაც შეადგენს დაავადმყოფებული დედისა და ორი შვილის ერთად-ერთ ცხოვრების წყაროს.

ბავში საზოგადოთ ნიჭიერია; მაგრამ განსაკუთრებულ ნიჭს მხატვრობაში იჩენს. ორი წელიწადია ვხედავ მის ნახატებს და განსაცვიფრებელის თანდათანობით წინსვლას ვამჩნევ. პირველად ის რკინის გზას, მატარებლებსა და ნავებს ხატავდა; ეხლა კი პეიზაჟებსა და პორტრეტებს ხატავს. ხატავს, როგორც თავის ფანტაზიით, ისე სურათებიდან.

მის ნახატებს შორის ყურადღებას იქცევს სამსონ ძლიერი ((გადიდებული სურათი), მთვარიანი ღამე ზღვაზე. ლენინის სურათი, ამხ. სტალინ ჯუღაშვილის რამდენიმე სურათი, სხვადასხვა პოზაში, სხვადასხვა ზომის, პოლიტბიურო (ჯგუფი: ლენინი. რიკოვი, კამენევი, სტალინი, ტროცკი. ბუხარინი, ზინოვიევი, ტომსკი).

ბავში ხატავს თავისით, ხელმძღვანელი მას არა ჰყავს, უსისტემოდ, უფერადო ფანქრით, უბრალო ქაღალდზე. იმის შეძლებაც კი არა აქვს, რომ ხეირიანი ფანქარი, სახატავი ქაღალდი და ტუში შეიძინოს. ამას შეუძლია ბავშზე ცუდი გავლენა იქონიოს; ხელი გაუფუჭოს და ნიჭი დაუხშოს.

სასურველია. ადგილობრივმა განათლების განყოფილებამ მიაქციოს ყურადღება ამ იშვიათი ნიჭის ბავშვს და მის უებველს ბუნებრივ ნიჭს მისცეს „გზა ფართო".

პატარა მხატვარს განზრახვა აქვს ამხ. სტალინს გაუგზავნოს ძღვნად მისივე სურათები.

ძველი ამხანაგი.

ქუთაისის ქრონიკა

კრედიტების გადიდება

თბილისის ქალაქის ბანკმა ნება დართო თავის ქუთაისის განყოფილებას რამდენსამე სახელმწიფო დაწესებულებასა და კოოპერატიულ ორგანიზაციას გაუდიდოს სათამასუქო კრედიტი.

სასადილოს გაფართოება

ქუთაისის ერთიანმა მუშკოოპმა „კოოპერაცია"-მ კაპიტალურად შეაკეთა და გააფართოვა თავის სასადილო № 2, სამწვანილო მოედანთან (ლიბკნეხტის ქუჩაზე).

სამწვანილო მოედნის გაფართოება

ქუთაისის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებამ გააფართოვა ლიბკნეხტის ქუჩაზე მდებარე სამწვანილო მოედანი.

მოედანზე აგებულია ახალი სავაჭრო შენობები.

მ. ო. ვარდოსანიძის იუბილე

11 ივნისს, ქალაქის თეატრში ქუთაისის საზოგადოებამ გაუმართა იუბილე დამსახურებულ პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს მარიამ ოტიას ასულს ვარდოსანიძეს მისი 43 წლის მუშაობის აღსანიშნავად. იუბილიარს მრავალი დაწესებულება-ორგანიზაციამ თავის წარმომადგენლების სახით, მიულოცა ეს დღე და საჩუქრებიც მიართვა. მრავალი მისალოცი დეპეშებიც მოუვიდა მას სხვადასხვა ქალაქებიდან, ხელისუფლების წარმომადგენლებთაგან, ყოფილ მოწაფეთა და ნაცნობ-მეგობართაგან. სახალხო განათლების კომისარიატის დეპეშამ გვამცნო რომ მ. ო. ვარდოსანიძე შრომის გმირადაა ცნობილი და მას უზრუნველსაყოფად ენიშნება პენსია.

შრომის შემნახველი სალაროები

მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის ქუთაისის მაზრაში არსებობდა 25 შრომის შემნახველი სალარო. მიმდინარე საოპერაციო პირველი ნახევარი წლის განმავლობაში მათი ბრუნვა, ე. ი. შემოსულ-გასულ თანხათა რაოდენობა უდრიდა —144.685 მანეთს.

მუშათა კომისიები

17 ივნისს მოხდა პროფბიუროში შემავალ ყველა კავშირებისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშათა წარმომადგენლების კრება.

კრებამ გამოჰყო ხუთი კომისია მუშათა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც უახლოეს ორ დღეში ჩამოივლიან ადგილობრივ კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციათა ყველა მაღაზიებსა და დუქნებს, რათა გამოარკვიონ ფასების დაკლების მიმდინარეობა.

საბინაო მშენებლობა ქუთაისში

წარსული წლის განმავლობაში ქუთაისში აშენებულია 70 ახალი შენობა, კაპიტალურად შეკეთებულია — 50, დანგრეულ შენობათაგან აღდგენილია — 9, ახლად მიშენებულია — 9, დაუმთავრებელ შენობებზე დაშენებულია 1. სულ მშენებლობაზე 152 ნებართვა იყო გაცემული. აქედან დიდი უმეტესობა საცხოვრებელი ბინებია—125, შენობათა უმეტესობა ქვიტკირისაა—90.

თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოება

ამჟამად ქუთაისის თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოება აერთიანებს **608** წევრს. მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის ღირებულების ბრუნვა წარსულ წელს უდრიდა **478.942** მანეთს.

ტვირთ-ტრიალი ქუთაისის სადგურზე

მიმდინარე საანგარიშო პირველ ნახევარი წლის განმავლობაში ქუთაისში შემოზიდული საქონლის რაოდენობა უდრის **19.340.319** კილოგრამს, ხოლო გატანილი საქონლის რაოდენობა **—4.896.924** კილოგრამს. შემოტანილი საქონლის რაოდენობა გატანილ საქონლის რაოდენობას სჭარბობს **74,7** პროცენტით.

კოოპერატიულ კურსებზე გაგზავნა

ქუთაისის ერთიანმა მუშკოოპმა „კოოპერაცია"-მ თავის ხარჯით გაგზავნა ლენინგრადს უმაღლეს კოოპერატიულ კურსებზე სწავლის მისაღებად ამხ. სერგო ბერაძე.

ქრონიკა

ამხ. ა. ენუქიძის და ტერ-გაბრიელიანის გამგზავრება

თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრენ საბჭოთა კავშირის ცაკის მდივანი ამხ. ა. **ენუქიძე** და ამიერ-კავკასიის მთავრობის წარმომადგენელი საბჭოთა კავშირის მთავრობასთან ამხ. **ტერ-გაბრიელიანი.**

პროფ. რუბინის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა მეტალურგიის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი, დნეპროპეტროვსკის სამთო ინსტიტუტის პროფესორი **რუბინი.** მისი ჩამოსვლის მიზანია მონაწილეობა მიიღოს ტყვარჩელის კომისიის მუშაობაში.

ამერიკელი ჟურნალისტების ჩამოსვლა

20 ივნისს ბათომიდან თბილისში ჩამოვიდნენ ნიუ-იორკის გაერთიანებულ მემარცხენე პრესის წარმომადგენლები, ჟურნალისტები **ბალდვინი** და **გარტცი;**

მათთან ერთად ჩამოვიდა ავსტრიელი ჟურნალისტი **ვ. შუბერტი.**

ნიუ-იორკის მემარცხენე პრესის დავალებით, ბალდვინი და გარტცი მოგზაურობდენ დასავლეთ ევროპაში. ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და ოსმალეთში.

თბილისში უცხოელი ჟურნალისტები დარჩებიან რამოდენიმე დღე.

ამხ. კრასინის ჩამოსვლა

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა მარქსის და ენგელსის ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაკი ამხ. ს. კრასინი.

მიწისძვრა

საქართველოს მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა 18 ივნისს 15 სა-

საქართველოს მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა 18 ივნისს 15 საათზე და 13 წუთზე და 20 ივნისს 12 საათზე და 52 წუთზე აღნიშნეს ახლობელი მიწისძვრა. მეორე მიწისძვრა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ის საგრძნობი იყო თბილისშიც, ძლიერებით 3-4 ბალამდე. ნიადაგის რყევის მიმართულება იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ. მიწისძვრის კერა მდებარეობს თბილისიდან 90 კილომეტრის მანძილზე.

ინგლისის მაგიერ გერმანია

ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების გამო, ზაკსოიუზმა მიიღო ცენტროსოიუზის ლონდონის კანტორისაგან ცნობა, რომ გერმანიას უნდა გადაეცეს ზაკსოიუზის ლიცენზიები [illegible] და ლიმონის სიმჟავეზე.

ამხ. ბერიძის გამგზავრება

თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის უფროსი ამხ. **ბერიძე** დღეს მიემგზავრება მოსკოვში, ხარკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში ცეცხლის საქრობ საქმის სიგნალიზაციის შესასწავლად და ახალი სახანძრო მანქანების შესაძენად.

ამხ. ბერიძეს მივლინებაში გზავნის თბილისის ალმასკომის კომუნალური განყოფილება და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

მოლაპარაკება ჰარიმანთან

მოლაპარაკება საქართველოს აღმშენებელთა კავშირსა და კონცესია „საქართველოს მარგანეცს" შორის დამთავრდება მიმდინარე კვირაში.

მოლაპარაკებით გათვალისწინებული ხელშეკრულება შეიცავს 52 მუხლს. რომელთაგან 42 მუხლში უკვე მიღწეულია შეთანხმება.

თუ მოლაპარაკება შეთანხმებით ვერ დამთავრდა, ხელშეკრულება გადაეცემა საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის საკონფლიქტო ორგანოს.

თბილისის ალმასკომში

◆ **ნიაღვრებისაგან დაცვა.** დამთავრდა მუშაობა არხების გასაყვანად კუს ტბისა და აგურის ქარხნების შორის მდებარე დაბლობების ნიაღვრისაგან დაცვის მიზნით.

◆ **საქონლის სენებთან** ბრძოლის მიზნით ადგილობრივ ლექცია-საუბრების მოსაწყობად მაზრაში გაიგზავნა ბეითალი-ექიმები.

◆ **არსებული ქარხნების** შეკეთება-გადასაკეთებლად თბ. ალმასკომმა გადასდო 799.000 მან.

◆ **ახალი სახლები.** ზაჰესის სამმართველო ზაჰესის ახლო აგებს ოთხ ახალ სახლს მუშებისათვის.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **სახელმწიფო ტყეების** მოსაწყობად აჭარისტანში იგზავნება სპეციალური კომისია.

◆ **აგრო-პუნქტები.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მაზრების ყველა თვალსაჩინო თემში მოაწყოს აგრო-პუნქტი და სას.-სამ. იარაღ-მანქანების გასაქირავებელი საწყობები.

◆ **მიწად-მოწყობა.** ალბულაღის რაიონში მიწად-მოწყობის ჩასატარებლად გაიგზავნა 11 მიწის მზომელი.

სხვადასხვა

◆ **კონფერენცია.** 28 ივნისს თბილისში გაიხსნება ბავშთა მეგობართა საზო-ბის საქალაქო კონფერენცია.

◆ **წამლების გაიაფება.** პირველ ივლისიდან ყველა აფთიაქებში წამლეულობაზე ფასები დაკლებული იქნება 10 პროცენტით.

◆ **სწავლის დამთავრება.** გუშინ საქართველოს ყველა სასწავლებლებში დამთავრდა 1926-27 სასწავლო წელი.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს** მასწავლებელთა კოლეგიუმის მორიგი სხდომა შესდგება ოთხშაბათს, ივნისის 23-ს, საღამოს 8 საათზე სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში.

დღის წესრიგი:

1) პროფ. გ. ახვლედიანი — მეცნიერულ მუშაკთა კავშირის საბჭოს მეორე ყრილობის შედეგები.
2) ასის. ნ. ყიფშიძე — საზღვარგარეთ მივლინების საკითხი.
3) მიმდინარე საკითხები.

◆ **აგრონომიული თათბირი.** საქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა ქ. ოზურგეთში 25 ივნისისათვის იწვევს აგრონომიულ თათბირს.

კრებები და მოხსენებები

◆ **მუშათა ფართო კონფერენცია.** დღეს, 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ახალ კლუბში შესდგება მეოთხე რაიონის მუშათა ფართო კონფერენციის მესამე სხდომა.

დღის წესრიგში სდგას ამხ. ათაბეგოვის მოხსენება ფასების დაკლების შესახებ.

◆ **ახალგაზრდათა სექციების კონფერენცია.** ოთხშაბათს 22 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის მცირე დარბაზში შესდგება მუშათა კლუბების ახალგაზრდათა სექციების საერთო-საქალაქო კონფერენცია.

ავტო-კლუბის გახსნა

შაბათს, საღამოს მოხდა ტრანსპორტელთა კავშირის ავტო-კლუბის საზეიმო გახსნა. გახსნას დაესწრნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, შოფერები და მათი ოჯახის წევრები.

გახსნის დღის კლუბის დარბაზები ლამაზათ იყო მორთული დროშებით, პლაკატებით და გირლიანდებით. უკანასკნელ ხანებში კლუბში მუშაობა საგრძნობლად გაფართოვდა. აგებულია ახალი შენობა, მოწყობილია, მოედანი. ბაღი და სხვ.

საზეიმო სხდომა გახსნა „ზაკავტოპრომტორგ"-ის წარმომადგენელმა ამხ. **ცურინოვმა,** რომელმაც თავის სიტყვაში მოიყვანა ცნობები კლუბის მუშაობის შესახებ. შემდეგ მისალმებებით გამოვიდენ ტრანსპორტელთა კავშირის ცენტრ. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ანთიძე,** საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილების წარმომადგენელი ამხ. **ქშონძერი** და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მისალმებების შემდეგ დაიწყო წარმოდგენა:

კრებამ დაადგინა კლუბს უწოდოს ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **შალვა ელიავას** სახელი.

ამხ. შ. ელიავას კრების სახელით გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშა.

ხელოვნება

ახალგაზრდა ქართველი მომღერლები ევროპაში

ვალერიან ქაშაკაშვილი

ალბად ბევრს კიდევ ახსოვს მომღერალი ქაშაკაშვილი, რომელმაც დაასრულა სახელმწიფო კონსერვატორიის კურსი პროფესორ ჯაყელის კლასით. საკმაოდ მუსიკალური დიდი ხმის (ბარიტონი) პატრონმა მომღერალ ქაშაკაშვილმა მიიპყრო თბილისის მუსიკალური წრეების ყურადღება და კონსერვატორიის კურსის დასრულებისთანავე ის მიღებულ იქნა საოპერო თეატრის სცენაზე. ის დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ მისი მონაწილეობა ოპერაში არ გასცილებია იმედებს და შემთხვევით გამოსვლას ორ თუ სამ ოპერაში.

ქაშაკაშვილი წავიდა იტალიაში (მილანში). აქ ის განაგრძობდა მუსიკალურ განვითარებას თავის პროფესორის ჯაყელის უშუალო ხელმძღვანელობით. მილანში ქაშაკაშვილმა მიიპყრო გამოჩენილ მუსიკალურ ძალების ყურადღება, ამის შემდეგ მომღერალი ქაშაკაშვილი გამოდის გენუას, მონცას, მილანის და სხვ. ქალაქების საოპერო თეატრებში. ქაშაკაშვილი, რომელიც აქ, თბილისში, შედარებითი წარმატებით გამოდიოდა ოპერაში: აიდა (ამონასრო), ჯამბაზები (სილვიო) და სხვ., ეხლა იქ, იტალიაში ასრულებს დიდ საპასუხისმგებლო პარტიებს, როგორიცაა რიგოლეტოს და ტონიოს პარტია; ამასთან, კრიტიკოსების შეფასებით, საკმაოდ დიდი წარმატებითაც ასრულებს ამ პარტიებს. ქაშაკაშვილი მღერის კასკელის გვარით, იზიდავს მრავალ ხალხს და აკმაყოფილებს ოპერების (განსაკუთრებით იტალიური რეპერტუარის) საუკეთესო მცოდნეთა გემოვნებას. განსაკუთრებით დიდი წარმატებით ასრულებს მომღერალი იტალიაში ვერდისა და ლეონკოვალოს ოპერებს.

ამჟამად მომღერალი მოისწრაფვის სამშობლოში და აქ ჩამოვა როგორც დახელოვნებული მსახიობი.

უ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

დოლონაძის კონცერტები

მომღერალი **სანდრო დოლონაძე** ამ ჟამად კონცერტებს აწყობს დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში. კონცერტებს აუარებელი ხალხი ესწრება.

ჯერ-ჯერობით კონცერტები გაიმართა გორში, ხაშურში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ქუთაისში, სენაკში, ხონში, ბათომში, ფოთში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, და სოხუმში. კონცერტებში მონაწილეობას ღებულობენ მ. გოგლიჩიძის ქალი და რ. შავერდოვი.

დასავლეთ საქართველოს ჩამოვლის შემდეგ. დოლონაძე გაემგზავრება აღმოსავლეთ საქართველოში.

სამხატვრო წრეების ხელმძღვანელთა თათბირი

ორშაბათს, 27 ივნისს, დილის 10 საათზე, საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგება კლუბების სამხატვრო წრეების ხელმძღვანელთა თათბირი. დღის წესრიგში დასმულია: ამხ. **მხიტაროვის** მოხსენება სამხატვრო მუშაობის შესახებ მოსკოვში და ლენინგრადში და მზადება ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისათვის.

სასანიტარო-საგიტაციო თეატრი

ა.-კ. რკინის გზების სანიტარულ განათლების განყოფილებასთან არსებულმა სასანიტარო-საგიტაციო თეატრმა მიიღო უკრაინისა და თურქესტანის რკინ. გზებისაგან წინადადება გასტროლებზე წასვლის შესახებ.

ეს გზები თავის თავზე ღებულობენ თეატრის ყველა ხარჯების ანაზღაურებას და უზრუნველყოფენ მას შემოსავლის მინიმუმით. დასი უკვე გუშინ გაემგზავრა ამ გასტროლებზე, რომელიც გაგრძელდება ორ თვემდე. ამ დროს განმავლობაში თეატრი იმუშავებს ყველა სადგურებზე, სადაც კი კლუბები არსებობს. უკრაინასა, ყირიმსა და თურქესტანში. ეს თეატრი ერთად-ერთია საბჭოთა კავშირში.

შემთხვევები

◆ **კაცის დაკარგვა.** 17 ივნისს საღამოს 6 ს. სახლიდან [illegible] ყურალაშვილი (მცხოვრები იზმაილოვის ქ. № 27) 86 წლის მოხუცი. რომელიც დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ **ავტომობილის ქვეშ.** 19 ივნისს ლენინის ქუჩაზე მოქ. გრიგოლ კულიჯიანცს დაეჯახა ავტომობილი № 232 და მძიმედ დააშავა.

◆ **სავაჭროების გაქურდვა.** 18 ივნისს კედლის გამონგრევის საშუალებით ქვაფინილის ქ. № 1 გაქურდეს აბრამ შნეიდერის და ნიკ. კეცხუაშვილის სავაჭროები.

◆ **მკვლელობა.** 19 ივნისს ღვინის აღმართზე № 53 სახლის წინ გიგლა არუთინოვმა რევოლვერით მოკლა ტერეზა პაპაიანცი.

◆ **მტკვარში გადავარდნა.** 18 ივნისს რიყის ქ. № 17-ის სახლის ეზოდან მატყლის რეცხვის დროს უცბად მტკვარში გადავარდა ანა შირინიანცი. რომელიც დახრჩობისაგან გადარჩენილ იქნა ხერო უშიევის მიერ.

◆ **ლითონ-ტრესტის გაქურდვის განზრახვა.** 18 ივნისს, ღამით ბოროტ-მოქმედებმა გამონგრიეს ლითონ-ტრესტის სინდიკატის ჭერი გაქურდვის მიზნით, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

◆ **სახლიდან გაპარვა.** მოქ. ვლადიმერ მალალაშვილმა (მცხ. ჟორესის ქ. № 48) მილიციას განუცხადა, რომ 16 ივნისს სახლიდან გაიპარა მისი ძმა ივანე 14 წლისა, რომელიც დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ **ტრამვაის ვაგონში.** რკ. გზ. სადგურთან ზინაიდა კრუგლოვას უცნობმა მცირეწლოვანმა ბიჭმა ხელიდან გამოსტაცა 50 მანეთად ღირებული მარაო და მიიმალა.

ექიმი—„მკლავაძე"

გუშინ დააპატიმრეს ექიმი **ბ. ჯაფარიძე,** რომელსაც ბრალი ედება აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებელ ა—ძისათვის შეურაცხყოფის მიყენებაში.

საქმის შინაარსი ასეთია: 16 ივნისს გამომძიებელი ა—ძე გამოცხადდა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში დაჭრილ მცირეწლოვან გაბუნიასათვის ჩვენების ჩამოსართმევათ. გაბუნია მძიმედ დასჭრეს მოწაფეებმა—ციციშვილმა, შარტავამ, ხვედელიძემ და ქარსევაძემ.

საავადმყოფოში ჩვენების ჩამოსართმევათ მოსული გამომძიებელი ა—ძე გამოცხადდა ექ. ბიძინა ჯაფარიძესთან და სთხოვა მიეყვანათ ავადმყოფთან. ჯაფარიძემ გამომძიებელს უარი განუცხადა. შემდეგ გამომძიებელი შეეცადა ავადმყოფის ნახვას მეორე ექიმის საშუალებით, ვინაიდან იმ განყოფილებაში, სადაც გაბუნია იწვა ჰორიგეობდა მეორე ექიმი. ამ დროს საქმეში ისევ ჯაფარიძე ჩაერია და სიტყვიერ შეურაცხყოფასთან ერთად გამომძიებელს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა.

ექიმი ჯაფარიძე პასუხისგებაშია მიცემული. გამოძიებას აწარმოებს უფროსი გამომძიებელი თულაშვილი.

ვისია ნივთები?

20 ივნისს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ვინმე **ემეცი,** რომელსაც აღმოაჩნდა ორი კალათი ნაპარავი ნივთებით სავსე. კალათშივე აღმოჩნდა რვეული. რომელსაც ალექს. კალასტაროვის ხელისმოწერა აქვს.

სისხლის სამართლის მილიცია სთხოვს ხსენებულ პირს გამოცხადდეს ოთახი 11 ნადარეიშვილთან. ამასთანავე სისხლის სამართლის მილიცია სთხოვს გამოცხადდნენ ის პირები. რომელთაც დაკარგეს ტანისამოსები და ფეხსაცმელები.

ბიბლიოგრაფია

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

„ლიმილი" (ლექსები) სახელგამი. თბილისი—1927 წ. გვ. 115 ფასი — 1 მ. 20 კ.

ისტორიის რადიკალური გარდატეხა, საზოგადოების კლასიური გადაჯგუფება ძირითად თემებთან მხატვრული მისვლის ახალ ხედვას და მეთოდებს ამყარებს. ამ ახალი ხედვით უდგება **საერთოდ კ. ლორთქიფანიძე** ნივთებს და მოვლენებს.

ახალგაზრდა პროლეტარული ლირიკი — კ. ლორთქიფანიძე სინამდვილეს სიცოცხლეს „სხვა თვალებით უმზერს", მისი ხედვა თანდროულია, აქტიური: (იხ. **"წინაპრებს"**) ზოგს შესაძლებელია.. „მოისტეტო" ელემენტს ეს ლექსი მხატვრულ უდისციპლინობად მოეჩვენოს. იმ დროს როდესაც ქართველ მწერალთა უმრავლესობა მამაპაპათა „მოლილ" ძვლებზე ავადმყოფურ მისტერიებს აგებს და გადადის „რომანტიულ" (!) წარსულის რეაქციონურ-იდეალიზაციაზე, რომანტიულ საქართველოს თემატიურ მობრუნებაზე კ. ლორთქიფანიძე კი პროლეტარულად და ეპიურად უდგება წინაპრების პრობლემას.

მართალია ძველი ყოფა დაიძრა.. ხდება თვალსაჩინო ძვრები კულტურულ ყოფაცხოვრების ორგანიზაციისათვის, მაგრამ ყოფის გარდაქმნის პროცესი ნელი ტემპით მიიმართება (საწარმოო ურთიერთობათა განვითარების ტემპთან შედარებით) ტემპის მოცემული სხვაობა კი არკვევს მოვლენების რიგს, ვინც ამაში არ ერკვევა იგი დაავადებულია აზროვნების ავტომატიზმით.

ძველი ყოფის დაშლის და ახალი ყოფის ელემენტების შეკვრის რთული პროცესი კულტურულ ფრონტის ყველაზე რთულ სექტორში (ხელოვნება) რამოდენიმედ **იდეოლოგიურ გაუგებლობასაც** იწვევს; ნაწილობრივ ამიტომაა გამოწვეული პატარა გადახრათა მრუდი კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაშიც.

თუ ამ რამოდენიმე ხნის წინად პროლეტარული მწერლობის ყურადღების ცენტრში ორგანიზაციული და თემატიკის საკითხები იდგა, დღეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა: პროლეტარული მწერლობა მჭიდროდ მიიდგა თანდროულობის აქტიალურ თემებთან ყოველ შემთხვევაში უფრო **ახლო და დამაჯერებლად,** ვიდრე თანამგზავრული ლიტერატურა. (ცნებას პირობით ვხმარობთ!)

ეჭვს გარეშეა, რომ **პროლეტარული მწერლობის ზრდის პროცესი მთლიანად კულტურულ-სოციალისტურ მშენებლობის ძირითად ამოცანების ხაზით უნდა მიიმართებოდეს.** ამიტომაა, რომ პროლეტ-ლიტერატურა საერთოდ და კერძოდ კ. ლორთქიფანიძე სოციალისტურ აღმშენებლობის და ახალი ყოფის (იხ. „წერილი სატრფოს" და სხვ.) თემატიკაზე გადავიდა:

„სხვა ბრძოლის ველი ჩვენ წინ იშლება,
იარაღს ვილესთ: დღეს იარაღი ჩვენია ბურღი:
ვხედავ რკინები ნადირივით ალესილ კბილებს
ასობენ მიწას ვერაგულ ბრუნვით.
თხრიან და თხრიან მიწის ქვეშ მადანს
შავი ნახშირი მოაქვთ რონოდებს..
და მთხრელი ისეთ სიყვარულს ატანს
თითქო სინდლე თითონ "ჰქონოდეს"
(იხ. „თემა მეორე")

ან პოეტმა ინახულა მტკვრის ნაპირი.
„აქ განიცდიდა მარტოობას პოეტის ლანდი,
მე მიფიქრია:—ამ ნაპირზე რა იზიდავდა,
ნუ თუ მხოლოდ რო უსაქმური ზვირთები გაჩნის
და მთვარის შუქზე ალმასივით კენჭები ზნავს" და სხვ
(იხ. „სიტყვა საქართველოს")

„უსაქმურ ზვირთების" რაციონალურ გამოყენებით ხდება საქართველოს ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია (**„ჰოლელავს მტკვარი გამურული".**)

კ. ლორთქიფანიძის ლირიკა: მელოდიურია და სადა; პოეტი ხშირად ბრძოლის განწყობილების პარალელურად ელეგიურ ტონს ანვითარებს; ხასიათდება ლირიკულ დახვეწით, თემების რომანტიულ დამუშავებით და ზოგჯერ მხატვრული ფაქტის იდეოლოგიურ შეუკვრელობით, რაც რა საკვირველია, **დაუშვებელი მოვლენაა,** მით უმეტეს, რომ პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი გზები იდეოლოგიური მთლიანობის და **მსოფლმხედველობითი რეალიზმის** გზით მიიმართება.

რაც შეეხება მის პროდუქციის ფორმალ მხარეს: სადაა და რამოდენიმედ ეკლექტიური; ახალ შინაარსისათვის გამოთქმის სათანადო ტექნიკაა საჭირო, ამ მხრივ პოეტს სერიოზული მუშაობა მართებს.

ლიტერატურულ ფაქტის ხერხობრივი შენების სათანადო კვალიფიკაციისათვის ბრძოლას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ხოლო ნუ დავივიწყებთ: ხშირად ჭარბი ფორმალური ძიება უსაგნობამდე, დეკორატიულობამდე დადის და ფაქტს სოციალურ მოხმარების ღირებულება ეკარგება. ვიმეორებ: ფორმალური ძიება არ უნდა გადიქცეს გემოვნების გაყალბებად **და ლიტერატურულ რეაქციის კუსტარულ სახელოსნოდ,** რომლის კლასიკური ნიმუშიც ქართველ „ფუტურისტების" ალმანახი „მემარცხენეობაა". (sic!)

კ. ლორთქიფანიძე პოპულიარული პოეტია, **ჰყავს აუდიტორია (არა „ლიტერატურულ" ქალიშვილების,** არამედ—კომკავშირული მუშურ-გლეხური) რაც საზღვრავს პოეტის საზოგადოებრივ წონას.

კ. ლორთქიფანიძემ ბოლო ფაქტებით კურსი იდეოლოგიურ სიმტკიცეზე — შემოქმედების ბოლშევიზაციაზე აიღო.

საერთოდ კ. ლორთქიფანიძე შესაძლებლობას იძლევა, რომ ახლო მომავალში **მტკიცე პროლეტარული ლირიკი** დადგეს.

სარეცენზიო წიგნში განსაკუთრებით შემდეგი ლექსები ირჩევა: „ლენინ", „პოეტი", „წერილი სატრფოს" „წინაპრებს", „თემა მეორე", „სიტყვა საქართველოს" და სხვ. წიგნი ინტერესით იკითხება.

ლიტერატორი.

სასამართლო

კლავდიას ლოღიკა

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა ბრალდებულს, კლავდია დიონისის ასულს პისარევას.

ბრალდებული: მოსამართლენო, გთხოვთ კარგად დაუკვირდეთ ჩემს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მე მუხლობრივად შევეხები ბრალდების თვითეულ ნაწილს. მართალია და სამწუხაროა, რომ თამარა გ-ძეს სილა გავარტყი, მაგრამ ვამტკიცებ, რომ ეს მას არ სტკენია. გარდა ამისა, მოეხსენება თუ არა სასამართლოს, რომ თამარა გ-ძემ ამის შემდეგ იატაკის „ჩოთქი" მომაყოლა ზურგზე, და თუ მოეხსენება რატომ ამას ყურადღებას არ მიაქცევს. იმედი მაქვს სასამართლო არ გამოიჩენს ცალმხრივობას და სათანადოთ შეაფასებს ჩემი მომჩივანის საქციელსაც.

მე მაბრალებენ, თითქოს თამარას პირსახოცი წაუჭირე ყელზე და ვახრჩობდი. ეს მტკნარი სიცრუეა. არ დაუჯეროთ მოწმე წარიეშვილს, რომელიც ლაპარაკობს: „ჩემი თვალით ვნახე, რომ თამარას ყელზე წანაჭერი ეტყობოდაო". განა ამ ჩვენებას შეიძლება ექნეს დამამტკიცებელი საბუთის ძალა თუნდაც იმიტომ, რომ თამარას მისი მეუღლე ყოველდღე სცემს.

ამ რიგად, მოსამართლენო, განაგრძობს ბრალდებული, — ცემით ორივემ ვსცემეთ ერთმანეთს, მე ვამტკიცებ, რომ უფრო მეტი მე მომხვდა და რატომ უნდა დავისაჯო მარტო მე. ეს იქნება ულოღიკობა, როგორც ასეთი.

სასამართლომ კლავდიას ლოღიკა (როგორც ასეთი!) არ მიიღო მხედველობაში და თ. გ-ძის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის მიუსაჯა ორი კვირით დაპატიმრება.

ინდაურის ჭამაც დანაშაულია

სისხლის სამართლის კოდექსის 187 მუხლის მიხედვით, ინდაურის ჭამაც დანაშაული ყოფილა. მკითხველი, რომელსაც, ალბათ ბევრჯელ უჭამია და შეუჭამია ინდაური, გაოცებულია ამ სტრიქონებით. არ დაიჯერებთ და ორმოცი წლის კაცი — გიგა ჩითინაშვილი, რომელიც მახხაანის თემში სცხოვრობს, დასაჯეს ინდაურის შეჭმისათვის. არაფერი სხვა დანაშაული მას არ მიუძღოდა, შეჭამა ინდაური.. ეს იყო და ეს.

თუ მკითხველს კიდევ ეჭვი შესდის, რომ ეს მართალი ამბავია, დასამტკიცებლად მოვიყვანთ ამონაწერს სასამართლოს ოქმიდან: „გიგა სოსიკოს ძე ჩითინაშვილს, რომელსაც ბრალი ედება მასში, რომ ფარულად დაკლა და შეჭამა ინდაური (საქციელი გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 187 მუხლში პ. „ა")—მიესაჯოს ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა და გადახდეს ინდაურის ღირებულება".

ერთი ინდაურის შეჭმისათვის ერთი თვე ციხეში ჯდომა დიდი უსამართლობაა, ჩვენის აზრით. სჯობს მთელი წლის განმავლობაში [illegible] არაფერი ჭამო, (სუფთა ჰაერს მაინც ჩაყლაპავ კაცი) და ინდაურის ხორცი ახლოს არ გაიკარო.

სასამართლო არ გამოდგა მთლად გულქვა. მანაც შეიბრალა გიგა ჩითინაშვილი, მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ასეთი სასჯელი საქმე პირველად მოუვიდა ცხოვრებაში და რომ მომავალში, ალბად, ის ვეღარ გაბედავს ამის ჩადენას და განაჩენს დასძინა: „დაპატიმრების მაგიერ დამნაშავე დაჯარიმებულ იქნეს ათი მანეთით ხაზინის სასარგებლოდ და გადახდეს ინდაურის ფასად 3 მანეთი".

თუ კარგად დაუკვირდებით ამ განაჩენს, განსაკუთრებით იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: „ფარულად დაკლა და შეჭამაო", შეიძლება იმ დასკვნამდე მისვლა, რომ, ალბად, მან არავის აჭამა და არავის დაუძახა და ამისათვის დასაჯეს, როგორც უპურმარილო კაცი.

უკაცრავად, მკითხველთან დიდ ბოდიშს ვიხდით, განაჩენში ჩვენ გამოგვრჩენია ერთი ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ინდაური ეკუთვნოდა გიგას მეზობელს ელენე ბროლაშვილს.

გე—ნე.

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია"

— ოუ ჩელა, სიჩერჩელა
ოვა, ოვა, ოვავა—
რასაც შევჭამთ, ის შეგვრჩება
ოვა, ოვა ოვა, ვა!

ასე მიიმღეროდა **ზუგდიდში** სამი ძმა ხასია: ქაიულა. [illegible] და იყლო.

მიიმღეროდენ და სასიმღეროც ჰქონდათ:

— თან მიჰქონდათ ალმასკომის მაღაზიიდან და კერძო სავაჭროდან ნაქურდალი საქონელი!

მაგრამ, საუბედუროთ, არ შერჩათ და „სამნი ძმანი ზუგდიდელნი" მოურიდებლათ მიაბრძანეს გამსახლში. ბევრი იჯდენ თუ ცოტა იჯდენ, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ გამოუშვეს თავდებ ქვეშ.

აქ უკვე ჩვენი „ტრიო", „დუეტზე" გადავიდა და „სიჩერჩელას" მაგივრად შემოსძახეს ორხმოვანი სიმღერა:

— „რა იქნებოდა, რა მოხდებოდა,
ორიოდე წყვილი ტუფლი ჩვენც ვქონებოდა"!..

სახლში ხელცარიელი მისვლა დაეზარათ და სწორეთ ეს ორი წყვილი ქალის ტუფლი გაიძლვანეს დარასელიას სახელოსნოდან.

გზად ეპოს მაღაზიაშიაც შეუხვიეს და იქიდანაც ერთი თოფი ჩითი გაიყოლიეს.

მაგრამ მათ სიმღერას თავისებურად მიუკრა მანქულა მილიციამ და ორთავენი კვლავ გამსახლში მიაბრძანა.

ამჟამად კი დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ქათულოს და ივლოს თითო წლით გამსახლში ჯდომა მიუსაჯა.

ახლა ქართული ოპერიდანაც შეუძლიათ იმღერონ:

— თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!..

კი არ მოუკლავს,—შემოაკვდა

ნესტორ ნინუას არ იცნობთ?

— სენაკიდანაა, უფროსი მილიციელი!

მაუზერიც მიტომ კიდია. მაგრამ, აბა ვინ იფიქრებდა, თუ ნესტორი ადამიანის სიცოცხლესაც ფეხზე დაიკიდებდა?

ასე კი მოხდა.

— წარსული წლის 11 აგვისტოს. სამაზრო მილიციის საქმის მწარმოებელი ალექსანდრე დავითაია სამმართველოში მივიდა სამუშაოდ, მაგრამ კარი ჩამოკეტილი დახვდა.

კარი ნესტორ ნინუას გამოეკეტა და გასაღებიც თვით წაეღო.

სანამ ნესტორი მივიდოდა, დავითაიამ ნიკოლოზ კვარაცხელიასთან დაიწყო ტკბილათ მუსაიფი.

მოვიდა ნესტორიც. დავითაიამ უსაყვედურა გასაღების წაღება. მაგრამ უფროსი რის უფროსია, თუ ასეთ შენიშვნებსა და საყვედურს მოითმენს?

ნინუამ უხმოთ ამოიღო რევოლვერი, ასწია ზევით, დავითაიასკენ გადააშვირა და ესროლა. ტყვიამ მუცელში დასჭრა დავითაია, რომელიც რამოდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

დასავლეთ სასამართლოს წარუდგა უფროსი მილიციონერი ნინუა.

სასამართლოს თავმჯდომარის **ამხ. თ. ბოცვაძის** შეკითხვაზე — გრძნობს თუ არა იგი თავს დამნაშავეთ, — ბრალდებული უპასუხებს:

— არ მომიკლავს, ჩემი პატრონი, შემომაკვდა, თვითონ შემომაკვდა, სკანი ჭირი შემეყაროს!

სასამართლომ მიუსაჯა ნინუას სამი წლით გასახლში ჯდომა.

ალბად იქიდან გასვლისას მაინც აღარ გაიყოლებს გასაღებს!

ჟ.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 21 ივნისი

დღეს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

წითელარმიელთა გაზეთი — რუსულ და ქართულ ენებზე (7—7-20).

მიწათმოწყობის საკითხები — ქართულ ენაზე (7-20—7-40).

მალიარიის გავლენა მოსახლეობის გადაგვარებაზე — რუსულ ენაზე (7-40—8).

ტექნიკური კონსულტაცია (8—8-20).

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია — რუსულ და ქართულ ენებზე (8-20—8-40).

კონცერტი ან და ტრანსლიაცია (8-40—11).

ფეხბურთი

„დინამო" — „გ. ტ. მ. პ. ს."

კვირას „დინამო"-ს სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული შეჯიბრი „დინამო"-სა და საგზაო-სატრანსპორტო მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს გუნდს შორის. შეჯიბრი მეტად საინტერესო გამოდგა, როგორც თამაშის, ისე მიღწეული შედეგების მხრივ.

საგზაო-სატრანსპორტო მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს გუნდი მხოლოდ მიმდინარე სეზონში გადაირიცხა პირველ კატეგორიაში; უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იგი თამაშობდა მეორე კატეგორიაში „პროლეტარი"-ს და „დინამო" 2 სახელწოდებით.

გუნდი სწრაფად იზრდება. მან მიმდინარე სეზონში უკვე დაამარცხა „ავტოკლუბი" და „არსრაიონი".

კვირის შეჯიბრში ორივე მხარე თავგამოდებით თამაშობდა. შეჯიბრის დაწყებისთანავე დინამოელებმა სწრაფი ტემპით განავითარეს თამაში და მეხუთე წუთზე პირველი ბურთი გაატარეს გ. ტ. მ. პ. ს. გუნდის კარებში.

პირველმა მარცხმა ერთგვარი არევ-დარევა შეიტანა გ. ტ. მ. პ. ს. გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებში, მაგრამ მათ ისევ ჩქარა შეამჭიდროვეს რიგები და ძლიერ თავდაცვასთან ერთად ხშირად შეტევაზეც გადადიოდენ.

შუა ტაიმში გ. ტ. მ. პ. ს. დაჯარიმდა. **ფაჩულიას** მიერ 11 მეტრიდან დარტყმული ბურთი მეორეთ ვაივლის გ. ტ. მ. პ. ს. კარებში. თამაშის შემდგომ პროცესში უპირატესობა დინამოელების მხარეზეა. ამ უკანასკნელთა ფორვარდები ძალზე ავიწროვებენ გ. ტ. მ. პ. ს. მოთამაშეებს. ტაიმის ბოლომდი დინამოელებმა კიდევ ერთი ბურთი გიტანეს და თამაშის პირველი განყოფილება თავის სასარგებლოდ დაამთავრეს 3:0.

მეორე ტაიმში სურათი შეიცვალა. გ. ტ. მ. პ. ს. თავდაცვიდან ძლიერ შეტევაზე გადადის და ავიწროებს „დინამო"-ს. ამ უკანასკნელის ფორვარდებს უკვე აღარ ეტყობათ ისეთი სიმტკიცე, როგორც პირველ ტაიმში. თამაში ერთხანს არ იძლევა შედეგს. გ. ტ. მ. პ. ს. ბეკების დაუდევრობის გამო (რომლებიც ძალიან წინ იყვენ წასული) **ვლ. ცომაია** ახერხებს ფრონტის გარღვევას და მეოთხე ბურთს მოაქცევს გ. ტ. მ. პ. ს. ბადეში. თამაშის შემდგომ პროცესში გ. ტ. მ. პ. ს. მოთამაშეები ძალღონეს იკრეფენ და მძლავრად შეუტევენ დინამოელებს. თამაშის მეორე ნაწილი მათი უპირატესობის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. შეჯიბრის ბოლომდი მათ ორი ბურთი გაატარეს „დინამო"-ს კარებში; ამრიგად, შეჯიბრი დამთავრდა 4:2 „დინამოს" სასარგებლოდ.

აგარაკებზე

ბახმარო

ამჟამად აგარაკ ბახმაროზე მიმდინარეობს დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც ივნისის დამლევამდე სავსებით დამთავრდება. უკვე დამთავრებულია ფიჭვნაძვნარიანი მიდამოების შემოღობვა, ტყე შემოკავებულია ირგვლივ 15-20 ვერსის სიგრძეზე.

დამთავრდა აგრეთვე სოლარიუმის შენობის აგება და მოწყობა. სოლარიუმში, რომელიც სპეციალურად ფილტვებით სნეულებისათვის არის აგებული სრულიად განცალკევებულია. საწოლთა რიცხვი უდრის 25-ს.

დამთავრდა აგრეთვე დასასვენებელი სახლის აგება. რომელიც დაიწყო ზღვის ტრანსპორტის მუშათა კავშირმა. სახლი შეიცავს 20 ვრცელ სინათლიან ოთახს.

ამჟამად სწარმოებს საკურორტო სასადილოს შეკეთება და მოწყობა. წელს გადიდებულია აგრეთვე სავაჭრო პუნქტების რიცხვი და სხვ.

ლებარდე (სენაკის მაზრა)

მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდა სენაკის მაზრის ერთად-ერთ კურორტზე — ლებარდეზე დასაბინავებელი შენობები შეკეთებულია და მოგვარებულია სურსათის მიწოდების საქმე.

ლებარდეზე სეზონი იხსნება პირველ ივლისს. გასულ წელს ლებარდეზე გაიარა 4.000 ავადმყოფმა.

მეცნიერება და ტექნიკა

განათება უხილავი სინათლით

ინგლისელი გამომგონებელმა **ჯონ ბერდმა** დაამზადა აპარატი, რომელიც შესაძლებლად ხდის საგნების დანახვას სიბნელეში ისე, რომ ამისათვის არ არის საჭირო განათება იმ სინათლით, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივ განათებისთვის ვხმარობთ. ამჟამად ბერდი მუშაობს თავისი აპარატის გაუმჯობესებაზე.

თანამედროვე პროჟექტორები შორეული საგნების განათების მხრივ წარმოადგენენ საუკეთესო ნიშანს მტრისათვის, რომელსაც შეუძლია თვალის დახამხამებაში გაანადგუროს პროჟექტორი.

ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა სარგებლობას ისეთი პროჟექტორებით, რომლებიც მტრის ბანაკსაც გაანათებენ, მაგრამ განათების წყაროს (პროჟექტორის) ადგილმდებარეობას არ გასცემენ. ბერდის აპარატი წარმოადგენს ჩვეულებრივ პროჟექტორს, რომელიც „უხილავი", ე. წ. „ინფრა-წითელი" სხივებით ანათებს მტრის ბანაკს. „უხილავი" სინათლით განათებული საგნებიდან უკუტყორცნილი სხივები ეცემა პროჟექტორის სპეციალურ მოწყობილობაზე, გაივლის მთელ რიგ ეტაპებს და შემდეგ ეცემა ეკრანზე, სადაც ჩნდება მტრისთვის უხილავი პროჟექტორის მიერ „უხილავი" სხივებით განათებული საგნების გამოხატულება.

აპარატის მოწყობილობის დეტალები ჯერ სავსებით არ არის შემუშავებული და მუშაობის დამთავრების შემდეგაც, ალბათ, ინგლისის სამხედრო სამინისტრო ბერდის გამოგონებას დიდი ხნის განმავლობაში შეინახავს საიდუმლოდ. ბერდმა, რომელსაც სურს პირველობა შეინარჩუნოს თავისი გამოგონების დარგში, პრესაში გამოაქვეყნა თავისი აპარატის მხოლოდ ზოგადი აღწერა.

ბერდს იმედი აქვს, რომ მისი გამოგონება სამსახურს გაუწევს არა მარტო სამხედრო საქმეს, არამედ მეცნიერებასაც.

უზარმაზარი გიდროპლანი

ამ რამოდენიმე ხნის წინათ გერმანიაში დაასრულეს აგება უზარმაზარი გიდროპლანის, რომელიც იტევს 110 მგზავრებს და დიდძალ ბარგს. საცდელი ფრენის დროს გიდროპლანმა საათში გაიარა 180 ვერსი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

თბილისის ალმასკომის აგურის ქარხნის მუშას ა. გ—ძეს.

პასუხი

საქართველოს კლიმატიურ პირობებისა და იმიტომაც, რომ ალმასკომის აგურ-ქარხნების მუშები ქარხანაში მუშაობენ წლიურად—1) აგურის დაყალიბებაზე არა ნაკლებ ხუთნახევარ თვისა, და შემდეგ—2) თიხის ამოღება-დამზადებაზე არა ნაკლებ 5—6 თვისა—(ე. ი. სულ 11 თვე), ამიტომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლებიან სეზონურ მუშებად და მათ ყოველგვარი ანგარიშები უნდა გაუსწორდეს როგორც შტატის და მუდმივ მომუშავეთ.

სტუდენტების კავშირის წევრს (წიგნ. № 20.499) ნ. ფაშვიას და ზ. შავგულიძეს

პასუხი

სტუდენტი—მუშფაკელი და კავშირის წევრი ბინის ქირას მის მიერ ფაქტიურად დაკავებულ საცხოვრებელ ფართობის თვითეულ კვად. მეტრზე გადაიხდის ოთხ კაპეიკს. (4 კაპ.); მეორე სტუდენტი კი (არა სტიპენდიანტი და არც სწავლის ფულისგან განთავისუფლებული) გადაიხდის ოც კაპეიკს თითეულ მეტრზე მისთვის მიჩნეულ ფართობის მიხედვით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოცეკონომიურ ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს **სხდომა** შესდგება დღეს, საღამოს შვიდ საათზე, უნივერსიტეტში. სოციალურ-ეკონომიურ დარგის მეოთხე კურსზე მყოფ კომპარტიის და კომკავშირის წევრებისა და კანდიდატებისათვის დასწრება სავალდებულოა, რომელ უჯრედსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის.

— **საქ. რემედასის ცეკა** იტყობინება, რომ დღეს, 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

— **სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი** იტყობინება ქვემო ჩამოთვლილ ამხ. საყურადღებოთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ბიურო-კოლექტივში დღეს, 21 ივნისს. დილის 11 საათზე.

1. ენუქიძე, 2. კბილაძე, 3. სხვირტლაძე, 4. ნუცუბიძე ა., 5. არუთინოვი, 6. კალანდარიშვილი. 7. მელიქაძე, 8. ტუხაშვილი, 9. პაიჭაძე, 10. ქუთათელაძე. 11. ბაჯაძე, 12. პირველი. 13 არევაძე პანტომიმა. 14. ცაგარეიშვილი, 15. ჩიხლაძე,. 16. ხოშტარია. 17. დევიძე, 18. ყალიჩავა, 19. ერქომაიშვილი აკაკი.

ტ. ს. უ. პოლიტექნიკურ ფაკულტეტთან არსებულ კომუჯრედის ბიუროს სხდომა დანიშნულია დღეს სამშაბათს, დილის 2 საათზე, ბიუროს წევრებს და კანდიდატებს ვთხოვთ გამოცხადდენ დაუგვიანებლად. ამასთან ამხ. გვარჯალაძე, და ღადანიძეს ევალებათ გამოცხადდენ აღნიშნულ დროს.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის** სააღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდჩამოთვლილ ამხანაგებს სასწრაფოდ გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში ამხ. თარხანოვთან — ოთახი 34.

1) რუბენ არტემის ძე ნასიბოვი, 2) ლადიმერ დავითის ძე ხაჩატუროვი, 3) გიორგი ეჯუბოვი, 4) ნიკოლოზ მიხეილის ძე ხმელნიცკი, 5) ბიქტორ რაჟდენის ძე რუხაძე, 6) რომან სტეცუკ. 7) ფადეევი, 8) ანდრია ტკაჩენკო.

— ლენრაიონის მ.-გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ 22 ივნისს, დღის 2 საათზე **მოწვეულია ორგანიზატორების თათბირი,** ამავე დღეს, 6 საათზე, გაიმართება დელეგატური მეკავშირეობა ქართულ ჯგუფისა პლეხანოვის კლუბთან არსებულ ქალთა კუთხეში.

დასწრება ყველა დელეგატებისა სავალდებულოა.

სახელ. უნივერ. აგრ. ფაკ. ახ. ლ. კ. კ. ბიურო იტყობინება იმ ამხანაგების საყურადღებოდ ვისაც არ წაუღია მანდატები, გამოცხადდენ საქართოთ ასეთების მისაღებად ამხ. მიკირტიჩიანთან.

— დღეს, 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში **შესდგება საორგანიზაციო კოლეგიის მორიგი თათბირი.**

ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებისათვის დასწრება აუცილებელია:

ლოლობერიძე (ც. კ.), მაშკევიჩი (ც. კ.), ინსტრუქტორები: ა) მირიმანოვი, ბ) სვანიძე. გ) გაბუნია, ლიცინოვი (ც. კ.), ჯაფარიძე ვ., ინსტრუქტორები: ა) ესაიანი, ბ) ჩერქეზიშვილი, გ) დელიბაში, თათარიშვილი (აგიტპროპ. ც. კ.), იმედაძე (აგიტ. ც. კ.), მუშიშვილი (ბეჭდვითი განყ. ც. კ.), ხაცკევიჩი (ტ. კ.), ფანცხავა (ს. პროფ. კავ საბ). რუბენ (ა.-კ. საოლ. კომ.), შიგირაძე, ბაბლუნიანი, ჯავახიძე (ც. კ. ა. ლ. კ. კ.), სიხარულიძე (საქ. დივიზ.), ნემერზელი (ა.-კ. წით. არმ. მთ. სამმ.), არტო (კავ. ბრიგად. პოლიტსამ.), ოლინ (ა.-კ. პოლ. სამ. სანაპ. დაცვა), მათიკაშვილი (ცაკი), მოწვეულნი არიან შემდეგი ამხ. აკოპოვი ს. (2 რაიკომი). ფალავანდიშვილი (ა.-კ. ს. კ.), გვარამია (მ. და გ. ინსპექცია).

დღეს 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნივ. **პედაგოგიურ ფაკ. კომუჯრედის კრება.** ევალებათ ყველა ამხანაგებს გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **არსრაიკომი** იუწყება. რომ დღეს, სამშაბათს, 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე **შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს კოლეგიის წევრებს, და საზოგადოებას თავის ამხანაგის დამცველთა კოლეგიის წევრის

ვლადიმერ ნიკიფორეს-ძე
კანდელაკის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება სამშაბათს 21 ივნისს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) ნაშუადღევის 5 ნახევარ საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 1—1 3104

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ალექსანდრე, ნიკოლოზი და გრიგოლ ნიკიფორეს-ძე კანდელაკები, დები ოლღა შარნოსი და ბარბალე გვარჯალაძისა, სიძე ფრედერიკ ედუარდის-ძე შარნო, რძლები—ბარბალე ნიკოლოზის და ვერა ნესტორის ასულნი და ძმისწულები: ოთარ, მანანა, ზურაბი და ტერეზა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 17 ივნისს ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რესპუბლიკის მთავარ (ყოფ. მიხეილის) საავადმყოფოში მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა, ცოლისძმა, მაზლი და ბიძა, დამცველთა კოლეგიის წევრი

ვლადიმერ ნიკიფორეს-ძე
კანდელაკი

გამოსვენება მოხდება საავადმყოფოდან სამშაბათს, 21 ივნისს, ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე; დაკრძალვა—ვერის ახალ სასაფლაოზე. 3092

პროფ. პეტრე მელიქიშვილის სახელობის 1-ლი ქიმ. ტეხნიკუმის მე-4 კურსის მოწაფეობა ამით აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი, ამავე კურსის მოწაფე

რაჟდენ პეტრეს-ძე რუხაძე

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 21 ივნისს, საკუთარ ბინიდან. სოფ. ხუნწი (სენაკის მაზრა). დაკრძალვა იქვე. 3103

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სერაფიონ, შვილები კარლო და ვლადიმერი არველაძეები, დედა მართა ვაშაკიძისა, ძმები გიორგი და მიხეილი ვაშაკიძეები, და ელისაბედი და სიძე იოსებ კალაძეები აუწყებენ ყველა ნაცნობთ და ნათესავებს

მარო თედორეს ასულ
არველაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება გომბორის ქ. № 20, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 3099

მწუხარებაში მყოფნი მამა ამბაკო, დედა მაკრინე, ძმები შალვა, პროკოპი და გრიშა, რძლები ნინა, ტანია და ნინუცა, და ლუბა, ძმისწულები ქეთო, თინა და რემა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა. წ. ივნისის 28 დღითი სამშაბათს, საათის 2 გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ

სანდრო (ალექსანდრე) ამბაკოს-ძე
მეგრელიშვილის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, დაბა ჩოხატაურში (გურია) ზემოფარცხმის სასაფლაოზე. 3098

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

0—18 ნ. 1289

დიდი წარმატების გამო
კიდევ 2 დღეს
„მისი უდიდებულესობის სოლისტკა"
ანონსი: ამ დღეებში—ეთერში **„ბანდიტი ქალი"** მილტონ სილსის მონაწილეობით.
დარბაზში **„საპნის ქაფი"** მერი პიკფორდის მონაწილ.

კონრად ვეიდტი და შიუნტცელი
მხატვრულ შედევრში
„გრაფი კალიოსტრო"
იშვიათი ანსამბლი, უაღრესად საინტერესო სიუჟეტი.
ვინც კინოში შესასვლელ ბილეთს იყიდის, ბაღში შესასვლელი ბილეთი აღარ სჭირდება.

ანონსი: მალე უკრაინის ფოტო-კინოს სამმართველოს საუკეთესო ნაწარმოები „ჰამბურგი".

ა-წ. 5 ივლისს არის დანიშნული
საქარ. ჭრა-კერვის მრეწველობის სააქციონერო
საზოგადოების „მკერავის" აქციონერების
საერთო კრება.
დღის წესრიგი:
1) დროებით გამგეობის მოხსენება
2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები
3) მიმდინარე საკითხები. ნ. 1347

რომელი სურათი
უნდა ჰამბურგი ნახოს
ყველამ
ნის. 1—1

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ
„თანამედროვე მედიცინა"-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.
ჟურნალის ფასი: 1 წლით . . 10 მან.; ½ წლით . . 5 მან.; ცალკე ნომერი 1 მან.
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.
3062 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში
დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი)
ტელ. 3—63. 13—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-თერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 25—1

ქ. თბილისის 1-ლ რაიონ. სასამართლოს აღმასრულებ.
ძოძუაშვილი
ამით აცხადებს, რომ ის 25 ივნისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 6 ლენინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ძ. ინაშვილების მოძრავ ქონებას: სხ. და სხ. პაპიროსს, გილზს კაკაოს, ყავა „მოკკას" და სხ. შეფასებულს 590 მანეთად, მოქ. „სოლსინდიკატ"-ის, „სოლ"-ის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის 1-ლ უბნის სახალხო სასამართლოსაგან 22 აპრილს 1927 წ. თარიღით, № 1293 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1—1 3095

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება, პლეხანოვის პრ. № 58. 13—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) **სპეციალისტი.**
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე.
ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

დაკარგულია დამზღვევ სალაროს და ვინაობის წიგნაკი არჩილ მიხეილის-ძე ანდრონიკაშვილის სახელზე ჩ. გ. 3094

დაკარგე პირადობის წიგნაკი ქუთ. სამხ. კომისარიატ. მიერ გაცემული № 112/35 ივანე სპირიდონის-ძე მარდალეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3097

დაკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 4 ლადო მაჩის-ძე შამუგიას სახელზე. ჩ. გ. 3101

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 7698 სილიბისტრო დარახველიძეს სახელზე ჩ. გ. 3102

დაკარგე ხე-ტყის საჭრელი ბარათი № 603 ილო სიაშვილის სახელზე ჩ. გ. 3096

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ, 68.